აფხაზური ხაფანგი A8

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B6

ბიზნესი და ეკონომიკა C

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 2 ივლისი, 2004 წელი. №155 (704)

ფასი 50 თეთრი

# "დემოკრატები" "ნაციონალებმა" გაანზილეს



იური ლობოდინის ფოტო

*პარლამენტი და მთავრობა გუშინ საჯაროდ პირველად დაუპირისპირდა ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დეპუტატებს ქვეყანაში პურზე ფასების გაზრდით აშინებდა, საბაჟო ტარიფების ძველი რიცხვით (ანუ კანონდარღვევით) შეცვლაზე კანონმდებლებმა მაინც უარი თქვეს. თუმცა, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კონფლიქტის ბოლომდე გამწვავებას პარლამენტარები მოერიდნენ, საკითხი კენჭისყრიდან მოხსნეს და "საქმის გარჩევა" სამომავლოდ გადადეს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## ფული მათი (დეპუტატების) არსობისა

*დეპუტატობას ფასი დაედო, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, მაშინ, როდესაც სხვა სფეროში დასაქმებული ხალხისთვის ხელფასის მცირედი მომატება უამრავ პრობლემას უკავშირდება (პირველ რიგში, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას), ხალხის რჩეულებისთვის, ამ მხრივ, არანაირი დაბრკოლება არ არსებობს: როგორც ცნობილია, 1 ივნისიდან დეპუტატებმა თავიანთი თვიური ანაზღაურება 750-დან 1300 ლარამდე გაიზარდეს. თუმცა, როგორც ირკვევა, კანონმდებლები საკუთარ შრომას კიდევ უფრო ძვირად აფასებენ. გუშინ მიღებული დადგენილებით, დეპუტატების თვიური შემოსავალი, დამატებით, კიდევ 200-250 ლარით მოიმატებს.*

გიორგი ასანიშვილი

**"მაჟორიტარული წესით არჩეული პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისა და მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისთვის, პარლამენტის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოეყოს და მის პირად ანგარიშზე ჩაირიცხოს 250 ლარი... პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრთა ამომრჩევლებთან ურთიერთობის სათანადო ორგანიზების მიზნით, პარლამენტის**

გაგრძელება A3 გვერდზე

### პოლიტიკა

## პროფკავშირები თმებს მალე ყალყზე დაგვიყენებს



ათიოდე დღის წინათ ჩატარებულ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ნოდარ გრიგალაშვილმა პროფკავშირების ხელმძღვანელობა სახალხო ქონების უკანონოდ გასხვისება-გაყიდვაში დაადანაშაულა.

A2

### ეკონომიკა

## საბაჟო საკუთარი წარმატებებით ტკბება



გიორგი გოდაბრელიძის უწყებამ ივნისის თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ბიუჯეტში დაგეგმილზე 14 მილიონი ლარით მეტის მობილიზება შეძლო.

A4

### უცხოეთი

## ყოფილი დიქტატორის პროცესი დაიწყო



სადამ ჰუსეინი: "სასამართლო - სპექტაკლია, ბუში კი - ნამდვილი კრიმინალი".

A5

### სამართალი

## ანბარებაში „ექვმიტანილ" ექსპერტ-ფსიქიატრებს საკუთარი სიმართლის დამტკიცება მოუწევთ

A7

### ამინდი

| | 2/7 | 3/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | 30 |
| ქუთაისი | 24 | 30 |
| ბათუმი | 25 | 28 |
| სოხუმი | 22 | 27 |
| ფოთი | 23 | 29 |
| თელავი | 27 | 29 |
| ზუგდიდი | 23 | 30 |
| გორი | 23 | 27 |
| ახმეტა | 27 | 29 |
| ჭიათურა | 24 | 30 |
| გაგრა | 20 | 26 |
| სამტრედია | 25 | 32 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3313 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4821 |
| რუბლი | 0.0661 |

## საპრეზიდენტო დოღზე სააკაშვილს თეთრი რაშით ელიან

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში ამბობენ, რომ პრეზიდენტთა არაფორმალური სამიტის დღეებში ბევრ არაორდინარულ ფაქტსა და სიურპრიზს ექნება ადგილი - ორიგინალური საჩუქრებისა და მოულოდნელი განცხადებების ჩათვლით.

დსთ-ს 12 პრეზიდენტის არაფორმალური სამიტის წინ ქალაქ მოსკოვში უსაფრთხოების ზომების არნახული გამკაცრებაა, რაც იმ ობიექტების მიდამოებში იგრძნობა, სადაც პრეზიდენტები ერთად შეიყრებიან: ესაა მოსკოვის დიდი თეატრი და მოსკოვის იპოდრომი. აქ საპრეზიდენტო დოღი გაიმართება, რომლის პრიზიც თავად პუტინმა დააწესა - ჯიშიანი ცხენების რბოლაში გამარჯვებული მხედარი პრეზიდენტის ხელიდან მიიღებს ასი ათას ამერიკულ დოლარს.

გაძლიერებული დაცვის ქვეშაა "იტარ-ტასის" შენობა, სადაც პირდაპირ აეროპორტიდან საქართველოს პრეზიდენტი მოვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ქართული ჯარის წვრთნა გრძელდება

### ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ორი ქვეითი ასეული ქართველ სამხედროებს გამოცდილებას გაუზიარებს

ნინო გომართელი

დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ორი ქვეითი ასეული – 165 სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც თბილისში გუშინ ჩამოვიდნენ, ვაზიანის პოლიგონსა და კრწანისის სასწავლო ცენტრის ტერიტორიებზე 3 ივლისიდან 17 ივლისის ჩათვლით ქართულ-ბრიტანულ ერთობლივ სამხედრო-საველე წვრთნებს გამართავენ, სახელწოდებით "საქართველოს ექსპრესი – 2004".

"კომანდოს" ბატალიონის ასეულთან ერთობლივი წვრთნების დროს ორი ქვეყნის სამხედროები საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე კონტროლის დაწესების, პატრულირებისა და ჰუმანიტარული დახმარების დარიგების ოპერაციებს დაამუშავებენ.

ამასთანავე, 12 ივლისს ვაზიანის ბაზის ტერიტორიაზე მოეწყობა მეგობრობის დღე, სადაც ორივე მხარე საკუთარი სამხედრო აღჭურვილობის გამოფენას მოაწყობს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თარიღზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ანკეტა | B7 კვირის TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

# ქართული ჯარის წვრთნა გრძელდება



ქართველ ჯარისკაცთა მომზადებაში ბრიტანელებიც ჩაერთნენ.

პირველი გვერდიდან

როგორც ჩვენთან საუბარში საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე განმარტავს, **"ბრიტანელი სამხედროები საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩამოდიდნენ."**

რაც შეეხება ბრიტანელების მხრიდან ქართველი კოლეგების მატერიალურად ან სამხედრო აღჭურვილობით დახმარებას, საქართველოს გენშტაბის უფროსი აცხადებს, რომ მსგავსი რამ, ჯერჯერობით, არ იგეგმება.

გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე ასევე გამორიცხავს, რომ აღნიშნული წვრთნების შემდეგ, გამოცდილებაგაზიარებული ქართველი სამხედროები, სამშვიდობოების ან დამატებითი ძალების სახით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, კონფლიქტის ზონაში იქნენ გადასროლილნი, სადაც ვითარება დღითიდღე იძაბება. ამის მაგალითად კი, ალბათ, გამოდგება ქართველი სამართალდამცველების მიერ [illegible] ინფორმაცია, რომ ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების [illegible] მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე [illegible] მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები [illegible]

**"ბრიტანელების მიერ განწრთნილი ქართველი სამხედროების ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გაგზავნა არ იგეგმება, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ინფორმაცია მე არ ვფლობ,"** – აცხადებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი.

ამასთანავე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არანაირ ინფორმაციას არ ფლობს იმის შესახებ, თუ რომელი, ან რამდენი [illegible] საქართველოში, ყველა შემთხვევაში, "24 საათს" სამინისტროს ვერც ერთმა წარმომადგენელმა ეს ინფორმაცია ვერ მიაწოდა.

ბრიტანელი სამხედროები სამშობლოში 18 ივლისს გაემგზავრებიან.

# აგრესიული სიყვარული გრძელდება

*სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფალი ედუარდ კოკოითი საქართველოს ხელისუფლების ბოლოდროინდელ ინიციატივას ცხინვალის რეგიონში "აგრესიულ სიყვარულს" უწოდებს. მიუხედავად მისი [illegible], ამ პროცესში უკვე ქართველი ბიზნესმენებიც ჩაერთნენ.*

სამაჩაბლოდან დევნილი ქართველი ბავშვები და ოსი ბავშვები ცხინვალის რეგიონიდან 15 დღის განმავლობაში საირმეში ერთად დაისვენებენ. ამ საქველმოქმედო აქციას საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირი – "ცეკავშირი" და კომპანია "ქართული მანგანუმი" აფინანსებენ. შეიდღეს 14 წლამდე ასაკის 30-მდე ბავშვი "ცეკავშირის" საკუთრებაში არსებულ დასასვენებელ სახლში სამკურნალო-გამაჯანსაღებელ პროცედურებს გაივლის. დაგეგმილია სპორტული, გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებებიც.

**"ვიმედოვნებთ, რომ ეს აქცია ქართულ-ოსური ურთიერთობების დარეგულირებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება",** - აცხადებს "ცეკავშირის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე დავით აბაშიძე. "ცეკავშირისა" და "ქართული მანგანუმის" ერთობლივი ინიციატივის მიზანია ბიზნესწრეების გააქტიურება სახელმწიფოს მხარდასაჭერად. "ცეკავშირი" ამ პროცესში, დიდი ხანია, ჩართულია - მის კუთვნილებაში არსებულ შენობებში, დასასვენებელ სახლებსა და სასტუმროებში, კერძოდ, თბილისში, წყნეთში, წყალტუბოსა და ქობულეთში აფხაზეთიდან და ცხინვალიდან იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობენ.

**"ბავშვების შერჩევა ცხინვალში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაცია "ცხინვალის სახლის" საშუალებით გახდა შესაძლებელი. პრიორიტეტი თირკმელთან დაკავშირებულ პრობლემებზე გაკეთდა. საირმე სწორედ ამგვარი დაავადების სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. ჩვენ ანალოგიური ღონისძიებების ჩატარებას ქართველი და აფხაზი ბავშვებისთვისაც ვგეგმავთ და, რადგან ზღვის სანაპიროთი ვერ გავაკვირვებთ, ზამთარში გუდაურში დავასვენებთ",** - აცხადებენ აქციის ორგანიზატორები.

ცხინვალიდან მომავალი დამსვენებლები შემოვლითი გზებით გამოიყვანეს. ქართველი და ოსი ბავშვები ერთმანეთს გორში შეხვდნენ და იმერეთისკენ გაეშურნენ. არასამთავრობო ორგანიზაცია "ცხინვალის სახლი" თავისი საქმიანობის აფიშირებას ერიდება. მისი თავმჯდომარე მარინა მეშვილდიშვილი ოსური მხრიდან აგრესიის საშიშროებას არ გამორიცხავს და შინ მშვიდობიანად დაბრუნებამდე კომენტარს არ აკეთებს. იმედია, ეს ბიზნესინიციატივა მშვიდობიანად ჩაივლის და სხვა ბიზნესმენებს ქველმოქმედების სურვილს არ დაუკარგავს.

*თამარ ჯაჯანიძე*

# დააკავეს პოლიციის ყოფილი უფროსი

ანტიტერორისტული ცენტრისა და უშიშროების სამინისტროს მიერ მარნეულის რაიონში ჩატარებული ერთობლივი სპეცოპერაციის შედეგად კაჩაგანის პოლიციის ყოფილი უფროსი ზაზა იბრაგიმ ოღლი ბაირამოვი იქნა დაკავებული. ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის უფროსის ვასილ სანოძის განცხადებით, ბაირამოვი დიდი ხანია, რაც კონტრაბანდის ლობირებასა და ნარკოტიკების მოხმარებაშია შენიშნული. დაკავებისას კი მას დიდი ოდენობით ჰეროინი აღმოაჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ის ბოლო დროს უკვე აღარ მუშაობდა სამართალდამცავ სტრუქტურაში. სამსახურიდან ბაირამოვი ქვემო ქართლის პოლიციის ახლანდელმა უფროსმა კობა შარვაძემ გაათავისუფლა.

*ინტერ-პრესი*

# ინვესტორმა მეტალურგიული ქარხნის გაზეთი გააუქმა

*"ამხანაგმა სერიოგინმა" თანამშრომლებს "კვალიფიკაცია" დაუწუნა და მათი სამუშაო ოთახის კარი პლასტელინით დაალუქინა.*

გუშინ დილით რუსთავის მეტალურგიული კომბინატის კუთვნილი გაზეთის, "ჯავარდენის" რედაქტორი გივი ჯახუა და მისი თანამშრომლები სამსახურში არ შეუშვეს. დაცვის წევრებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ ისინი კომბინატის იტალიელი ინვესტორის წარმომადგენლის ალექსანდრ სერიოგინის ბრძანებას ასრულებდნენ. მისივე მითითებით, პლასტელინით დალუქეს რედაქციის სამუშაო ოთახის კარი.

თავად სერიოგინმა მომხდარზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა, ხოლო შპს "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის" იურისტმა როლანდ გამჯაშვილმა დაადასტურა ქარხნის პრესსამსახურის, იგივე გაზეთის რედაქციის გაუქმებისა და მისი თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტი.

**"ბრძანებას პრესსამსახურის გაუქმებისა და მისი თანამშრომლების დათხოვნის თაობაზე ერთი კვირის წინ მოაწერა ხელი სერიოგინმა. მიზეზი - ისინი არ შეესაბამებიან კვალიფიკაციას,"** - განაცხადა "რამკ"-ის იურისტმა.

გივი ჯახუა, რომელიც სერიოგინის აზრით "არ შეესაბამება კვალიფიკაციას", არის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარი კორესპონდენტი, ქვემო ქართლის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მწერალი, 1953 წლიდან მუშაობს რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში, ათეული წლების მანძილზე რედაქტორობდა ქარხნის გაზეთს.

თავიდან გივი ჯახუას "კვალიფიკაციაში", როგორც ჩანს, არც სერიოგინს შეუტანია ეჭვი, რადგან მოიწონა ჯახუას იდეა - გაზეთ "ჯავარდენის" განახლების თაობაზე და მის გამოსაცემად საჭირო მიზერული თანხის გაღებაც იკისრა.

**"ჩვენ თავიდანვე შევთანხმდით - გაზეთი ქართულ ენაზე გამოვიდოდა, ხოლო ინვესტორს ნებისმიერ ენაზე ეძლეოდა საშუალება საკუთარი განცხადებისა და თუ სხვა მასალის გამოქვეყნებისა. უკვე მეორე ნომრის გამო, ამხანაგი სერიოგინისგან მკაცრი შენიშვნა მივიღე - ეს რა გაზეთია, მე მხოლოდ შავ ლაქებს ვხედავ, გაზეთის ნახევარი რუსულად უნდა გამოუშვაო. საბოლოოდ, ამხანაგ სერიოგინს ჭკუაში მაინც არ დაუჯდა გაზეთი, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ პრობლემებს, გულწრფელად ეხმიანებოდა საწარმოს საჭირბოროტო საკითხებს, მხარში ედგა მშობლიურ კოლექტივს. ეს იყო და ეს. გაზეთის დაფინანსება შეგვიწყვიტეს, ასლარიანი ხელფასის მქონე პრესსამსახურის უფროსი და გაზეთის რედაქტორი კი ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე უხელფასო შვებულებაში გაუშვეს,"** - ამბობს გივი ჯახუა, რომელმაც მოახერხა და ქარხნის გაზეთში დაბეჭდა "რამკ"-ის დირექტორთა საბჭოს ის ბრძანება, სადაც სპეციალური ჯართისმჭრელი 350-კაციანი სამმართველოს შექმნაზე და კომბინატის საამქროების მასობრივი დემონტაჟის დაწყებაზე იყო საუბარი. ამ "საიდუმლო დოკუმენტების" გამოქვეყნების შემდეგ "ყინული დაიძრა" და საზოგადოება დაინტერესდა - რატომ ჭრიდა და ყიდდა ჯართად ქარხანას ის ინვესტორი, რომელმაც ელექტროფოლადსადნობი კომპლექსის შემოტანის ვალდებულება აიღო.

დაახლოებით ერთი თვის წინ გივი ჯახუამ გაზეთი შპს "რამკ"-იდან სააქციო საზოგადოება "რმკ"-ის ანუ რეაბილიტაციის მმართველის დაქვემდებარებაში გადაიყვანა და "ჯავარდენის" ბოლო ნომერში სახელმწიფო კომისიის ის დასკვნა გამოქვეყნა, სადაც იტალიელების საქმიანობა უარყოფითად არის შეფასებული. იქვე დაიბეჭდა სტატიები სათაურებით: "რა არ გაკეთდა კომბინატში", "ინვესტორები უინვესტიციოდ?", "საით უმიზნებენ ინვესტორები", "რატომ გაგვიჩერეს გაზეთი" და ასე შემდეგ.

**"მას არ მოეწონა გაზეთის ბოლო ნომერი, სადაც სახელმწიფო კომისიის დასკვნა იყო გამოქვეყნებული. დაფიქსირებული იყო, აგრეთვე, საზოგადოებრივი აზრი, რომ ინვესტორებს არ უნდა ვაჩუქოთ ქარხანა,"** - ამბობს ჯახუა.

ალექსანდრ სერიოგინმა გაზეთზე ჯავრი შემდეგნაირად იყარა - მისი დაქვემდებარებიდან გასული რედაქცია არაკვალიფიციურობის გამო გაათავისუფლა და მეტალურგიული კომბინატის ტერიტორიაზე მათი შეშვება აკრძალა.

**"მერე რა, რომ ჯახუა იქ 50 წელი მუშაობდა, დღეს ყველაფერი ინვესტორებს ეკუთვნით,"** - ასეთია "რამკ"-ის იურისტის პოზიცია.

"24 საათის" კითხვაზე, რა გარანტია არსებობს, რომ ხვალ სერიოგინი "არაკვალიფიციურობის" მომიზეზებით ქარხნის სხვა თანამშრომლებსაც არ გაათავისუფლებს? - გამჯაშვილი პასუხობს: **"გარანტია ერთადერთია - მათ სასამართლოს უნდა მიმართონ."** მისივე აზრით, "რამკ"-ის დირექტორთა საბჭო, ანუ სერიოგინი თუ მოისურვებს, ქარხნის რეაბილიტაციის მმართველსაც კი არ შეუშვებს ქარხანაში, რომელიც რეაბილიტაციის რეჟიმში მუშაობს.

**"ერთი წლის წინ მართლაც იყო ჩვენს სახელმწიფოში სიტუაცია - როცა ყველაფერი მხოლოდ მათი სურვილის მიხედვით კეთდებოდა. თუ შეიცვლება სახელმწიფო კომისიის დასკვნა, რომლითაც მე ვხელმძღვანელობ და კომისია იტყვის, რომ ისინი შეცდნენ, როცა ინვესტორების საქმიანობა რადიკალურად უარყოფითად შეაფასეს; თუ დღეს სახელმწიფო იტყვის, რომ ეს ყველაფერი არის იტალიელების ოფლით შექმნილი და მათი ფულით შეძენილი და დამავალებს დავემორჩილო მათ, რა თქმა უნდა, მე შევასრულებ სახელმწიფო ნებას,"** - აცხადებს რეაბილიტაციის მმართველი ზენო ქაშაკაშვილი. ის სერიოგინის მიერ გაძევებულ ჟურნალისტებს დახმარებას და მუშაობისთვის საჭირო პირობების შექმნას დაჰპირდა.

**"მთელი ამ დაძაბულობის და იტალიელების გალიზიანების მთავარი მიზეზი არის ის, რომ რუსთავის მეტალურგიული კომბინატი ინვესტორების დახმარების გარეშეც ახერხებს საბიუჯეტო გადასახადების, ასევე მიმდინარე ხელფას-პენსიების გასტუმრებას და, რაც მთავარია, ეკონომიკის სამინისტრომ უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ ქარხანაში დღემდე იტალიელების მიერ არანაირი ინვესტიცია არ განხორციელებულა,"** - განაცხადა რეაბილიტაციის მმართველმა.

*მაია მოსიაშვილი*

# ბენდუქიძემ კომპანიების შერწყმა შეაფერხა

ორი რუსული კომპანიის "გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნების" და "ძალოვანი მანქანების" შერწყმის პროცესი შეჩერებულია. გაზეთ "კომერსანტის" ინფორმაციით, ამის მიზეზი "გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნების" აქციონერთა წლიურ შეკრებაზე კომპანიის უმსხვილესი თანამფლობელის კახა ბენდუქიძის დაუსწრებლობა გახდა. ამ შეკრებაზე კომპანიის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში ახალი წევრების – ჰოლდინგ "ინტერროსის" წარმომადგენლების მიღებას აპირებდნენ. ჰოლდინგის პრეზიდენტი ვლადიმირ პოტანინია, რომელმაც 2001 წელს კონცერნი "ძალოვანი მანქანები" დააფუძნა.

„ძალოვანი მანქანებისა" და „გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნების" გაერთიანება 2003 წლის 18 დეკემბერს გადაწყდა. ახალ სტრუქტურაში აქციები შემდეგნაირად უნდა განაწილებულიყო: 35 პროცენტი - „ინტერროსი", 13 პროცენტი – ბენდუქიძე, 4,5 პროცენტი – ალან ყაზბეგოვი (დირექტორთა საბჭოს წევრი), დანარჩენი სხვა აქციონერებს შორის ნაწილდებოდა.

შეკრებაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმით, კახა ბენდუქიძემ ეს ღონისძიება და კომპანიების დაგეგმილი შერწყმა ჩაშალა, - წერს „კომერსანტი".

*მედია-ნიუსი*

# შეიცვლება თუ არა პასპორტები

*საქართველოს მოქალაქეთა პასპორტები, შესაძლოა, მალე, საფრანგეთის ნაცვლად, საქართველოში დაიბეჭდოს. თავის დროზე პასპორტების საფრანგეთში დაბეჭდვა საქართველოს მთავრობამ მიიღო იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში არ არსებობდა სტამბა შესაბამისი დანადგარით, რომელიც შეძლებდა გაყალბებისგან დამცავი საშუალებების პასპორტზე დატანას; იმ ხარისხის ბეჭდვას, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს და ა.შ. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანას აღნიშნული სიამოვნება საკმაოდ ძვირი უჯდებოდა, რაც განპირობებული იყო ტრანსპორტირებით, საბაჟო გადასახადებით და ა.შ.*

თუმცა, არაერთხელ ითქვა ისიც, რომ პასპორტების ბეჭდვის სიძვირე გამოწვეული იყო კორუფციული გარიგებებით და მაფიოზური ინტერესებით. ამბობდნენ იმასაც, რომ ხალხისთვის პასპორტების დაგვიანება სპეციალურად იყო ორგანიზებული, რათა მოქალაქეებს ზედმეტი თანხა გაეღოთ. სხვათა შორის, აღნიშნული თანხა 100 აშშ დოლარზე ნაკლები არასოდეს ყოფილა.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, პასპორტები მალე, შესაძლოა, აქ დაიბეჭდოს. აღნიშნულთან დაკავშირებით მოლაპარაკება მიმდინარეობს ერთ-ერთ უცხოურ კომპანიასთან. ჩვენი ინფორმაციით, ეს იქნება სტამბა "კაბადონი", რომელიც შვეიცარულმა კომპანია "პროჯეტრამ" შეიძინა არცთუ დიდი ხნის წინათ. კომპანიის წარმომადგენლობა ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტულად არაფერს ამბობს, თუმცა არ უარყოფს, რომ განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი სწორედ იმ დანადგარებს მოხმარდა, რომელიც აქამდე ქართული პასპორტების ადგილობრივად ბეჭდვის საშუალებას არ იძლეოდა.

**"კონკრეტული მოლაპარაკებების შესახებ ჯერ განცხადებას ვერ გავაკეთებთ, თუმცა გეტყვით, რომ ასეთი წინადადება არსებობს. პასპორტები საქართველოში დაიბეჭდება, პრაქტიკულად - ნახევარ ფასში. ამასთან, ანგარიშსწორება მოხდება კონსიგნაციის გზით. ამ პასპორტებს დავბეჭდავთ ჩვენი ხარჯებით და შემდეგ სახელმწიფოს თანხას გამოვართმევთ გაყიდვების მიხედვით. "კაბადონში" თანხის ჩადება გადავწყვიტეთ იმიტომ, რომ სახელმწიფო შეკვეთებს ის დიდი ხნის მანძილზე ახორციელებდა და, ამ კუთხით, დიდი გამოცდილება აქვს - ფასიანი ქაღალდები, მოწმობები და ა.შ."** - აცხადებს კომპანია "პროჯეტრას" გენერალური მენეჯერი ატოს კარონი.

აღსანიშნავია, რომ კომპანიამ სტამბა "კაბადონში" დღემდე 3 მილიონი დოლარი ჩადო და დღეისთვის რამდენიმე სახელმწიფო უწყების შეკვეთებს ასრულებს. "პროჯეტრა" ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კომპანიაა. რაც შეეხება პასპორტებს, მათ ბეჭდვას კომპანია შეკვეთისთანავე დაიწყებს. თუმცა, საქართველოს მთავრობაში ამაზე, ჯერჯერობით, არავინ საუბრობს. არადა, სულ ცოტა ხნის წინათ გაკეთდა კიდეც განცხადება, რომ, შესაძლოა, პასპორტები შეიცვალოს, ვინაიდან ისინი საერთაშორისო სტანდარტებს სრულად ვერ აკმაყოფილებს. განცხადებამ მოსახლეობაში აჟიოტაჟი გამოიწვია, თუმცა მთავრობამ მაშინ აღნიშნა, რომ ცვლილება მოსახლეობას არ დააწვებოდა კისერზე. დღეს ხელისუფლება ამაზე აღარაფერს ამბობს. მაგრამ, აშკარაა, რომ პასპორტების განახლება გარდაუვალია, ვინაიდან უკვე შესაცვლელია ჰერალდიკა.

*ოთარ ქირია*

# რეგიონებში დეპუტატებს შორის უკვე ღია დაპირისპირებაა



დეპუტატთა დაპირისპირების თემა ვალერი გელბახიანმა წამოჭრა.

დღეს დასავლეთ საქართველოში, მაჟორიტარ დეპუტატთა გაფართოებული ბიურო გაიხსნება. პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ეს იქნება პარლამენტის წარმომადგენლობა ქალაქ ქუთაისში.

"იგი იმისათვის კეთდება, რომ მოსახლეობას პარლამენტთან ურთიერთობა გაუადვილდეს და ათასობით კილომეტრი არ გამოიაროს თბილისში ჩამოსასვლელად და საკუთარი პრობლემის გადასაჭრელად," - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ მაჟორიტარებთან შეხვედრისას, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი რეგიონული მმართველობის საკითხებში ზურაბ მელიქიშვილიც ესწრებოდა. მისი განცხადებით, საქართველოს მთავრობა რეგიონებში გასვლით სხდომებსა და თათბირებს გეგმავს, სადაც დეპუტატებს საშუალება მიეცემათ ,ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად რაიონებშივე დააყენონ პრობლემატური და გადასაჭრელი საკითხები ან მათი ნუსხა.

ამავე დროს, მაჟორიტარი დეპუტატები საკმაოდ სერიოზულ განცხადებებს აკეთებენ. რეგიონებში მაჟორიტარ და პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატებს შორის უკვე ღია დაპირისპირებაა, - ირწმუნება საჩხერის მაჟორიტარი ვალერი გელბახიანი და პარლამენტის თავმჯდომარეს პრობლემის მოგვარებას სთხოვს.

გელბახიანის განცხადებით, რაიონებში გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის ბრძოლაა გაჩაღებული და თუ პარლამენტის თავმჯდომარე პრობლემას ვერ მოაგვარებს, ისინი საკითხის გადასაწყვეტად პრეზიდენტს მიმართავენ, რადგან მაჟორიტართა დონეზე საკითხის გადაწყვეტა და კონფლიქტის მოგვარების რესურსები უკვე ამოწურულია.

გელბახიანის განცხადებით, მაჟორიტარ დეპუტატებს პროპორციული სიით არჩეული დეპუტატები ავიწროებენ, მიმდინარეობს პროკურატურაში მათი დასმენა და დისკრედიტაცია. "ეს ყველაფერი კი იმისათვის კეთდება, რომ მაჟორიტართა მიმართ ხალხს და მოსახლეობას ნდობა დაეკარგოს," - აღნიშნა გელბახიანმა. მისი განცხადებით, თუ ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები დაპირისპირებას ვერ მოაგვარებენ, იგი შეიძლება უკვე ღია ბრძოლაშიც გადაიზარდოს.

# ბათუმელი ახალგაზრდების გახმაურებული საქმე გრძელდება

იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დაკავებული ბათუმელი სტუდენტის ლაშა ჩახვაძის საქმის გამოძიება გენერალურმა პროკურატურამ უკვე დაასრულა. ჩახვაძის საქმე ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, სავარაუდოდ, შემდეგ კვირაში გადაეცემა. დაკავებულის ადვოკატის ქეთი ბექაურის თქმით, იგი საქმეში არსებული ყალბი მტკიცებულებების გამო, პირველივე სასამართლო სხდომაზე ჩახვაძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობას წარადგენს. მისივე თქმით, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ საქართველოს გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს მიმართვა გაუგზავნა, სადაც აღნიშნა, რომ ჩახვაძეს პოლიტიკურ მსხვერპლად მიიჩნევს. ადვოკატის განმარტებით, ამ მიმართვას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

ლაშა ჩახვაძის საქმეს ცალკე გამოეყო მასთან ერთად დაკავებული, ამჟამად კი ძებნაში მყოფი მერაბ მიქელაძის საქმე.

როგორც ცნობილია, ბათუმელი ახალგაზრდები 23 თებერვალს თბილისში პრესკონფერენციის მოსაწყობად ჩამოვიდნენ. მათი მიზანი იყო განეცხადებინათ, რომ ბათუმში მიმდინარე მოვლენები მასმედიის მიერ არაობიექტურად შუქდებოდა. ჩახვაძე და მიქელაძე 24 თებერვალს იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს. მოგვიანებით კი, ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლეს, რის შემდეგაც მათ გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარი თქვეს.

ჩახვაძე პოლიციამ ხელმეორედ 17 მაისს, ასლან აბაშიძის აჭარიდან განდევნის შემდეგ დააკავა, მიქელაძემ კი მიმალვა მოასწრო.

*ინტერ-პრესი*

# პროფკავშირები თმებს მალე ყალყზე დაგვიყენებს



ნოდარ გრიგალაშვილმა პროფკავშირებს შეუტია.

*ათიოდე დღის წინათ ჩატარებულ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ნოდარ გრიგალაშვილმა პროფკავშირების ხელმძღვანელობა სახალხო ქონების უკანონოდ გასხვისება-გაყიდვაში დაადანაშაულა. ირაკლი ტუღუშისა და სხვა პროფკავშირული ბოსების მიმართ ბრალდებები ბორჯომის მაჟორიტარმა დეპუტატმა პარლამენტის გუშინდელ რიგგარეშე სესიაზეც გააჟღერა. გრიგალაშვილის მიმართვის ადრესატი ამჯერად თავად გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი იყო.*

**"მე ხელთ მაქვს დოკუმენტები, რომლის თანახმადაც, ლიკანში 2 ათას ლარად არის გაყიდული პროფკავშირების კუთვნილი მიწები, რომელთა საბაზრო ღირებულება 400 ათასი ლარია. გარდა ამისა, ბორჯომის პარკში მიწის ერთ-ერთი ნაკვეთი ოთხი კოლოფი სიგარეტის ფასად, სულ რაღაც 40 ლარად გაიყიდა,"** - აცხადებს გრიგალაშვილი, რომელიც მოითხოვს, რომ პროფკავშირების "საქმენი საგმირონი" გენერალურმა პროკურატურამ კონტროლზე აიყვანოს, საფუძვლიანად შეისწავლოს და მისი შედეგები შემოდგომისთვის პარლამენტს მოახსენოს.

**"მთელ საქართველოს თმები ყალყზე დაუდგება, როდესაც ნახავს, რა დანაშაულები ხდება ამ სფეროში,"** - ირწმუნება დეპუტატი.

ნოდარ გრიგალაშვილი ამტკიცებს, რომ პროფკავშირების ხელმძღვანელთა უკანონო ქმედებები მხოლოდ ბორჯომის რაიონში კი არა, მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება. ამასთან, მაჟორიტარი დეპუტატი სამართალდამცავებს აფრთხილებს, რომ აჭარაში უამრავი ობიექტია, რომელსაც პროფკავშირები ფლობს და თუ ხელისუფლება ფხიზლად არ იქნება, ისინიც თვალსა და ხელს შუა გაქრება.

ნოდარ გრიგალაშვილის თქმით, პროფკავშირის ხელმძღვანელთა "განეიტრალებაზე" პარლამენტიც მუშაობს. კერძოდ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მზადდება კანონპროექტი, რომლითაც პროფკავშირების ხელთ არსებული მრავალმილიონიანი ქონების სამართალმემკვიდრე განისაზღვრება.

■ ■ ■

ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობების მოწესრიგების სამართლებრივი ბაზა უკვე არსებობს: გუშინ საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონპროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ". დოკუმენტს ხმა მისცა 174-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო 13.

■ ■ ■

პარლამენტის გუშინდელ რიგგარეშე სესიაზე დეპუტატი, ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებელი ვაჟა კილაძე "რუსთავი-2"-ის დავალიანების რესტრუქტურიზაციის საკითხს შეეხო. პარლამენტარი ეთანხმება პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებას, რომ ტელეკომპანიის არსებობას საფრთხე არ უნდა დაემუქროს, მაგრამ იქვე იმასაც ამტკიცებს, თითქოს, "რუსთავი-2"-ის ვალების რესტრუქტურიზაცია სახელმწიფო ბიუჯეტს ყოველწლიურად ერთი მილიონი ლარით დააზარალებს.

პარლამენტის სხდომაზე ვაჟა კილაძე მთავრობისთვის "რაღაცის შეთავაზებას" აპირებდა, მაგრამ ნინო ბურჯანაძემ დეპუტატს სიტყვა აღარ დაასრულებინა, რადგან პარლამენტარის მიერ წამოჭრილი საკითხი გუშინდელი სხდომის დღის წესრიგში შეტანილი არ ყოფილა.

*გიორგი ასანიშვილი*

# "თბილსრესის" აღმასრულებელი დირექტორი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად, სააქციო საზოგადოება "თბილსრესის" აღმასრულებელი დირექტორი თამაზ გზირიშვილი და მისი ორი თანამშრომელი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გზირიშვილმა თანამდებობრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა და თანამშრომლებთან – გიორგი ზამთარაძესთან და გოჩა ინაურთან ერთად, 2002-2003 წლებში სააქციო საზოგადოება "თბილსრესის" პირველი და მეორე ენერგობლოკების მატერიალური ფასეულობების რეალიზაციით მიღებული 264 000 ლარი მიითვისა.

დაკავებულ პირებს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ აღმკვეთი ღონისძიების სახით სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ.

გამოძიებას გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი აწარმოებს.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**მოსკოვი.** კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა აცხადებს, რომ საქართველო და რუსეთი უახლოვდება "ჩარჩო" ხელშეკრულების ხელმოწერას. ხუთშაბათის პრესკონფერენციაზე მან აღნიშნა, რომ "ჩარჩო" ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე გავლენას არ იქონიებს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება და საქართველოში განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის სპიკერი თეიმურაზ მამსუროვი რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარეს სერგეი მირონოვს და სახელმწიფო სათათბიროს ხელმძღვანელს ბორის გრიზლოვს სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა ინტერესების დაცვას სთხოვს. მამსუროვის განცხადებით, "სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ადამიანთა დიდ პროცენტს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა აქვს და მხოლოდ რუსეთს უკავშირებს მომავალს, მიილტვის რა ამ სახელმწიფოსთან მიერთებისკენ". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისაგან მოქმედი დეპუტატები ყოფილი დეპუტატების დასაქმების ხელშეწყობას მოითხოვენ. როგორც პარლამენტარები აცხადებდნენ, უამრავი ყოფილი დეპუტატი, რომელთაც კარგი განათლება გააჩნიათ და პროფესიონალები არიან, დაუსაქმებლები დადიან. ისინი ბურჯანაძისაგან მოითხოვენ, რათა პარლამენტის თავმჯდომარემ ხელი შეუწყოს ყოფილი დეპუტატების დასაქმებას, რათა ქვეყანამ მათში დაგროვილი პოტენციალი გამოიყენოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის მიერ შესრულებული სამუშაოთი კმაყოფილია.

როგორც ბურჯანაძე აცხადებს, პრეზიდენტმა განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნა აჭარის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული სტატუსი აჭარაში ძალზედ ბევრ კარგ წამოწყებას შეუწყობს ხელს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე მოქმედ ეუთო-ს დამკვირვებელთა ჯგუფს მანდატი წლის ბოლომდე გაუგრძელდა. საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის, დაღესტნისა და ინგუშეთის მონაკვეთებზე ეუთო-ს მონიტორინგი, საქართველოს მთავრობის მოთხოვნით, 1999 წლიდან ხორციელდება. **ინტერ-პრესი**

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2004 წლის 7 ივლისს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 2,000,000 (ორი მილიონი) ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 5 ივლისს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2004 წლის 7 ივლისს 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "დემოკრატები" "ნაციონალებმა" გააწბილეს

პირველი გვერდიდან

გიორგი ასანიშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ზურაბ ნოღაიდელს პარლამენტი და საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს და პურის გაძვირების საფრთხე არ არსებობს. მთელ ამ აურზაურს გოცირიძე იმით ხსნის, რომ ფირმა "პროგრესის" პრეზიდენტს, პურპროდუქტების კორპორაციის ყოფილ ხელმძღვანელს ომარ კაციტაძეს შეცდომა მოუვიდა და ხორბალი იმ ქვეყნიდან შემოიტანა, რომელიც არც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია, არც დსთ-სი და, ამდენად, მის მიერ შემოტანილი პროდუქცია დაბეგვრას ექვემდებარება.

**"გადასახადის უკანა რიცხვით გაუქმება ერთი ფირმისთვის ხდება. გამორიცხული არ არის, გამოჩნდნენ სხვა ფირმებიც, რომლებიც "პროგრესის" მსგავსად, ბიუჯეტში შეტანილი ფულის უკან დაბრუნებას მოითხოვენ,"** - ვარაუდობს გოცირიძე. მისი თქმით, შესაძლოა, ომარ კაციტაძეს შეცდომა არც დაუშვია და მავანნი ბიზნესმენს, უბრალოდ, შეჰპირდნენ, რომ პარლამენტს მისთვის სასურველ გადაწყვეტილებას მიაღებინებდნენ.

**"მთავრობას შეეძლო, ეს პრობლემა პარლამენტამდე არ მოეტანა და თავად გაეფორმებინა დოკუმენტაცია უკანა რიცხვით, მაგრამ მან ამის გაკეთება საკანონმდებლო ორგანოს ხელით მოისურვა,"** - დასძენს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ მთავრობის გულწრფელობის შემთხვევაში, პარლამენტის მხრიდან კომპრომისზე წასვლა და გამოსავლის დელიკატურად მოძებნა ნამდვილად შეიძლებოდა.

რომან გოცირიძის მიერ ნახსენები კომპრომისის არსს დეპუტატი კობა ბექაური აკონკრეტებს. იგი აღმასრულებელ ხელისუფლებას სთავაზობს, რომ საქართველოში შემოტანილი ხორბლის გადასახადისგან გათავისუფლება იმ ქვეყნებზეც გავრცელეს, რომლებიც WTO-ს და დსთ-ს წევრები არ არიან, ოღონდ, ეს უკანა რიცხვით კი არ მოხდეს, არამედ მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან. თუმცა, ეს შეთავაზება მთავრობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა - ზურაბ ნოღაიდელმა "პირველი ჩვენება" აღარ შეცვალა.



იური ლობოდინის ფოტო

*პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი კოლეგებს არწმუნებდა, რომ კანონის უკანა რიცხვით მიღებას თავის თავზე აიღებდა.*

ფინანსთა მინისტრის მხარდასაჭერად "გაერთიანებული დემოკრატების" ბანაკს გუშინ თავი არ დაუზოგავს. განსაკუთრებით აქტიურობდა ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ კანონის უკანა რიცხვით მიღება დიდ ცოდვას არ წარმოადგენს და ასეთი რამ პარლამენტში ხშირად მომხდარა.

**"ამაზე პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ,"** - განაცხადა მაჭავარიანმა. მის მსგავსად, სხვა "დემოკრატებიც" (ზურაბ ცქიტიშვილი, მალხაზ ბეგიაშვილი) აქტიურად მოუწოდებდნენ კოლეგებს, ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტისთვის დაეჭირათ მხარი. თუმცა, "ნაციონალების" შეგნებულმა პასიურობამ "დემოკრატების" გეგმები ჩაშალა.

სახელმწიფო მინისტრს ჯამბულ ბაკურაძეს (სხვათა შორის, მთავრობაში გადასვლამდე ისიც "გაერთიანებული დემოკრატების" გუნდის წევრი იყო) კრიტიკულ სიტუაციაში ნერვებმა უმტყუნა. **"მე მეწარმეებს პირობა მივეცი, რომ პარლამენტი ამ კანონს უკანა რიცხვით მიიღებდა. თუ ასე არ მოხდება, სამსახურში მისასვლელი პირი აღარ მექნება,"** - წონასწორობიდან გამოვიდა ჯამბულ ბაკურაძე.

თუმცა, სახელმწიფო მინისტრზე უფრო ნერვებმოშლილი ჩანდა "რესპუბლიკელი" ივლიანე ხაინდრავა, რომლისთვისაც ბოლომდე გაუგებარი დარჩა, ბაკურაძე, მისი და მისი მეგობრების სახელით, რატომ უნდა არიგებდეს დაპირებებს.

მოდავეებს შორის მანდილის ჩაგდება ნინო ბურჯანაძემ სცადა, რომლის თქმითაც, **"უკანა რიცხვით კანონის მიღებას სხვანაირი ინტერპრეტირება მიეცემა და პარლამენტსა და მის თავმჯდომარეზე დარტყმები წამოვა".** ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, სპიკერმა მთავრობას ბექაურის მიერ შეთავაზებული კომპრომისული წინადადების მიღება ურჩია. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ფინანსთა მინისტრმა უკანდახევა არ ისურვა.

ფირმა "პროგრესის" გარშემო ატეხილი ხმაური, ალბათ, დროებით შეწყდება და დაპირისპირებული მხარეები განსხვავებული პოზიციების შეჯერებას უმრავლესობის დახურულ სხდომაზე შეეცდებიან. საკითხს კი საბოლოოდ მაშინ მოეფინება ნათელი, როდესაც მთავრობა პარლამენტში 2004 წლის ბიუჯეტის გაზრდილ პარამეტრებს წარმოადგენს დასამტკიცებლად.

# ფული მათი (დეპუტატების) არსობისა

პირველი გვერდიდან

**თითოეული ამ წევრისთვის ყოველთვიურად გამოიყოს 200 ლარი,"** - ნათქვამია პარლამენტის მიერ მიღებულ დოკუმენტში.

ხელფასის ზრდის ტემპის გარდა, ხალხის რჩეულებს ამიერიდან ისიც ექნებათ სატრაბახო, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები მათი მომსახურებით დაკავდებიან: ამავე დადგენილების თანახმად, აღნიშნულმა ორგანოებმა მაჟორიტარი დეპუტატები "შესაძლებლობის ფარგლებში" უნდა უზრუნველყონ კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო საშუალებებით, საწვავით, საკანცელარიო საშუალებებით... უფრო გასაგებად რომ ითქვას, მაჟორიტარ დეპუტატს შეუძლია მიადგეს საკრებულოს და მოითხოვოს მანქანაში ბენზინის ჩასხმა, მობილურის გადასახადის გადახდა და სხვა ხარჯების დაფარვა. მართალია, "შეწერილი თანხების" გაღება ნებაყოფლობითია, მაგრამ "შესაძლებლობის ფარგლების" მოტივირებით, რა მექანიზმები შეიძლება ამოქმედდეს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ვითარების ფონზე დეპუტატების ანაზღაურებისა და შეღავათების ასეთ უპრეცედენტო ზრდას არც ერთი პარლამენტარი, ცხადია, არ აპროტესტებს. პირიქით, მადა ჭამაში მოდის: მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე საპარლამენტო პარტიებისთვის ადმინისტრაციულ შენობებში საოფისე ფართის გამოყოფასაც ითხოვს.

# პრეზიდენტის შეფასებით ნინო ბურჯანაძე კმაყოფილია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებითი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კმაყოფილია პარლამენტის მიერ შესრულებული სამუშაოთი.

როგორც ბურჯანაძე აცხადებს, პრეზიდენტმა განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნა აჭარის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული სტატუსი აჭარაში ძალზედ ბევრ კარგ წამოწყებას შეუწყობს ხელს.

*24 საათი*

# ნდობის ჯგუფი

პარლამენტმა მეორე მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი ნდობის ჯგუფის შესახებ. თავდაცვისა და უშიშროების საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნიკა რურუას მოთხოვნით, აღნიშნული კანონპროექტი დაჩქარებული წესით, მესამე მოსმენითაც უნდა მიეღოთ, თუმცა დეპუტატების მრავალრიცხოვანი წინადადებების გამო, მისი მიღება ვერ მოხერხდა. ამ კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განცხადებით, ნდობის ჯგუფი გასაიდუმლოებულ საბუთებზე იმუშავებს.

*მედია-ნიუსი*

# თბილისის პრობლემებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფი

მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატის გიგი წერეთლის განცხადებით, უახლოეს დღეებში შეიქმნება ჯგუფი, რომელიც თბილისში არსებულ პრობლემებზე იმუშავებს. ჯგუფი იქნება ინტერფრაქციული და მასში თბილისის სხვადასხვა რაიონის მაჟორიტარი დეპუტატები შევლენ. ინტერფრაქციული ჯგუფი იმუშავებს თბილისში უკანონო მშენებლობების, მიწისძვრით დაზარალებულთა, კომუნიკაციებისა და სხვა სოციალურ საკითხებზე.

*მედია-ნიუსი*

# საპრეზიდენტო დოღზე სააკაშვილს თეთრი რაშით ელიან

პირველი გვერდიდან

მოსკოვის მილიციამ "რუსთავი 2"-ის გადამღები ჯგუფი მეტრო "ბეგოვაიას" მიდამოებში, იპოდრომის შენობასთან დააკავა. ქართველი ჟურნალისტის მილიციის განყოფილებაში მიყვანის ოფიციალური ვერსია გადაღებაზე მოსკოვის მერიის ნებართვის არქონა და ობიექტთან ამ დღეებში მიახლოების აკრძალვა იყო. მოსკოვში საქართველოს საელჩოს აქტიური ჩარევის შემდეგ გადამღები ჯგუფი გაათავისუფლეს.

გუშინვე დიპლომატიური სკანდალით დასრულდა ქართულ-ოსური მოლაპარაკებები. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა მიხაილ მაიოროვმა პასუხი ვერ გასცა ქართველი მინისტრის გიორგი ხაიდრავას ერთი შეხედვით უწყინარ შეკითხვას – მაინც, რომელ სახელმწიფოებს აერთებს როკის გვირაბი?

ნატო-ს სამიტზე რუსეთისთვის მოწყობილი ცივი შხაპის შემდეგ საზოგადოება ამ უჰალსტუხო სამიტიდან რაღაცას ელის. ზედმეტად ენამწარე რუსები, საპრეზიდენტო დოღის გავლენით, ამბობენ, რომ სააკაშვილი ამჯერად კრემლში თეთრი რაშით შევა.

■ ■ ■

თორმეტი ნარჩევი, სუფთა სისხლის ულაყი, რომელიც ხვალ მოსკოვის იპოდრომზე იასპარეზებს, სხვადასხვა რეგიონებს წარმოადგენს. მათ შორის იქნებიან უკრაინიდან, უზბეკეთიდან და ყაზახეთიდან ჩამოყვანილი ბედაურებიც. დოღზე გამარჯვებული მთავარ პრიზს – სამ მილიონ რუსულ რუბლს (დაახლოებით, ასი ათასი აშშ დოლარი) თვით რუსეთის პრეზიდენტის ხელიდან მიიღებს.

გრანდიოზულ დოღზე დასასწრები ბილეთები 50-დან 250 დოლარამდე ღირს.

■ ■ ■

მოსკოვში გამგზავრებამდე პრეზიდენტს გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე შეხვდა. შეხვედრის დასასრულს ბურჯანაძე ჟურნალისტებისთვის მცირე კომენტარს აკეთებს და აცხადებს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მოსკოვში ვიზიტი წარმატებული იქნება.

პარლამენტის თავმჯდომარისა და პრეზიდენტის შეხვედრას ძალოვანი მინისტრებიც ესწრებოდნენ. ბურჯანაძის თქმით, მათ ბევრი საკითხი განიხილეს, მათ შორის, რა თქმა უნდა, სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარება. **„სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ჩვენ ჩვენი პოზიცია გვაქვს. არა მგონია, რომ რუსეთში ვიზიტისას ვაჭრობა იყოს ოსეთთან და რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით. სამხედრო ბაზები ცალკე თემაა, რომელთან მიმართებაშიც ჩვენი პოზიცია ნათელია,"** — აღნიშნა ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.




# ქართული მხარე მაიოროვს პროტესტს უცხადებს

რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩს ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში, მიხეილ მაიოროვს ქართული მხარე არაკომპეტენტურად მიიჩნევს და მასთან ყოველგვარ ურთიერთობას წყვეტს. "თუ ბატონმა მაიოროვმა არ იცის, რომელ ქვეყნებს ესაზღვრება როკის გვირაბი, ჩვენ მასთან მოლაპარაკებებს ვერ ვაწარმოებთ," - განაცხადა გუშინ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე სალომე ზურაბიშვილმა.

როგორც ზურაბიშვილმა მასმედიას განუმარტა, იგი მაიოროვის თაობაზე რუსეთის შესაბამის ორგანოებს მიაწვდის ინფორმაციას და მოითხოვს, რომ მაიოროვი ჩანაცვლებულ იქნეს სხვა რომელიმე კომპეტენტური პირით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული მხარე მოლაპარაკებების განახლებაზე უარს იტყვის.

სალომე ზურაბიშვილი დაზუსტებით ვერ აკონკრეტებს, რა საკითხებზე ისაუბრებენ სააკაშვილი და პუტინი ამ დღეებში, თუმცა ქალბატონი მინისტრი დარწმუნებულია, რომ რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტები არც ერთ მტკივნეულ საკითხს ყურადღების მიღმა არ დატოვებენ.

რაც შეეხება მასმედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აფხაზეთში ლუჟკოვის სერიოზული კაპიტალდაბანდებების შესახებ, სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტის შეკითხვას დიპლომატიური სიძუნწით უპასუხა, რომ საქართველოს საგარეო უწყება ამ საკითხთან დაკავშირებით საქმის კურსშია.




ლევან ხერხეულიძის ფოტო

*სალომე ზურაბიშვილი არ აპირებს იმ რუს დიპლომატთან მოლაპარაკების გაგრძელებას, რომელმაც გეოგრაფია არ იცის.*

ჟურნალისტებმა გუშინდელ ბრიფინგზე არც დავით თევზაძე დატოვეს უყურადღებოდ. სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ნატო-ში თევზაძეზე უარი მხოლოდ იმის გამო თქვეს, რომ ის სამხედრო პირია. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი არ ადასტურებს მოარულ ხმებს იმის შესახებ, თითქოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

*24 საათი*

International Finance Corporationa Member of the World Bank Group

## სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელობის საყურადღებოდ!

**საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი** აცხადებს კონკურსს სააქციო საზოგადოებებისათვის, კორპორაციული მართვის დანერგვის პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

კორპორაციული მართვა ესაა სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების კომპონენტი მიმართულია ქართული საწარმოების გაჯანსაღებასა და მათ მიერ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობის შექმნაზე. პირველ ეტაპზე შეირჩევა 5 სააქციო საზოგადოება. შერჩეული სააქციო საზოგადოებები პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ შეძლებენ:

კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას;
გაზრდილი ქონების ღირებულების, გუდვილის, საზოგადოების აქციების ღირებულების ხარჯზე სარგებლის მიღებას;
დივიდენდების გაზრდას / გაცემას;
გარეშე ფინანსირებაზე გასვლას (კაპიტალის ბაზრები);
შრომითი რესურსების მოზიდვას (მმართველები და თანამშრომლები);
სამუშაო ადგილების ზრდასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

მსურველი სააქციო საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
1. კომპანია უნდა იყოს რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებად;
2. კომპანიაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, 5ა.
ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96
ფაქსი: 91 34 80
პილოტური პროგრამის პირველი ეტაპის დახურვის თარიღია ა.წ. 16 ივლისი.

# IFC საქართველოს ახალ საგადასახადო კოდექსში ცვლილებებს სთავაზობს

ნინო ნარჩემაშვილი

დღეს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი ფინანსთა სამინისტროსა და გადამხდელთა კავშირისათვის პრეზენტაციას მართავს, რომელიც ახალ საგადასახადო კოდექსში ლიზინგთან დაკავშირებულ ცვლილებებს ეძღვნება. ამ ცვლილებებზე რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის ინიციატივით შექმნილი სამუშაო ჯგუფი მუშაობდა, რომელშიც საქართველოში მოქმედი სალიზინგო კომპანიები, უცხოური დონორების მიერ დაფუძნებული პროექტები და საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმები იღებდნენ მონაწილეობას. როგორც IFC-ს საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის მენეჯერმა, ბატონმა ფრენკ ლივერმა განაცხადა, **"საგადასახადო კოდექსში ამ ცვლილებების შეტანის შემთხვევაში ლიზინგი უფრო აქტიურ გამოყენებას პოვებს. იგი ქართველ მეწარმეებს ლიზინგის მეშვეობით ფინანსირების მოზიდვას გაუადვილებს და, შესაბამისად, დაეხმარება კერძო სექტორის განვითარებას. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას აღნიშნული ცვლილებების მიღება ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნია".**

აღსანიშნავია, რომ არსებულ საგადასახადო კოდექსში პრობლემას ლიზინგის დაბეგვრის ბუნდოვანება წარმოადგენს, კერძოდ, არ არის განსაზღვრული ლიზინგის სტატუსი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ საგადასახადო კოდექსმა ლიზინგის შინაარსი საბანკო კრედიტის შინაარსის იდენტურად აღიაროს, ანუ მიანიჭოს მას ფინანსური მომსახურების სტატუსი, რაც სალიზინგო შენატანების გადასახდელების პროცენტს დღგ-სგან გაათავისუფლებს.

როგორც IFC-ში აღნიშნავენ, ლიზინგის ინსტრუმენტს მოუქნელს ხდის ისიც, რომ არსებული საგადასახადო კოდექსით, ლიზინგის დროს ქონების გადაცემისას ადგილი აქვს ორჯერ დაბეგვრას და ახალმა საგადასახადო კოდექსმა, წესით, ეს პრობლემაც უნდა მოხსნას. მათი თქმით, სასურველია, კომერციული ბანკების და სადაზღვევო კომპანიების მსგავსად, სალიზინგო კომპანიას, როგორც საფინანსო ინსტიტუტს, უფლება მიეცეს, ერთობლივი შემოსავლიდან სესხების შესაძლო დანაკარგების სარეზერვო ფონდებში ჩარიცხული თანხა საგადასახადო მიზნებისათვის გამოქვითოს.

საინტერესოა, რომ დამოუკიდებელი თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში ლიზინგის კუთხით განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლებიც იქ IFC-ის ანალოგიური პროექტის ძალისხმევით გატარდა, საკმაოდ მოკლე დროში დადებითი შედეგები მოიტანა, რაც სალიზინგო კომპანიების რაოდენობისა და სალიზინგო გარიგებების მკვეთრად ზრდაში გამოიხატა.

IFC-ში აცხადებენ, რომ აღნიშნული ცვლილებები საქართველოშიც სასიკეთო შედეგებს გამოიღებს. ახლო მომავალში საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი საგადასახადო კოდექსში ლიზინგთან დაკავშირებული ცვლილებების ფართომასშტაბიან განხილვას დაიწყებს და მასში მონაწილეობის შესაძლებლობა ყველა დაინტერესებულ პირს ექნება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" რეორგანიზება დასრულდა. კომპანიის გენერალური დირექტორის ბრაიან ქრონლის თქმით, ახალი სტრუქტურა ენერგეტიკის სამინისტროსთან შეთანხმებული და დამტკიცებულია. კომპანიის 4500 თანამშრომლიდან 1500-ს სამუშაო ადგილის დატოვება მოუწევს. წერილობითი შეტყობინება სამუშაო კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ მათ ოთხშაბათს მიიღეს. დათხოვნილთა სახელფასო დავალიანების გასასტუმრებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 7,3 მილიონი ლარი გამოიყოფა. სახელფასო დავალიანება სულ 15 მილიონ ლარს შეადგენს და მისი გასტუმრება ეტაპობრივად მოხდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ინფორმაცია საქართველოში არსებული 1800-მდე საპრივატიზაციო საწარმოს შესახებ ორ კვირაში ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.economy.gov.ge) განთავსდება. დამატებით შეკითხვებზე პასუხების გასაცემად სამინისტრო "ცხელი ხაზის" შექმნასაც გეგმავს. ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის განცხადებით, პრივატიზაციის პროცესში უცხოური კომპანიების ჩართვის მიზნით, უახლოეს მომავალში, ლონდონში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ოფისში კონფერენცია გაიმართება.

მსგავსი ღონისძიების მოწყობა დაგეგმილია ამერიკის შეერთებულ შტატებში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა გრაფიკით მიმდინარეობს. ბოლო მონაცემებით, უკვე გაწმენდილია სამშენებლო დერეფნის 224 კილომეტრი. მილები დალაგებულია და შედუღებულია 195 კილომეტრის საერთო სიგრძის მონაკვეთებზე. გათხრილია 134 კილომეტრი, ხოლო მილები ჩალაგებულია და დაფარულია მიწით 107-კილომეტრიან მონაკვეთზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკელები საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის უნიფორმებს შეიძენენ, ამისათვის 150 ათასი დოლარია გათვალისწინებული. როგორც დღეს გამართულ ბრიფინგზე "საქართველოს საზღვრის დაცვისა და კანონიერების განმტკიცების" პროგრამის კოორდინატორმა საქართველოში ჯონ ტრანბალმა განაცხადა, უნიფორმების დამამზადებელი კომპანიის შესარჩევად ტენდერი ერთ თვეში გამოცხადდება. "ტენდერისათვის საჭირო დოკუმენტაცია ვაშინგტონში მზადდება. კონკურსის შედეგად გამარჯვებული კომპანია უნიფორმებს 60-80 დღეში დაამზადებს," - განაცხადა ტრანბალმა. ტენდერში მონაწილეობას ქართული კომპანიები მიიღებენ, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებათ მებაჟეებისათვის ფორმები თავად შეკერონ. ფორმის დიზაინერს საბაჟო დეპარტამენტი თავად აირჩევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისი–ცხინვალის მიმართულებით 4 ივნისს დანიშნული ავტობუსის რეისი არ შეჩერებულა. ამის შესახებ დღეს განცხადება საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის პრესსამსახურმა გააკეთა. "პატარა პრობლემების მიუხედავად, ავტობუსი რეისს ყოველგვარი შეფერხებების გარეშე ასრულებს. დიდუბის მეტროდან ავტობუსი ყოველდღე გადის და, მინიმუმ, 20-25 მგზავრი მიჰყავს," – განაცხადეს ადმინისტრაციაში. **ინტერ-პრესი**

# საბაჟო საკუთარი წარმატებებით ტკბება

დიანა ჩაჩუა

*საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა კმაყოფილია - ივნისის თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა და დეპარტამენტმა ბიუჯეტში დაგეგმილზე 14 მილიონი ლარით მეტის მობილიზება შეძლო. გუშინ, დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი გოდაბრელიძემ მიღწეულ წარმატებებს სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა, სადაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ივნისის გეგმა ყველა რეგიონულმა საბაჟომ, მათ შორის - აჭარის საბაჟო სამმართველომაც, გადაჭარბებით შეასრულა.*



ვახო ბესელიას ფოტო

*გიორგი გოდაბრელიძის უწყებამ ივნისის თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ბიუჯეტში დაგეგმილზე 14 მილიონი ლარით მეტის მობილიზება შეძლო.*

ივნისში საბაჟო დეპარტამენტს ფინანსთა სამინისტროს მხრიდან საბიუჯეტო გეგმა 42 360 ათასი ლარის ოდენობით განესაზღვრა. თუმცა, სახაზინო სამსახურის მიერ დადასტურებული ინფორმაციით, ივნისში საბაჟოდან ბიუჯეტში 14 მილიონი ლარით მეტია მობილიზებული, რაც გეგმის 133-პროცენტიან შესრულებას ნიშნავს.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, მეორე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებელი 31 მილიონი ლარის გადაჭარბებით არის შესრულებული.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყველა რეგიონული საბაჟოს თვიური გეგმა შესრულებულია, ამასთან, **"თუ ადრე აჭარის საბაჟო ყოველთვიურად ყველაზე კარგ შემთხვევაში, 4,5 მილიონი ლარის მობილიზებას ახერხებდა, ივნისში ამ მაჩვენებელმა 8 მილიონ 604 ათას 800 ლარს მიაღწია. გეგმა 148,45 პროცენტით არის შესრულებული, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საბაჟოების - "რკინიგზისა" და "აღმოსავლეთის" მიერ მობილიზებული თანხები,"** - განაცხადა გოდაბრელიძემ.

გეგმით გათვალისწინებულზე 2-ჯერ მეტი თანხაა ამოღებული თამბაქოს იმპორტიდან. გაიზარდა საწვავის ლეგალიზაციის მაჩვენებელი. თუ სამი თვის წინ ყოველთვე 17 000 ტონა საწვავი ექცეოდა დაბეგვრის რეჟიმში, ივნისში 28 000 ტონა მოექცა.

როგორც საბაჟო დეპარტამენტში განაცხადეს, გუშინ საბაჟო დეპარტამენტის ყველა თანამშრომელმა გაფრთხილების ფურცელი მიიღო. საქმე ისაა, რომ დეპარტამენტში სტრუქტურული რეორგანიზაცია მიმდინარეობს, რომლის საფუძველზეც დეპარტამენტის თანამშრომელთა რაოდენობა 24 პროცენტით უნდა შემცირდეს. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა უკვე მოაწერა ხელი საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურული რეორგანიზების ბრძანებას, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა და 30 დღის ვადაში განხორციელდება. ახალი სტრუქტურის ამოქმედების შედეგად საბაჟო დეპარტამენტიდან, დაახლოებით, 400 ადამიანი იქნება გათავისუფლებული.

საბაჟო დეპარტამენტის ახალი სტრუქტურით, ასევე, გათვალისწინებულია აჭარის და აფხაზეთის ა/რ საბაჟო სამმართველოების, რეგიონალური საბაჟო "რკინიგზისა" და საბაჟო ლაბორატორიის გაუქმება. უკვე გაუქმებულია რეგიონული საბაჟო "ენერგეტიკა", რომლის ფუნქციები, რკინიგზის საბაჟოს ფუნქციებთან ერთად, რეგიონულ საბაჟო "აღმოსავლეთს" გადაეცა.

# როგორი იქნება ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონი 2005 წელს?

ეთერ მამულაშვილი

*მთავრობა 2005 წლის ძირითად მაკროეკონმიკურ მაჩვენებლებსა და სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგად პარამეტრებზე თანხმდება. მეტიც მომავალი წლის პარალელურად, თითქმის უკვე მზადაა ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონის, 2006 და 2007 წლების ძირითადი მიმართულებები. ოპტიმისტურ ციფრებს თუკი ვენდობით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ უახლოეს სამ წელიწადში ბიუჯეტის შემოსავლები 2 მილიარდ ლარს გადააჭარბებს, თითქმის ნახევარი მილიარდით შემცირდება ქვეყნის შიდა ვალი, მთლიანად დაიფარება მიმდინარე დავალიანებები და სულ მცირე – გაორმაგდება ჯანდაცვისა და და სოციალური დაცვის ღონისძიებების დაფინანსება.*

გამართლდება თუ არა საზოგადოების მოლოდინი, ამას უახლოესი წლები გვიჩვენებს, თუმცა კომპეტენტური ადამიანები ირწმუნებიან, რომ ხელისუფალთა დანაპირები აბსოლუტურად რეალურია, რომლის შესასრულებლად ერთი მარტივი პირობაა აუცილებელია – ეს პოლიტიკური ნებაა.

თვადაპირველად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ის ძირითადი მაჩვენებლები, რომელის შესრულებასაც მთავრობის დაპირებით, მომავალ წელს უნდა ველოდოთ: 2005 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპები 6 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი, ინფლაცია კი 5 პროცენტის ფარგლებში, საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 17.3 პროცენტამდე გაიზრდება, ხოლო შემოსავლები – 18.4-მდე. სახელმწიფო ინვესტიციები თითქმის 180 მილიონ ლარამდე გაიზრდება. მომავლი წლის ბოლოს კი მიმდინარე დავალიანებები მშპ-ს 1.4 პროცენტით შემცირდება. ფულის მასისს ზრდა დაახლოებით 20 პროცენტით არის მოსალოდნელი, ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების მიზნით ეროვნული ბანკიდან აღებული გრძელვადიანი კრედიტები კი 0.25 პროცენტით შემცირება. მშპ-ს თითქმის ერთ-ერთი პროცენტი დაიხარჯება ქვეყნის საგარეო და საშინაო ვალის მომსახურებაზე. მომავალ წელს ქვეყნას კვლავ ექნება უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, თუმცა მთავრი ფინანსისტების გათვლით სავაჭრო დეფიციტის სიდიდე მშპ-ს 14.9 პროცენტს არ გადააჭარბებს. ექსპორტი მშპ-ს მიმართ 35.5 პროცენტამდე ამაღლდება, ხოლო უცხოური ინვესტიციების გააქტიურების ფონზე იმპორტის წილი მშპ-ს მიმართ 51 პროცენტზე ნაკლები იქნება.

რაც შეეხება მომავალი წლის ბიუჯეტს: წინასწარი გათვლებით ხარჯების საერთო მოცულობა წლევანდელთან შედარებით 2005 წელს თითქმის 8 პროცენტით იზრდება. მომავალ წელს მთავრობა საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაზღვევისათვის 11 პროცენტით მეტის დახარჯვას აპირებს. განათლების ხარჯები 8 პროცენტით იზრდება, თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაფინანსება – 9 პროცენტით, ენერგეტიკის – 7.8 და სხვა.

მთვარობის პროგნოზით 2005 წელს შემოსავლებმა და გრანტებმა სულ მილიარდ 554 მილიონ ლარს უნდა გადააჭარბოს, აქედან მილიარდ 322 მილიონი საგადასახადო შემოსავლებზე მოდის, რაც წლევანდელთან შედარებით 210 მილიონზე მეტია. შემოსავლების თითქმის 10 პროცენტიანი ზრდის მთავარი მიზეზი, როგორც ფინანსთა სამინისტროში ირწმუნებიან, არალეგალური ბიზნესის შემცირება, ადმინისტრირების გამაკაცრება და ლიბერალური საგადასახადო კოდექსი იქნება.

საბაჟო, აქციზისა და დამატებითი ღირებულების გადასახადებიდან მომავალ წელს 833 მილიონზე მეტის მობილიზება იგეგმება.

საგარეო ვალის მომსახურებისათვის 2005 წელს 200 მილიონი იქნება გათვალისწინებული, შიდა ვალისთვის 101 მილიონი. ვალის დაფარვის ამ ტემპის პირობებში, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანას ვალების სრულად გასასტუმრებლად 10-15 წელი კიდევ დასჭირდება. ცნობისათვის 1 ივნისის მდგომარეობით საგარეო ვალის მოცულობა 3 მილიარდ 500 მილიონ ლარს აღწევს, შიდა ვალი – მილიარდნახევარს.

კიდევ 147 მილიონით შემცირდება ქვეყანაში მიმდინარე დავალიანებების მოცულობა, რომლის დიდი ნაწილი ხელფასებსა და პენსიებზე მოდის.

სახელმწიფოსთვის 2005 წელს კვლავ პრიორიტეტად რჩება თავდაცვა – 80 მილიონი ლარი, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება – 132, განათლება – 93 მილიონი, ჯანდაცვა – 113, სოციალური უზრუნველყოფა – 353.

ერთი საყურადღებო დეტალი. წლევანდელთან შედარებით 2005 წლის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყარო 184 მილიონიდან 116 მილიონამდე მცირდება. ასევე უმნიშვნელოდ იზრდება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მისაღები თანხების ოდენობა – 19-დან 24 მილიონამდე. რაც თავისთავად იმაზე მიანიშნებს, რომ მომავალ წელს ბიუჯეტის დეფიციტი საგრძნობლად შემცირდება.

და ბოლოს - თუ გავითვალისწინებთ, რომ მთავრობა უკვე დამტკიცებული 2004 წლის ბიუჯეტის პარამეტრების შეცვლას გეგმავს უახლოეს დღეებში, ცხადი ხდება, რომ 2005 წლის პარამეტრები, შესაძლოა, კიდევ უფრო სერიოზულად შეიცვალოს.

**2005-2007 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მიმართულებები და მონაცემები (მილიონ ლარებში)**

| ძირითადი პარამეტრები: | 2004 | 2005 პროგნოზი | 2006 პროგნოზი | 2007 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|
| სულ შემოსავლები და გრანტები | 1246.2 | 1554.9 | 1827.9 | 2162.9 |
| სულ შემოსავლები | 1109.1 | 1417.6 | 1686.9 | 2,019 |
| საგადასახადო შემოსავლები | 1113.9 | 1322.0 | 1561.1 | 1846.5 |
| არაპირდაპირი გადასახადები | 701.2 | 833.4 | 970.5 | 1130.4 |
| პირდაპირი გადასახადები | 99.0 | 116.8 | 137.4 | 161.0 |
| სულ ხარჯები | 1393.6 | 1501.2 | 1772.8 | 2206.2 |
| მიმდინარე ხარჯები | 1239.3 | 1321.6 | 1561.3 | 1957.6 |
| პროცენტის გადახდა | 188.8 | 198.4 | 206.8 | 215.6 |
| შიდა ვალზე | 98.9 | 101.5 | 104.8 | 107.9 |
| საგარეო ვალზე | 89.9 | 96.9 | 101.9 | 107.7 |
| კაპიტალური ხარჯები | 164.2 | 176.5 | 211.5 | 248.6 |
| [illegible] | 305.2 | 320.5 | 327.6 | 342.7 |
| თავდაცვა | 73.8 | 80.4 | 109.4 | 143.9 |
| [illegible] | 121.6 | 132.5 | 160.1 | 170.1 |
| განათლება | 86.2 | 93.1 | 128.2 | 170.1 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 101.8 | 113.0 | 134.5 | 170.1 |
| სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა | 318.3 | 363.3 | 420.4 | 523.4 |
| [illegible] | 4.5 | 4.7 | 5.0 | 5.2 |
| [illegible] | 33.9 | 34.2 | 36.3 | 36.6 |
| [illegible] | 34.3 | 37.0 | 58.8 | 91.6 |
| [illegible] | 18.2 | 18.7 | 20.9 | 23.7 |
| [illegible] | 1.7 | 1.7 | 1.7 | 1.7 |
| [illegible] | 58.7 | 59.3 | 74.1 | 91.6 |
| სხვა ხარჯები | 231.7 | 249.0 | 303.3 | 432.4 |
| [illegible] | -93.7 | -147.8 | -164.5 | 11.1 |
| დეფიციტის დაფინანსება | 233.8 | 178.6 | 203.4 | 148.0 |
| საშინაო წყაროებიდან | 30.0 | 38.0 | 36.3 | 39.3 |
| საგარეო წყაროებიდან | 184.5 | 116.2 | 141.0 | 78.5 |
| პრივატიზაცია | 19.3 | 24.4 | 27.1 | 30.2 |

შენიშვნა: [illegible]


## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**2 ივლისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ანდრონიკაშვილის(ნაწილობრივ), ფოცხიშვილის, რიონის, დავით სარაჯიშვილის, მიხაკო წერეთლის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**2 ივლისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
დოდაშვილის მოედნის, ჩოლოყაშვილის(ნაწილობრივ), დოდაშვილის, ბაღდადის, ბოლნისის, ჩკალოვის, ჰოსპიტალის, ნავთლუღის, რთველაძის, რუისის, სახალხოს ქუჩების მაცხოვრებლებს.

## ადამიანური რესუსრსის მენეჯმენტის ცენტრი ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის დაკვეთით აცხადებს კონკურს შემდეგ თანამდებობებზე:

**ფინანსური მენეჯერი**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- ორგანიზაციის ფინანსური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა.
- ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის წარმართვა.
- ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის დაგეგმვა და ანალიზი.
- ორგანიზაციის ფინანსური დეპარტამენტის მართვა.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- სრული უმაღლესი განათლება ეკონომიკის და მენეჯმენტის სფეროში.
- ფინანსური დაგეგმვისა და ანალიზის გამოცდილება.
- უცხო ენის ცოდნა
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- გუნდური მუშაობის უნარი
- მართვის უნარი.
- შესატყვის სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება (სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობებზე)

**ტექნიკური მენეჯერი**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- ორგანიზაციის ტექნიკური სამსახურების საქმიანობის წარმართვა.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- სრული უმაღლესი განათლება მენეჯმენტის სფეროში. (სასურველია ტექნიკური განათლებაც.)
- შესატყვის სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება (სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობებზე)
- უცხო ენის ცოდნა
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- გუნდური მუშაობის უნარი
- მართვის უნარი.

**განცხადების მიღების ვადაა 1 ივლისიდან 14 ივლისამდე.**
*დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრს.*

**მისამართი:** მელიქიშვილის 12, სასტუმრო საქართველო, V სართული. ტელეფონები: 22 13 23, 22 13 32, pmc@internet.ge

## ორი სიტყვით

**ერაყი.** ერაყში ამერიკული შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელმა, გენერალმა რიკარდო სანჩესმა უფლებამოსილება არმიის გენერალს ჯორჯ კეისის გადასცა. კოალიციური ძალების მხრიდან უფლებამოსილების გადაცემა ბაღდადის აეროპორტის ახლოს დისლოცირებულ ამერიკულ სამხედრო ბაზაზე მოხდა. პენტაგონის წარმომადგენელთა განცხადებით, სანჩესის ჩანაცვლება კადრების როტაციის პრინციპით ხდება და არანაირი კავშირი არა აქვს აბუ გრაიბის ციხის სკანდალთან. სანჩესი კი კვლავ გერმანიაში დისლოცირებული აშშ-ს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელის პოსტს დაიკავებს. ***იტარ-ტასი***

■ ■ ■

**პაკისტანი.** პრეზიდენტ მუშარაფის განცხადების თანახმად, პაკისტანი მომავალი ორი თვის განმავლობაში ახალი ბირთვული იარაღის გამოცდას აპირებს. მას არ დაუკონკრეტებია, ეს საცდელი ატომური ბომბის გამოცდა იქნება თუ ბირთვული ქობინის მქონე ახალი რაკეტის საცდელი გაშვება. მან ასევე უარყო ბირთვულ შეიარაღებასთან დაკავშირებით პაკისტანის მხრიდან რაიმე დათმობებზე წასვლა. ჯერ კიდევ 2004 წლის დასაწყისში "პაკისტანური ბირთვული იარაღის მამამ" აბდულ კადირ ხანმა აღიარა, რომ საიდუმლოდ აწვდიდა სარაკეტო და ბირთვულ ტექნოლოგიებს ირანს. დამკვირვებელთა აზრით, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან ძლიერი ზეწოლა პაკისტანის სარაკეტო-ბირთვული პროგრამის განვითარებაზე დიდ ზეგავლენას იქონიებს. **24 საათი**

■ ■ ■

**ინდონეზია.** ინდონეზიის პოლიციამ დააკავა ექვსი პირი, მათ შორის ერთი უცხოელია. ისინი ეჭვმიტანილნი არიან 2002 წელს კუნძულ ბალიზე ტერაქტის მოწყობაში, რომელმაც 202 კაცი იმსხვერპლა. ეროვნული პოლიციის წარმომადგენლის, გენერალ ფეიმანის განცხადებით, აღნიშნული პირები სოლოს (ჯაკარტიდან 500 კმ-ით დაცილებული ქალაქი) ცენტრალურ ნაწილში იქნენ დაკავებულნი, "ალ ქაიდასთან" დაკავშირებული ჯემა ისლამის ქსელის ხელმძღვანელის აბუ ბაქარ ბაშირის სახლში, რომელსაც ბრალად ედება ზემოხსენებული ტერაქტის ორგანიზება. გარდა ბალიზე მომხდარი აფეთქებისა, დაკავებულები ეჭვმიტანილნი არიან ასევე ჯაკარტაში გასული წლის აგვისტოში სასტუმრო მარიოტში განხორციელებულ ტერაქტში, რომელმაც 12 ადამიანი შეიწირა. ბალის ტერაქტთან დაკავშირებით ინდონეზიის ხელისუფლებამ ისლამისტური დაჯგუფების 30 წევრი გაასამართლა და სამ მათგანს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. გარდა ამისა, "ზემოაღნიშნულ ტერაქტებში ეჭვმიტანილია კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ამჟამად დაკავებულებს შორის არ არიან," - დაამატა გენერალმა ფეიმანმა. **როიტერი**

■ ■ ■

**ავღანეთი.** სექტემბერში დაგეგმილი საერთო სახალხო არჩევნები სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის, აზრთა სხვადასხვაობის გამო, შესაძლოა გადაიდოს. ავღანური კანონმდებლობის თანახმად, არჩევნების თარიღი ჩატარებამდე არაუგვიანეს 90 დღით ადრე უნდა დაინიშნოს. დღეს კი თარიღის შესათანხმებლად ბოლო დღეა, თუ მისი ჩატარება ავღანეთის ხელისუფლებას გეგმის მიხედვით სურს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ჰონკონგი.** ათასობით თეთრ სამოსში გამოწყობილმა ადამიანმა ჩინური მმართველობის წინააღმდეგ პროტესტი დემონსტრაციებით გამოხატა. ისინი ქუჩაში საკუთარი ხელისუფლების არჩევის მოთხოვნაზე პეკინის მხრიდან უარმა გამოიყვანა. **როიტერი**

# ყოფილი დიქტატორის პროცესი დაიწყო



*"სასამართლო - სპექტაკლია, ბუში კი - ნამდვილი კრიმინალი".*

ხათუნა ბაბიევი

1 ივლისს სადამ ჰუსეინისა და მისი ხელისუფლების 11 წარმომადგენლის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაიწყო, რომელიც, სავარაუდოდ, მალე არ დასრულდება. პროცესი პრესისთვის ღია იქნება, თუმცა ტელევიზიით მისი ტრანსლაცია არ მოხდება.

სადამ ჰუსეინი აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა 2003 წლის 13 დეკემბერს მისი მშობლიური ქალაქის, ტიკრიტის ახლოს აიყვანა. დაპატიმრებიდან შვიდი თვის შემდეგ, ყოფილი დიქტატორი პირველად ჩნდება სახალხოდ. სადამ ჰუსეინი ბაღდადის აეროპორტთან მდებარე ამერიკულ ბაზაზე "კემპ ვიქტორიაზე" ერთ-ერთ შენობაში განთავსებულ, სპეციალურად ამ პროცესისთვის შედგენილ ტრიბუნალზე, უცნობი ადგილიდან ვერტმფრენით ჩაიყვანეს. სასამართლოზე საკუთარი ვინაობის დადასტურებისას, სადამ ჰუსეინმა განაცხადა, რომ "იგი ჯერ კიდევ ერაყის პრეზიდენტია და საგანგებოდ შედგენილი ტრიბუნალის კანონიერებას არ ცნობს". დამნაშავეებს გააცნეს ბრალდების ტექსტი, რომელიც 12 პუნქტისგან შედგება, რის შემდეგაც მათ კითხვების დასმის საშუალება მიეცათ. ბრალდების ძირითადი პუნქტებია ომის სამართლის დარღვევა, გენოციდი და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული. დანარჩენი პუნქტები საზოგადოებისთვის მოგვიანებით გახდება ცნობილი.

წაყენებული ბრალდებები სადამ ჰუსეინმა უარყო და სასამართლო პროცესს - "სპექტაკლი", ხოლო აშშ-ს პრეზიდენტს ნამდვილი "კრიმინალი" უწოდა. სასამართლო პროცესზე ყოფილი დიქტატორი ხელებშეკრული მიიყვანეს და ხელბორკილი მხოლოდ საბრალდებო პუნქტების გაცნობისას მოხსნეს, რაც სულ 30 წუთი გრძელდებოდა.

1990 წელს კუვეიტში შეჭრის ბრალდებაზე სადამ ჰუსეინმა განაცხადა, რომ ეს მას დანაშაულად არ მიაჩნია, რადგან "კუვეიტი ერაყის ტერიტორიაა და ეს ნაბიჯი ერაყელი ხალხის საკეთილდღეოდ გადადგა, თანაც, სხვა თუ არაფერი, კუვეიტელების თავხედობა იქამდეც კი მიდიოდა, რომ ერაყელი ქალების ათდინარიან მეძავებად გადაქცევას ცდილობდნენ".

67 წლის ერაყის ყოფილი დიქტატორი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში შემდეგი შვიდი ფაქტის საფუძველზეა ბრალდებული: 1998 წელს ჰალაბჯაში ქურთების წინააღმდეგ მომწამვლელი გაზის გამოყენება; 1991 წელს შიიტთა აჯანყების ჩახშობა; 1980-1988 წლებში ირანთან ომი; 1990 წელს კუვეიტში შეჭრა; ქურთული ბარზანის ტომის წევრების მასობრივი მკვლელობა; 1980-იან წლებში ქურთების წინააღმდეგ "ანფალის" (სამხედრო კოდური სახელწოდება ყურანის ერთ-ერთი სურის მიხედვით) კამპანიის წარმოება და 1980 და 1999 წლებში შიიტთა რელიგიური ლიდერების მკვლელობა.

ბრალდების გაცნობის შემდეგ სადამ ჰუსეინმა ხელი არ მოაწერა საბრალდებო აქტს, რის შემდეგაც იგი კვლავ ციხეში გადაიყვანეს, ხოლო მისი ხელისუფლების დანარჩენ 11 წევრს ცალ-ცალკე წაუყენეს ბრალდებები. "ბაას"-ის რეჟიმის წარმომადგენლებს შორის არიან: სადამ ჰუსეინის მდივანი აბედ ჰამიდ მაჰმუდი, ვიცე-პრეზიდენტი ტაჰა იასინ რამადანი, ყოფილი ვიცე-პრემიერი თარიქ აზიზი და ექს-პრეზიდენტის მრჩეველი და ბიძაშვილი ალი ჰასან ალ მაჯიდი, ცნობილი, როგორც "ქიმიური ალი".

სადამ ჰუსეინს 20 საუკეთესო ადვოკატი ჰყავს, თუმცა გუშინდელ პროცესს არც ერთ მათგანი არ ესწრებოდა. მათგან ერთ-ერთმა, მოჰამად რაშდანმა "ბი-ბი-სი"-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ არა მარტო ბრალდებულებზე ხორციელდება ზეწოლა, არამედ მათი, ადვოკატების თავისუფლებაც იზღუდება, რასაც ერაყის მთავრობის მხრიდან მათი ფიზიკური ლიკვიდაციის მუქარაც ადასტურებს.

ერაყის ახალი უშიშროების საბჭოს მრჩევლის, მოუფაყ ალ რუბაის სიტყვებით კი, სამართალმა უნდა იზეიმოს. "ერაყის დროებითი მთავრობა ერაყელ ხალხს, მთელ არაბულ და დანარჩენ სამყაროს ჰპირდება, რომ სასამართლო გასართობი წარმოდგენის სახეს არ მიიღებს, არამედ სადამ ჰუსეინი გასამართლებული იქნება კანონის მთელი სიმკაცრით," - აცხადებს ახალი უშიშროების საბჭოს მრჩეველი ბრიტანულ ტელეკომპანია "ბი-ბი-სი"-სთან ინტერვიუში.

როგორც ცნობილია, "ბაას"-ის რეჟიმის დამხობის შემდეგ, აშშ-მ გააუქმა სიკვდილით დასჯა. თუმცა, ერაყის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის, ღაზი იავარის თქმით, ქვეყნის ხელისუფლება აუცილებლად აღადგენს ამ კანონს. იმ 12 პუნქტიდან, რომელიც სადამ ჰუსეინს აქვს ბრალად წაყენებული, ოთხი სწორედ განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულია და ერაყული სამართლის მიხედვით, სიკვდილით დასჯა ესადაგება.

# ბელორუსის პრეზიდენტის არჩევანი

### თუ არჩევანის არარსებობა?



*ალექსანდრ ლუკაშენკომ თავად ჩაიგდო თავი გამოუვალ მდგომარეობაში.*

*მომავალ კვირას რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ბელორუსში ჩავა ალექსანდრ ლუკაშენკოსთან შესახვედრად. მიზეზი საკმაოდ ამაღლებულია – ბელორუსი ერთდროულად ორ თარიღს, დამოუკიდებლობის დღეს და გერმანელი ფაშისტებისაგან გათავისუფლების 60 წლისთავს აღნიშნავს. ასე რომ, შეხვედრა სიმბოლიზმით იქნება აღსავსე, რომელთა უმეტესობა ორ პრეზიდენტს საერთო "ბედნიერი" წარსულის მოგონებებს აღუძრავს. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთი, სიმბოლურ თარიღებთან დაკავშირებული შეხვედრები საუკეთესო მიზეზია, რათა მკაცრი ეტიკეტის ჩარჩოებს მიღმა ყველა დელიკატური საკითხი იქნეს განხილული. უკანასკნელ ხანებში კი დელიკატური საკითხები, მით უმეტეს, ისეთები, რომლებიც ორივე მხარის პოზიციების ნათლად ჩამოყალიბებას მოითხოვს, საკმარისზე მეტი დაგროვდა.*

აღსანიშნავია, რომ გასული წლის შემოდგომის ბოლოდან, ანუ "გაზის კონფლიქტის" დაწყებიდან, უმაღლეს დონეზე შეხვედრები დიდი ხნის მანძილზე არ იმართებოდა. და ეს თითქოს განგებ ხდებოდა – ორივე მხრიდან სრული, დემონსტრაციული სიჩუმე სუფევდა. მართალია, გასულ თვეში დსთ-ს ფარგლებში გამართულმა სამიტმა დაარღვია ეს პაუზა, მაგრამ პრობლემების სრულფასოვანი მოგვარება – მათ შორის გაზის მიწოდების თაობაზე (ახლანდელი კონტრაქტით ბელორუსისთვის გაზის მიწოდება მხოლოდ წლის ბოლომდეა გათვალისწინებული), ვერაფრით მოხერხდა. მოსკოვსა და მინსკს შორის უთანხმოება იზრდება და ძველ პრობლემებს ახლებიც ემატება.

გასულ კვირას ლუკაშენკომ რუსების გულის მოგება კიდევ ერთხელ სცადა. მისი, პირფერობანარევი განცხადება რუსეთისთვის ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომ ლუკაშენკო პრეზიდენტ პუტინის ერთგულია ანუ ბელორუსი კვლავაც რჩება რუსეთის ყველაზე ახლობელ და სანდო მოკავშირედ. "ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადება იმის შესახებ, რომ ბელორუსი დასავლეთისკენ შებრუნდება, უსაფუძვლოა," - ამბობს ბელორუსის პრეზიდენტი. მისივე სიტყვებით, მას, ვისაც "გულწრფელად სჯერა კავშირისა და ხალხთა ერთობის, შეუძლიათ მშვიდად იყვნენ ბელორუსის რუსეთთან ინტეგრაციის კურსის ურყევობის გამო". მართალია, საკავშირო ურთიერთობების შენებისას მრავალი სირთულე არსებობს, მაგრამ ამ სირთულეებს მოქმედება იწვევს და არა უმოქმედობა. "მთავარი მაინც ერთად ყოფნის სურვილია და არა გამორჩენა," - რუსებში სლავური ერთობის გრძნობის გაღვიძებას ცდილობს ლუკაშენკო.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ექსპერტები შენიშნავენ, რომ ლუკაშენკოსთვის დამახასიათებელი ექსცენტრული გამოსვლები რუსებსაც მობეზრდათ. ბოლოდროინდელ ანალიზებში მიმომხილველებმა ღიად დაიწყეს საუბარი იმის შესახებ, რომ, თითქოსდა, რუსეთი ლუკაშენკოს შემცვლელს აქტიურად ეძებს. თუმცა, მოსკოვს სერიოზულად მოუწევს გათვლა, რათა ბელორუსებისთვის მისაღებმა კანდიდატმა შემდგომში თავად რუსეთს არ შეაქციოს ზურგი და დასავლეთთან დაახლოება არ მოინდომოს.

დასავლეთსა და ლუკაშენკოს ურთიერთობები კი ცალკე განხილვის საკითხია. დასავლური აზროვნებისათვის იმდენად მიუღებელია ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოლიტიკური ფიგურა, რომ მას, არცთუ იშვიათად, სადამ ჰუსეინთან ერთად მოიხსენიებდნენ. ამერიკელმა ჟურნალისტებმა ერაყის ომის წინ პროგნოზიც კი გააკეთეს, რომ ერაყელ დიქტატორს (ასეთი შესაძლებლობა რომ მისცემოდა) მთელ მსოფლიოში, ლუკაშენკოს გარდა, არავინ შეიფარებდა.

დასავლეთის ასეთი პოზიცია კი თავად ბელორუსი ლიდერის ქცევით არის გამოწვეული. "თვითმპყრობელი (ლუკაშენკოს აბსოლუტური მმართველობის მისწრაფებები ეჭვს აღარ იწვევს) ოპოზიციას გაუსწორდა და სწორედ მის კისერზეა ბელორუსის იზოლაცია დანარჩენი სამყაროსგან," - წერს ერთ-ერთი გერმანული გაზეთი. ბელორუსი სოციალისტური და ავტოკრატიული მმართველობის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს. აქ სიტყვის თავისუფლება ისეთივე უცხო ხილია, როგორც საბჭოთა პერიოდში. და ეს ეხება არა მხოლოდ ადგილობრივ ჟურნალისტებს, არამედ უცხოელებსაც. მაგალითად, გასულ კვირას უკრაინელი ჟურნალისტი მიხაილ პოდოლიაკი მხოლოდ იმის გამო გააძევეს ქვეყნიდან, რომ, თურმე, "ეროვნული უშიშროებისთვის საფრთხეს" წარმოადგენდა. ბელორუსში მეოთხე სექტორი თითქმის არ არსებობს - მხოლოდ გასულ წელს 50 არასამთავრობო ორგანიზაცია დაიხურა.

ლუკაშენკო ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდებიან ერთ დროს პოპულარული ლიდერები დიქტატორები. 1994 წელს ლუკაშენკოს გაპრეზიდენტებას ხალხმა მხარი მართლაც გულწრფელად დაუჭირა. თუმცა, ორიოდე წელიწადში მან პარლამენტის დათხოვნა, მმართველობის ვადის გახანგრძლივება და აბსოლუტური ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოასწრო. შედეგად, საპრეზიდენტო არჩევნები არა 1999, არამედ 2001 წელს ჩატარდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეში ხალხს დიდი მხარდაჭერა არც 2001 წელს გამოუხატავს, - ასე მიიჩნევდა დამკვირვებელთა უმრავლესობა. როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში ხდებოდა, ბელორუსის 2001 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მასობრივი დარღვევებითა და გაყალბებით ხასიათდებოდა. ანუ, არჩევნების ცნება ბელორუსში ფიქციაა და ერთ-ერთი კანდიდატის გამარჯვებას არა ამომრჩევლის ნება, არამედ სხვა ფაქტორები განაპირობებენ.

ლუკაშენკოსთვის ქვეყნის სათავეში ყოფნის 10-წლიანი ვადაც არ აღმოჩნდა საკმარისი. დღეს იგი საჯაროდ აცხადებს, რომ რეფერენდუმის გზით შეეცდება კონსტიტუციის შეცვლას და კიდევ ერთი საპრეზიდენტო ვადის "მოხდას". თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ლუკაშენკომ მოახერხა და ერთადერთი პარტნიორი - რუსეთიც გაანაწყენა, შესაძლოა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდეს. ალბათ, ამის გამოა, რომ ბელორუსის მმართველი რუსეთის და მისი პრეზიდენტის მიმართ ლამაზ ეპითეტებს არ იშურებს. და ეს ბუნებრივიცაა, ლუკაშენკოს ბედი მთლიანად დიდ მეზობელზეა დამოკიდებული. კიდევ, ალბათ იმაზეც, რამდენს დაუთმობს ლუკაშენკოს ბელორუსი რუსეთს და აღმოჩნდება თუ არა ეს დათმობები კრემლისათვის საკმარისი.

დღეს დასავლეთისგან შეძულებული პოლიტიკოსისთვის ერთადერთი რამე რჩება გასარკვევი - რამდენად მოისურვებს თავად რუსეთი გაუწონასწორებელ ლუკაშენკოსთან ურთიერთობას, თუ ის უფრო მორჩილ მარიონეტს შეარჩევს ბელორუსისთვის და, შესაბამისად, თავისი თავისთვისაც.


Mercy Corps

## ბავშვთა თვითშემოქმედების ფესტივალი რუსთავში

btc SCP

ივნისის ერთ ლამაზ დღეს ორგანიზაცია მერსი ქორმა და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა მოაწყვეს ბავშვთა თვითშემოქმედების ფესტივალი, რომლის მიზანი იყო საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამაში (სიპ-ა) ჩართული თეთრიწყაროსა და გარდაბნის რაიონის სოფლების ახალგაზრდების თვითშემოქმედების წარმოჩენა და მათ შორის კულტურული ურთიერთობების ხელშეწყობა. ღონისძიება დაფინანსებული იყო ბი-პისა და მისი პარტნიორების BTC და SCP პროექტების მიერ.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 15 სოფლის სასკოლო ჯგუფმა და ყველა მათგანმა არაჩვეულებრივი წარმოდგენა გამართა და შეასრულა როგორც თანამედროვე, ასევე ფოლკლორული სიმღერები და ცეკვები. როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, კონცერტი ასახავდა საქართველოში მაცხოვრებელი სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანების კულტურას და მათ ძალიან ბევრი ახალი რამ შეიტყვეს მეზობელი სოფლების შესახებ. კონცერტის ბოლოს ყველა მონაწილე სკოლას გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები ორგანიზატორების სახელით.



საზოგადოებრივი პროგრამის დირექციამ აღნიშნა, რომ ეს კონცერტი მხოლოდ დასაწყისია საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ახალგაზრდული საქმიანობებისა, რომლის ფარგლებშიც არაერთი სპორტული შეჯიბრება თუ სხვა ღონისძიება მოეწყობა. პროგრამის ყველა თანამშრომელი კიდევ ერთხელ დიდ მადლობას უხდის ღონისძიების ყველა მონაწილეს უაღრესად საინტერესო კონცერტისათვის.







## გადარიცხვები შეჩერებულია

ნონა მაისურაძე

უმწეოთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა, რომელიც საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში 2004 წლიდან ამოქმედდა, დროებით შეჩერებულია. მიუხედავად ამისა, ფონდის მისაღებს დღემდე უამრავი ადამიანი აკითხავს იმ იმედით, რომ მათთვის მკურნალობის საფასურს სახელმწიფო ისევ გაიღებს.

მას შემდეგ, რაც ფონდში ყველა განცხადება კომისიური წესით განიხილებოდა და უმწეოებმა დახმარება რეალურად მიიღეს, მსურველთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ფონდში ყოველდღიურად, საშუალოდ, 200-მდე განცხადება შემოდიოდა. იყო შემთხვევები, როცა მათი რიცხვი 400-ს აღწევდა. ცხადია, ყველა განცხადების დაკმაყოფილება ფონდის მთელი ბიუჯეტითაც კი შეუძლებელია. ამიტომ, თანხა რომ სწორედ მათზე განაწილდეს, ვისაც ეკუთვნის და მაქსიმალურად გამოირიცხოს გაყალბება, კომისია უფრო წარმომადგენლობითი უნდა გახდეს. სწორედ ამიტომ, ახალი პროექტის მიხედვით, დაახლოებით, ორი კვირის ვადაში კომისია ჯანდაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოში, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადავა. თუმცა, დაფინანსების წყარო ჯერჯერობით იგივე დარჩება; თანხის გადარიცხვა ფონდის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლის მიხედვით მოხდება და, გარკვეულწილად, კომისიაზე გატანილი დახმარების მოცულობა ლიმიტირებული იქნება.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელის განცხადებით, ფონდისთვის ეს პროგრამა ძირითად პრიორიტეტს არ წარმოადგენს, ამიტომ მისი ჯანდაცვის სამინისტროში გადატანა უფრო მისაღები იქნება. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ფონდის თანამშრომლებიც. განცხადებები ისევ კომისიური წესით განიხილება და ძირითად პრიორიტეტად კვლავ ბავშვები დარჩებიან.

## შესწორება

გაზეთ "24 საათის" 25 ივნისის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში "გერონტოკრატიული მმართველობა" გაიპარა ტექნიკური უზუსტობა. მესამე აბზაცში წინადადება - "სრულიად ცხადი ხდება, რომ ჩვენი მეცნიერების ორგანიზაციის გადაცემა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის საფუძველს მოკლებულია" - უნდა იკითხებოდეს ასე: "სრულიად ცხადი ხდება, რომ ჩვენი მეცნიერების ორგანიზაციის გადაცემა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის საფუძველს არ არის მოკლებული"; ხოლო მეოთხე აბზაცში წინადადება – "ამასთან, მას ახდევინებენ ხელმძღვანელის გასამრჯელოსა და, აგრეთვე - გარკვეულ თანხას ინსტიტუტისთვის", ასე: "ამასთან, მას და მაძიებელს, ზოგ შემთხვევაში, ახდევინებენ ხელმძღვანელის გასამრჯელოსა და, აგრეთვე - გარკვეულ თანხას ინსტიტუტისთვის".


## განცხადება

შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" სურს მოიძიოს მომწოდებლები მრიცხველების დასალუქად გამოსაყენებელ ბრჯენების (პლომბი) და მავთულის შესყიდვაზე.

**აუცილებელია** ბრჯენებზე დატანილ იქნას შესაბამისი ნომერი და დამკვეთის დასახელება ან ლოგო, ასევე მოთხოვნის შესაბამისი ფერი.

**რაოდენობა**: ბრჯენები ------- 12000 ცალი
მავთული ------- 10 ბარაბანი

განცხადებების მიღების ბოლო ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 10 კალენდარული დღე.

შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
მისამართი - ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2
საკონტაქტო პირი
ლ. შენგელია - 98 98 16, მობ. 8(99) 54 04 24


## კრედიტ-ქულების საზეიმო გაუქმება

ზაზა ფაჩუაშვილი

*შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი თავის კოლეგა ექიმებს შორის მძლავრი ტემპით იხვეჭს პოპულარობას. ამ საქმეში მას ფასდაუდებელ სამსახურს უწევს დისკრედიტირებული სამედიცინო რეფორმა, რომელიც შევარდნაძის დროს დაიწყო და იქვე დარჩა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ლადო ჭიპაშვილი მძლავრი ტემპით იხვეჭს პოპულარობას.*

1995 წელს დაწყებულ სამედიცინო რეფორმას დადებითად მხოლოდ საზღვარგარეთელი ექსპერტები აფასებდნენ. ამას ორი მიზეზი ჰქონდა. პირველი - ეს იყო ჯანდაცვის საბჭოთა სისტემის ალტერნატივა და მეორე - უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შექმნილი ეროვნული ჯანდაცვის დოკუმენტი მაქსიმალურად უახლოვდებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. მაგრამ, უცხოელთა შეფასება უხელფასო ქართველი ექიმებისა და გადახდისუუნარო პაციენტებისათვის ვერაფერი შეღავათი იყო. რეფორმის ერთ-ერთ მთავარ ინიციატორს შევარდნაძეს კი მუდამ უხდებოდა თავის მართლება, - ჯანდაცვის რეფორმა რომ არ დაგვეწყო, დასავლეთი დახმარებას აღარ მოგვცემდაო.

ოფიციალურად კი, ყველაფერი დაუფინანსებლობას ბრალდებოდა. ჯანდაცვის წლიური ბიუჯეტი 25 მილიონ დოლარს არ სცილდებოდა და ისიც 40 პროცენტით სრულდებოდა.

დღის წესრიგში მუდმივად იდგა სამედიცინო დაწესებულებებისა და მედპერსონალის შემცირება. იგივე საერთაშორისო სტანდარტებით საქართველოს, მაქსიმუმ, 10 ათასი ექიმი სჭირდებოდა. შეძლებისდაგვარად, ობიექტური გადარჩევის მიზნით, დაიწყო სამედიცინო დაწესებულებათა ლიცენზირებისა და ექიმთა სერტიფიცირების პროცესი. სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასულ ექიმს 75-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში ეძლეოდა 5 წლით მუშაობის უფლება. შემდეგ ისევ გამოცდაზე უნდა გასულიყო. 2000 წელს კი დაინერგა უწყვეტი სამედიცინო განათლების (უსგ) სისტემა, რომლის თანახმად, ექიმი სასერტიფიკაციო გამოცდაზე ვერ გავიდოდა თუ 5 წლის განმავლობაში 100 კრედიტ-ქულას ვერ დააგროვებდა. კრედიტ-ქულების დასაგროვებლად კი საჭირო იყო მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში და სასწავლო სემინარებში. 100 კრედიტ-ქულის დასაგროვებლად 10 ღონისძიებაზე დასწრება საკმარისი იყო. რა თქმა უნდა, წელიწადში ორ პროფესიულ თავყრილობაში მონაწილეობა განსაკუთრებულ სიძნელეს არ უნდა წარმოაგენდეს და აუცილებელიც კი უნდა იყოს იმისათვის, რომ ექიმი დროებას არ ჩამორჩეს, მაგრამ საქართველოში ამ სისტემას მაინც კრიტიკით შეხვდნენ. მაშინდელმა ოპოზიციამ უსგ-ს სისტემა ფულის საკეთებელ და ექიმთა ხელოვნურად შემცირების მექანიზმად მონათლა. მათი არგუმენტი ასეთი იყო, – უსახსრობის გამო, ექიმთა უმრავლესობას, მით უმეტეს რაიონებში, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა არ შეუძლიათო.

უსგ-ს მიმართ იგივე კრიტიკული ტექსტები გაისმა გუშინ გრიბოედოვის თეატრში ექიმთა თავყრილობაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი და პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი. სწორედ იქ მოხდა კრედიტ-ქულების საზეიმო გაუქმება.

დღეს უნდა გადავდგათ პირველი სერიოზული და დიდი ნაბიჯი იმისათვის, რომ უსგ-ს სისტემა არ იყოს ექიმებისთვის სატანჯველი და მატერიალურად დამაზარალებელიო, - განაცხადა წერეთელმა.

პირველი ნაბიჯების შესახებ კი ლადო ჭიპაშვილმა ისაუბრა: **"ვაცხადებ, რომ დღეიდან საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება, რომელიც აწესებდა კრედიტ-ქულების ბეგარას ექიმებისთვის, აღარ არსებობს. ასევე, აღარ არსებობს ბრძანება დიპლომისშემდგომი განათლების საბჭოს დებულების შესახებ".**

ამ განცხადებას დიდი ტაში მოჰყვა. ასეთი სიხარული სრულიად გასაგები გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მინისტრმა ადიგენის მაგალითი მოიყვანა. ადიგენში 35 ექიმი ყოფილა, რომელთაგან არც ერთს არ ჰქონია დაგროვებული იმდენი კრედიტ-ქულა, რომ სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლება მოეპოვებინათ. რა ვქნა, მთელი რაიონი უექიმოდ დამეტოვებინაო, - იკითხა მინისტრმა, რომელსაც დარბაზმა მორიგი ტაშით უპასუხა.

ამის შემდეგ ჭიპაშვილმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ აპირებს ექიმთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. მისი განცხადებით, ეს იქნება სისტემა, რომელიც დაინერგება ექიმთა საყოველთაო კონსენსუსის საფუძველზე. ამისათვის ჯანდაცვის სამინისტროში შეიქმნება სპეციალური კომისია, სადაც თავს მოიყრის ექიმების მიერ მოწოდებული ყველა წინადადება. სექტემბრისთვის კი საზოგადოება ექიმთა უწყვეტი პროფესიული განათლების ახალ სისტემას გაეცნობა.

სიტყვის ბოლოს ლადო ჭიპაშვილმა რეგიონებიდან ჩამოსულ ექიმებს დარბაზში დარჩენა სთხოვა, - რაღაც მაქვს სათქმელიო. სანამ თბილისელები გავიდოდნენ, ექიმები მინისტრს შემოეხვივნენ. ყველა ხელის ჩამორთმევასა და მის გადაკოცნას ცდილობდა. რამდენიმე წუთში თბილისელები გავიდნენ, მაგრამ რაიონებიდან იმდენი ექიმი ჩამოსულიყო, რომ დარბაზი მაინც სავსე დარჩა. ლადო ჭიპაშვილმა ისინი რესტორანში ჭიქა ღვინოზე დაპატიჟა.

## ჰიმნი მწვანე აქციის ბოლოს

თამარ ჭაჭანიძე

საზოგადოებრივმა კავშირმა "არჩევანმა" ავლაბრის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის მოაწყო აქცია სახელწოდებით "მწვანე მეგობრები - ბავშვებს" და მათ ოთახის მცენარეები გადასცა.

**"მცენარეების მოვლა ბავშვებისგან მცირეოდენ ყურადღებას მოითხოვს, რის სანაცვლოდ, ბავშვებს სხვისადმი მზრუნველობის გრძნობა გამოუმუშავდებათ",** - აცხადებს საზოგადოებრივი კავშირის ხელმძღვანელი ქეთევან მიქელაძე.

ბავშვებს "არჩევანისგან" სხვა საჩუქრებიც ერგოთ – ტკბილეული და ტანსაცმელი. თავის მხრივ, ბავშვებმაც არ დაიზარეს და კონცერტი გამართეს. ლექსების, სიმღერებისა და არაჩვეულებრივად შესრულებული ცეკვების შემდეგ ბავშვებმა დირექტორთან ერთად "სახლის" ჰიმნი შეასრულეს.





## აშშ-ს მთავრობის ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამაში წარმატებული მონაწილეობისთვის მიეცით რჩევა საქართველოს მთავრობას

მოკლე მიმოხილვა

MCC (ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამა) არის აშშ-ს სამთავრობო ორგანიზაცია, რომლის შექმნის მიზანია, დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის დაძლევა, გაატარონ ეკონომიკური და საკანონმდებლო რეფორმები. ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სააგენტომ 75 კანდიდატი ქვეყნისაგან შეარჩია საქართველო სხვა 15 ქვეყანასთან ერთად. აღნიშნული შერჩევის შედეგად საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, მიიღოს გრანტის დაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი პროგრამა და მომზადებული ხელშეკრულება დააკმაყოფილებენ MCC-ს პირობებს.

ამ დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროექტების და იდეების მოძიება და რეგისტრაცია, რომლებიც შევლენ საქართველოს Millenium Challenge (ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტის მიერ MMC-თვის წარსადგენ საბოლოო საპროექტო წინადადებაში. აღნიშნული კომიტეტის წევრები არიან საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის ლიდერები, პარლამანტარები და საზოგადოების სხვა წევრები.

მრავალმხრივი და სრული საპროექტო წინადადების მომზადების მიზნით, საქართველოს Millenium Challenge(ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, მიმართოს დაინტერესებულ მოქალაქეებს, არასახელმწიფო ორგანიზაციებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, წარადგინონ ისეთი საპროექტო წანადადებები და რჩევები, რომლებიც შეესაბამებიან პროგრამის მიზნებს. წარდგენილი საპროექტო წინადადების შინაარსი არ შემოიფარგლება კონკრეტული სფეროთი ან დარგით.

საქართველოს Millenium Challenge კომიტეტი განიხილავს წარდგენილ რჩევებს და წინადადებებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- გრძელვადიანი და გაზომვადი ეფექტი საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე;
- პროექტი ხასიათდება მრავალმხრივი პოზიტიური ეკონომიკური ეფექტით (გავლენას ახდენს ეკონომიკის რამდენიმე სფეროს ზრდაზე ან ზრდის ხელმშემწყობ ფაქტორებზე);
- რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროექტის განხორციელება? (პასუხში მიუთითეთ, თუ როგორ გავლენას მოახდენს წარდგენილი პროექტი ეკონომიკურ განვითარებაზე და სიღარიბის დაძლევაზე);
- მოახდენს თუ არა პროექტის განხორციელება კონკრეტული რეგიონის განვითარებაზე გავლენას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ განმარტოთ, თუ როგორ გავლენას მოელით.
- პროექტის განხორციელების გარდა, რა დამატებითი ხელშემწყობი ინიციატივებია საჭირო, რომ პროექტის შედეგმა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა?
- აღწერეთ პროექტის დამოკიდებულება სხვა პროექტებთან ან ინიციატივებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება ან ეფექტი დამოკიდებულია სხვა პროექტების განხორციელებაზე, მიუთითეთ ეს პროექტები და მათი თანმიმდევრობა.

წარმატების შემთხვევაში სახელმწიფო გეგმავს თანხების ინვესტირებას ეკონომიკური განვითარებისთვის შემდეგ სფეროებში:

- სახელმწიფო მართვის ოპტიმიზაცია;
- საინვესტიციო ფონდების შექმნა რეგიონებში;
- ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები, წყალი, სხვა);
- ენერგეტიკა.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი რჩევა, თუ რამდენად ეფექტურად მიგაჩნიათ ამ სფეროებში ფულის ინვესტირება ან შემოგვთავაზოთ თქვენი კონკრეტული იდეა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისაკენ.

გთხოვთ, მოგვაწოდეთ მოკლე დემოგრაფიული ინფორმაცია თქვენს შესახებ:

საცხოვრებელი რეგიონი ____________

რომელ სექტორს მიეკუთვნებით?
--- კერძო
--- სამთავრობო
--- არც ერთი

საქმიანობის სფერო (გთხოვთ მიუთითოდ ორგანიზაციის სახელწოდება):
____________
____________

სახელი გვარი ____________ ____________

ასაკი ____________

(შესაძლოა ანონიმური პასუხები და რჩევები)

საპროექტო წინადადების წარდგენასთან დაკავშირებით:

**ვებ-გვერდი:** www.mcg.ge

**მისამართი:** ჯი-ემ-თი პლაზა, თავისუფლების მოედანი, 4.
გთხოვთ, მოათავსოთ თქვენი მოსაზრებანი შესაბამის ყუთში, რომელიც განლაგებულია შენობის პირველ სართულზე.

**ტელ:** (995 32) 92 38 69

**ფაქსი:** (995 32) 92 14 80

**ელ.ფოსტა**: info@mcg.ge

პროექტების და რჩევების წარდგენის საბოლოო ვადაა 10/07/04 17:00

# ანგარებაში „ექვმიტანილ" ექსპერტ-ფსიქიატრებს საკუთარი სიმართლის დამტკიცება მოუწევთ

თამარ კაციტაძე

*დღეს თბილისის საოლქო სასამართლოში დაკითხვაზე მესამედ მივიდა ის ცამეტი ექსპერტ-ფსიქიატრი, რომლებმაც ბიზნესმენ ირაკლი კორტავას გატაცებაში ბრალდებული გოჩა სამსიანის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას მოაწერეს ხელი. როგორც უკვე ცნობილია, სტაციონარულმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ, რომელიც ბრალდებულის ჯანმრთელობას ექვსი თვის განმავლობაში სწავლობდა, დაადგინა, რომ სამსიანი ფსიქიურად ავადმყოფია და იგი ფოთის მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებით მკურნალობას საჭიროებს. ამ მოსაზრებას მხოლოდ ორი სპეციალისტი - აბელ მამარდაშვილი და დავით მაღრაძე არ დაეთანხმა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ექსპერტ-ფსიქიატრებმა საკუთარი ღირსების დასაცავად სასამართლოს და გენერალურ პროკურორს მიმართეს.*

ქართული კანონმდებლობის თანახმად, ექსპერტ-ფსიქიატრებმა მართლმსაჯულების წინაშე კიდევ ერთხელ უნდა დაადასტურონ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში დაფიქსირებული საკუთარი პოზიციები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ თუ ისინი საკუთარ მოსაზრებას შეცვლიან, დასკვნა შეიძლება გაბათილდეს. ამიტომ, ექსპერტ-ფსიქიატრთა ჩვენებას მტკიცებულების ძალა აქვს და მართლმსაჯულების აზრის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობაც ენიჭება. სწორედ ამ პროცედურის გასავლელად სამსიანის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე მომუშავე ექსპერტ-ფსიქიატრები სასამართლოში ორჯერ უკვე გამოცხადდნენ, მაგრამ დანიშნული პროცესები, ბრალდების მხარის გამოუცხადებლობის გამო, ორჯერვე გადაიდო – ერთხელ პროცესზე დაზარალებული მხარე არ გამოცხადდა, მეორედ კი თავად პროკურორი არ მივიდა.

ამასობაში კი, სამსიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დაწერილი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის ობიექტურობა ქალაქის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა ეჭვქვეშ დააყენა და მეტიც, თერთმეტი ექსპერტის მიერ სამსიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ყალბი დასკვნის გაცემის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეც აღძრა.

სწორედ ასეთ ვითარებაში მოუწევთ ექსპერტ-ფსიქიატრებს მართლმსაჯულებისთვის საკუთარი სიმართლის დამტკიცება.

და მაინც, ვინ არის ადამიანის გატაცებაში ბრალდებული სამსიანი, რა იმალება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის უკან და რა დაინტერესება აქვს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებს?

თბილისის პროკურორის ვალერი გრიგალაშვილის მტკიცებით, გამოძიებას საფუძვლიანი ვარაუდი გააჩნია, რომ გოჩა სამსიანის ციხიდან დასახსნელად ვიღაც-ვიღაცებმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებს დიდი ოდენობით თანხა გადაუხადეს, რის გამოც მისი ავადმყოფობის შესახებ დასკვნა ანგარებით დაიწერა.

პროკურორის პოზიციას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ექსპერტიზაში მონაწილე ექსპერტები და სამსიანის ადვოკატი შალვა შავგულიძე და ბრალდებულის ავადმყოფობის დასამტკიცებლად თხუთმეტი წლისწინანდელ ისტორიას იხსენებენ, როდესაც სამსიანი საბჭოთა ჯარში მსახურობდა.

**"სამსიანის ფსიქიური ავადმყოფობის ისტორია 1987 წლიდან იწყება, როდესაც იგი მოსკოვის ოლქში სამხედრო სამსახურში მსახურობის დროს საექიმო კომისიამ ფსიქიატრიული დიაგნოზით არავარგისად მიიჩნია და საქართველოში დააბრუნა,"** - ამბობს შალვა შავგულიძე.

ადვოკატის განცხადებით, სახლში დაბრუნებული სამსიანი აღრიცხვაზე იყო ჯერ სამტრედიის ფსიქონევროლოგიის დაწესებულებაში, შემდეგ კი - გლდანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს დაწესებულებაში.

გოჩა სამსიანი, სხვა პირებთან ერთად, ირაკლი კორტავას გატაცების ბრალდებით 2002 წელს დააპატიმრეს და მას, სხვადასხვა მიზეზების გამო, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა სამჯერ დაენიშნა. საბოლოო დასკვნის თანახმად, სამსიანი დანაშაულის ჩადენის მომენტში შერაცხადად ჩაითვალა. თუმცა, ადვოკატ შავგულიძის მტკიცებით, ამგვარი დასკვნის დაწერისას, ექსპერტიზაზე პოლიციის მაღალჩინოსნების მხრიდან ზეწოლას ჰქონდა ადგილი.

**"რამდენადაც ჩემთვის ცნობილია და რისი დამამტკიცებელი დოკუმენტებიც არსებობს, დაპატიმრების პერიოდში ადგილი ჰქონდა სამსიანის წამებას, რამაც მის ჯანმრთელობაზე, თავისთავად ცხადია, გარკვეული გავლენა იქონია. თუმცა, საბოლოოდ, მასზე N5 საპყრობილეში განხორციელებულმა სპეცოპერაციამ იმოქმედა, რა დროსაც სამსიანმა ქალა-ტვინის უმძიმესი ტრამვა მიიღო. ამის გამო, მაშინ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, პატიმარი სამხედრო ჰოსპიტლის რეანიმაციულ განყოფილებაში გადაეყვანათ. დროთა განმავლობაში ვხედავდი, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა, იგი არაადეკვატურად იქცეოდა და კონტაქტში არ შემოდიოდა. სწორედ ამის გამო, სასამართლოს შუამდგომლობით მივმართე და მისი დღევანდელი ფსიქიკური მდგომარეობის შესწავლა მოვითხოვე",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ადვოკატმა.

შალვა შავგულიძის შუამდგომლობა სასამართლომ დააკმაყოფილა. თუმცა, თავდაპირველად, ოთხი ექსპერტ-ფსიქიატრით დაკომპლექტებული კომისია, მოგვიანებით, დაზარალებულის მოთხოვნით ცამეტ კაცამდე გაიზარდა, რომელიც სამსიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას სტაციონარულ პირობებში ექვსი თვის განმავლობაში სწავლობდა.

**"კანონმდებლობით, სტაციონარში პატიმრის მოთავსებისათვის განსაზღრულია, მაქსიმუმ, ექვსი თვე. დასკვნის დაწერაც ამ პერიოდში უნდა მოესწროს. სამსიანი ხუთი თვის და ორი კვირის განმავლობაში ქუტაისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იწვა, მაგრამ მოულოდნელად, კვლავ დაზარალებულის მოთხოვნით, იგი ასათიანის სახელობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ვინაიდან სტაციონარში ყოფნის დრო 6 მაისს იწურებოდა, სასამართლო-სამედიცინო კომისიის სხდომა 4 მაისს დაინიშნა, სადაც დასწრება კორტავას ადვოკატმაც მოითხოვა, მაგრამ იგი არ გამოცხადდა და სხდომაც ჩაიშალა",** - იხსენებს შავგულიძე.

ბრალდებულის სტაციონარში ყოფნის ბოლო დღეს კომისია კვლავ შეიკრიბა და სამსიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, არგუმენტირებულად დაადგინა, რომ იგი ფსიქიურად დაავადებულია, კერძოდ, აქვს ორგანული წარმოშობის ბოდვითი აშლილობა და იძულებით მკურნალობას საჭიროებს. აღნიშნულ დასკვნას ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, რაც კანონმდებლობით სავალდებულოა, არ დაეთანხმა კომისიის ორი წევრი - მამარდაშვილი და მაღრაძე, თუმცა სამსიანის ფსიქოპატია მათაც დაადასტურეს.

**"მამარდაშვილი რომ სამსიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ობიექტურ დასკვნას არ გააკეთებდა, წინასწარ ვიცოდით, რადგან სამნიანის სიდედრმა შემთხვევით მოისმინა მარალჩინოსან პოლიციელებთან მისი საუბარი. მათთვის სასურველი დასკვნის დაწერისათვის მამარდაშვილი რამდენიმე ექსპერტის კომისიიდან ჩამოცილებას მოითხოვდა. ამიტომ დასკვნის დაწერამდე რამდენიმე დღით ადრე სასამართლოში მამარდაშვილის აცილების შესახებ შუამდგომლობა შევიტანეთ, რაც არ დაგვიკმაყოფილეს",** - ამბობს ადვოკატი.

ერთი სიტყვით, გოჩა სამსიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასკვნა დაწერილია და ამის გამო სისხლის სამართლის საქმეც აღძრულია.

ექსპერტ-ფსიქიატრებს კი, ვიდრე საკუთარი დასკვნის ჭეშმარიტებას სასამართლოში კიდევ ერთხელ დაადასტურებენ, საკუთარი სიმართლის მტკიცება ამ ეტაპზე მოწმის სტატუსით, თბილისის პროკურატურაში მოუწიათ.

**"ისეთი მრავალრიცხოვანი და დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელმაც სამსიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეისწავლა, საქართველოში პირველად შეიქმნა და ამით საშუალება მოგვეცა, გავცდენოდით კომუნისტურ სტანდარტს, რომლის გაკონტროლებასაც სამართალდამცავი ორგანოები ადვილად ახერხებდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, ამან ბევრი შეაშინა. ქალაქის პროკურორს რომ ამ საქმისადმი განსაკუთრებული დაინტერესება ჰქონდა, იქიდანაც ჩანს, რომ დასკვნის დაწერის წინა დღეს მან კომისიის რამდენიმე წევრს დაგვირეკა და გაგვაფრთხილა, თუ სამსიანი ციხეში არ წავა, ჯიბეში ან იარაღი აღმოგაჩნდებათ, ან ნარკოტიკი და ვაღარავინ გიშველითო. პროკურორის მხრიდან სატელეფონო ზარები მერეც გრძელდებოდა. თუ ჩვენი დასკვნა ობიექტური არ არის, მაშინ ალტერნატიული ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს, რასაც პროკურატურა არ აკეთებს. ჩვენი აზრით, სამართალდამცავი ორგანოსგან ასეთი ქმედება იმის მანიშნებელია, რომ ხელისუფლებას სურს ზეწოლა მოახდინოს, ერთი მხრივ, ჩვენზე და მეორე მხრივ, სასამართლო ხელისუფლებაზე,"** - ამბობენ ის ექსპერტ-ფსიქიატრები, ვისაც გამოძიება ანგარებაში "ადანაშაულებს" და რომლებიც საკუთარი სიმართლის დამტკიცებას მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის წევრებისგან მოსული დასკვნებით აპირებენ. უცხოელი კოლეგები რუსეთიდან, ისრაელიდან, შვედეთიდან და ა.შ. ქართველი კოლეგების დასკვნას ბოლომდე ეთანხმებიან და მათ მხარდაჭერას აღუთქვამენ (რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს ჯანდაცვის და სოცუზრუნველყოფის მინისტრზე, რომელმაც ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები, და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ - კოლეგები, შეხვედრაზეც არ მიიღო). პარალელურად, საკუთარი ღირსების დასაცავად ფსიქიატრებმა სასამართლოს და გენერალურ პროკურორს მიმართეს და ქალაქის პროკურორი ზეწოლაში ამხილეს, რაც კანონმდებლობით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

**"პროკურორ გრიგალაშვილის ამგვარი ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 332, 333 და 335 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, როგორიც არის სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, უფლებამოსილების გადამეტება და ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება,"** - ასეთია ადვოკატ შავგულიძის შეფასება.

თავად ვალერი გრიგალაშვილი კი საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულია და სჯერა, რომ ექსპერტ-ფსიქიატრების მიმართ დაწყებულ გამოძიებას ბოლომდე მიიყვანს.

**"რაც შეეხება მათ საჩივრებს, ჩვენ აბსოლუტურად არ გვაღელვებს, რადგან ვისაც ვუპირისპირდებით, ყველა ჩივის. ჩვენი ფუნქცია სწორედ ის არის, რომ შევასრულოთ კანონით დაკისრებული მოვალეობა. ჩვენი მიზანი იყო, რომ სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზაში არსებული განუკითხაობა მოგვესპო და ვფიქრობ, რომ ეს შევძელით,"** – ამბობს გრიგალაშვილი.

# ფინანსურმა პოლიციამ თაღლითობაში ექვმიტანილი ქალი დააკავა

ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით გადასახადების თავის არიდების ფაქტზე ფერადი და შავი ლითონების ჯართის დამამზადებელი შპს "ბაზილიკა" ამხილეს. ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, აღნიშნულ ფირმას, რომელიც ქობულეთის საგადასახადო ინსპექციაშია რეგისტრირებული, ქვეყნის გარეთ სარეალიზაციოდ გაჰქონდა ჯართი.

ჩატარებული შემოწმების საფუძველზე გაირკვა, რომ შპს "ბაზილიკას" ბიუჯეტის სასარგებლოდ, დავალიანების სახით, 95 ათას ლარზე მეტი აქვს გადასახდელი.

აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე გადასახადების დიდი ოდენობით დამალვის მუხლით აღიძრა.

ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის განყოფილებაში შევიდა უშიშროების სამსახურის წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ შპს „ზესტაფონწყალკანალში" თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა. აღნიშნული ფირმა 100 პროცენტით სახელმწიფოს ეკუთვნის. ფირმის დირექციის განცხადებით, მათ რამდენიმე ფიზიკური პირისგან თხევადი ქლორი და ძალოვანი ელექტროკაბელები შეიძინეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით ფირმაში სათანადო საბუთებიც არსებობს, მაგრამ ფინანსურმა პოლიციამ შესული საჩივარი გადაამოწმა და გაარკვია, რომ დირექციას აღნიშნული მასალები არა რამდენიმე, არამედ ერთი პირისგან, გიორგი პერამიძისგან შეუძენია, ხოლო ყალბი საბუთები თავად დაუმზადებია. თავის მხრივ, გიორგი პერამიძე რამდენიმე წლის განმავლობაში ვაჭრობდა ამ მასალებით, რაც საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული არ არის და, შესაბამისად, გადასახადებსაც არ იხდიდა.

ფინანსურმა პოლიციამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება-გამოყენების და უკანონო სამეწარმეო საქმიანობის მუხლით აღძრა.

ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს თაღლითობაში ეჭვმიტანილი ქალი, ა.ო, რომელიც წარსულში ნასამართლევია. ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, დაკავებულმა შექმნა ათკაციანი ჯგუფი, იმ მოტივით, რომ მას მერიაში ჰყავდა ახლობელი, რომლის მეშვეობითაც, მიწისძვრით დაზარალებულებს 10 ათასი ლარის ოდენობით კომპენსაციის აღებაში დაეხმარებოდა. ჯგუფის წევრებს წინასწარ, ჰონორარის სახით 350-350 ლარი უნდა გადაეხადათ.

დაკავებულმა, რომელსაც სინამდვილეში მერიაში ნაცნობი არ ჰყოლია, მიწისძვრით დაზარალებულთაგან ჰონორარის სახით მიღებული 3 ათას 850 ლარი მიისაკუთრა.

*24 საათი*

# "ამცახარა" დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომას ითხოვს

გუშინ სოხუმში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის აბესალომ ბეიას გადადგომის მოთხოვნით, 9 ივნისს სოხუმში მოკლული "ამცახარას" აღმასრულებელი მდივნის გარი აიბას ნათესავებისა და "ამცახარას" 1000-მდე წევრის საპროტესტო აქცია მოეწყო. ამის თაობაზე ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო "ინტერ-პრესი" ავრცელებს.

როგორც ცნობილია, პოლიტიკური მოძრაობა "ამცახარა" არძინბას ხელისუფლებას ოპოზიციაში უდგას.

აქციის მონაწილეები ხელისუფლებას გარი აიბას მკვლელობის საქმის გაუხსნელობაში ადანაშაულებენ და პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯინბასაგან შინაგან საქმეთა მინისტრის აბესალომ ბეიას დაკავებული თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ.

სოხუმში, საკუთარ სახლთან მოკლული "ამცახარას" აღმასრულებელი მდივნის გარი აიბას ნათესავები და "ამცახარას" ლიდერები აიბას მკვლელობის გაუხსნელობის მიზეზად ამ მკვლელობაში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ძმისშვილის ქემალ არძინბას მონაწილეობას ასახელებენ. ამის გარდა, აქციის მონაწილეები, გასულ კვირას დაუდგენელი პირების მიერ სოხუმის გარეუბან შუქურას რაიონში ქემალ არძინბაზე თავდასხმასა და გარი აიბას მკვლელობას შორის კავშირს არ უარყოფენ და თვითმარქვია ხელისუფლებას მათი პრეზიდენტის ძმისშვილის, ქემალ არძინბას დაკავებისაკენ მოუწოდებენ.

აქციის მონაწილეთა მტკიცებით, ისინი მანამდე არ დაიშლებიან, ვიდრე პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯინბა შინაგან საქმეთა მინისტრს აბესალომ ბეიას თანამდებობიდან არ გაათავისუფლებს. თუ ხელისუფლება მათ მოთხოვნას არ გაითვალისწინებს, ისინი აფხაზეთში მოქმედ სხვადასხვა პოლიტიკურ მოძრაობებთან ერთად, მთავრობის მთელი შემადგენლობის გადაყენებას კატეგორიულად მოითხოვენ.

სააგენტო "მედია-ნიუსი" კი სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის საფარბეი მაქანბას განცხადებას აქვეყნებს. მისი თქმით, საგამოძიებო ჯგუფს მუშაობა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მოპოვებული მასალები არ ხმაურდება.

**"სამუშაო ძალიან ბევრია, ამიტომ გამოძიების დასრულების ზუსტ ვადას ვერ დავასახელებ,"** - აცხადებს მაქანბა.

# აფხაზები სასუქის ასავალ-დასავლის გარკვევის პირობას დებენ

*გუშინ ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე, ძირითადად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გალის რაიონში შეგზავნილ სასუქზე საუბრობდნენ. თუმცა, ქართული მხარე კატეგორიული იყო გალის რაიონში ბოლო ხანებში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული ვითარების ირგვლივაც.*

ერთი დადებითი ინფორმაცია, რომელიც ქართული მხარის წარმომადგენლებმა ჭუბურხინჯის შეხვედრიდან გამოიტანეს, გალის რაიონის სოფელ საბერიოში დაკავებული სამი ქართველის გათავისუფლება გახლდათ. აფხაზურმა მხარემ უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ ეს ოთხეული - ჯომადავა, გოგოხია და ძმები ჭოლარიები მათ აფხაზური მილიციის ადმინისტრაციული შენობის მახლობლად მომხდარი აფეთქების გამო დააკავეს, სოხუმის იზოლატორში გადაიყვანეს და აფეთქებასთან მათ კავშირს არკვევდნენ. აფხაზების თქმითვე, 30 ივნისს პატიმრობიდან ოთხივე გაათავისუფლეს და ისინი უკვე ოჯახებს დაუბრუნდნენ. სამაგიეროდ, კვლავ არაფერია ცნობილი ვარდნილჰესის თანამშრომლის აბესალომ ჯაბუას ადგილსამყოფელის შესახებ. იგი გალის რაიონიდან სამი კვირის წინათ დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს და მას შემდეგ აფხაზური მხარე ირწმუნება, რომ თავდაუზოგავად ეძებს.

რაც შეეხება სასუქს, ქართული მხარის წარმომადგენლის, ქართული სამშვიდობო ძალების მეთაურის ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, ცნობილი გახდა ისიც, რომ რამდენიმე დღის წინ, აფხაზურმა ადმინისტრაციამ გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში დააკავა და დააყადაღა 6 ტონა სასუქით დატვირთული ავტომანქანა და მოსახლეობას ისინი ამ სასუქის გადანაწილების საშუალებას არ აძლევდნენ.

როგორც ცნობილია, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით შერვაშიძის მიერ კონფლიქტის ზონაში რამდენიმე დღის წინათ ჩატანილი 90 ტონამდე სასუქიდან 6 ტონა სწორედ ამ სოფელში გადაიტანეს და იქიდან სხვა სოფლების მცხოვრებლებზე უნდა განაწილებულიყო. მოსახლეობის ნაწილი სასუქის გაუჩინარებაში სოფელ მზიურის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელს რამინ ნაყოფიას ადანაშაულებს. ისინი აცხადებენ, რომ ბოლო ერთი კვირაა, სასუქის ნაწილს იგი ღამით ყიდის, ნაწილი კი სარეალიზაციოდ გალის რაიონული ცენტრის ბაზარში აქვს ჩაბარებული.

ქართულმა მხარემ გუშინ ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე სასუქის განაწილების საკითხი საკმაოდ მკაცრად დააყენა, აფხაზურმა მხარემ კი, თავის მხრივ, პირობა დადო, რომ უახლოეს დღეებში ამ პრობლემას მოაგვარებს და გალის რაიონის სოფლების ქართულ მოსახლეობას ამ სასუქის გადანაწილების საშუალებას მისცემს.

*24 საათი*

# კახეთში ძალოვანი უწყების თანამშრომლებს აპატიმრებენ

*კახეთის სამხარეო პროკურატურამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. ამჯერად ისინი დამნაშავეების დაკავებას თავად ძალოვანი უწყების სამსახურებიდან იწყებენ. პირველი მსხვერპლი კი, ამჯერად, გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის ქვეგანყოფილების უფროსი ხდება.*

ზვიად რუაძე

*კახეთიდან*

მას შემდეგ, რაც კახეთის ძალოვანი სტრუქტურები ახალი კადრებით დაკომპლექტდა, რეგიონში კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლა გააქტიურდა. საგარეჯოში ჩატარებული სპეცოპერაციების შემდეგ, სამართალდამცავების სამიზნე გურჯაანის პოლიციელები ხდებიან. გუშინ კახეთის საოლქო პროკურატურამ, შ.ს სამინისტროს ისანი-სამგორის პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლებთან ერთად, გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის ქვეგანყოფილების უფროსი ზურაბ შავკაციშვილი დააკავა. მისი დაპატიმრების მიზეზად, ოფიციალურად, შარშან სოფელ ჯიმითში მცხოვრები თამარ ჯაფოშვილის განცხადება სახელდება: **"ამ ქალბატონმა ზურაბ შავკაციშვილს განცხადებით ბინის გაქურდვის გამო მიმართა, მაგრამ შავკაციშვილმა ამ საქმეზე რეაგირება არ მოახდინა,"** - ასეთ განმარტებებს იძლევა რეგიონის ოლქის პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი. "24 საათისთვის" კი ცნობილი ხდება, რომ შავკაციშვილის დაკავება, რამდენიმე კვირის წინ გურჯაანის რაიონში, გოჩა აბაზაშვილის მკვლელობას უკავშირდება, ამ ფაქტს ნაწილობრივ, თვით პროკურორიც ადასტურებს, თუმცა იქვე აცხადებს, რომ ამჯერად მასალების მოკვლევა მიმდინარეობს: **"ჯერჯერობით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს შავკაციშვილის დაკითხვა, არ გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნული დანაშაული გამოიკვეთოს,"** - აცხადებს ცაბუტაშვილი.

"24 საათი" უკვე წერდა, რომ გოჩა აბაზაშვილი, რომელიც, მისი ახლობლების განცხადებით, ძმის უსამართლოდ დაკავებას ემსხვერპლა, შავკაციშვილებმა საკუთარი სახლის წინ მოკლეს. თავდაპირველად დამნაშავედ ზურაბ შავკაციშვილის მამა გამოცხადდა, და პროკურატურას მისი დაპატიმრების შესახებ ბრძანებაც კი გაუცია, რადგან მაშინ, შავკაციშვილებს ყველაზე მეტად რაიონის პროკურორი რევაზ ჩივიაშვილი იცავდა. უფრო მეტიც, მან ამ ფაქტის გამო უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და დამნაშავედ გამოცხადებულ იოსებ შავკაციშვილთან ინტერვიუც კი ჩაგვაწერინა.

ამჯერად მხარის პროკურორი არ გამორიცხავს, რომ ასეთი სერიული დანაშაულების გამო, გურჯაანში თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს: **"კახეთის რეგიონიდან ყველაზე მძიმე დანაშაულები ამ რაიონში მოდის. ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ, რის გამოც ვიღაც-ვიღაცების პასუხისმგებლობის საკითხი მალე დადგება. არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ასეთი სერიული დანაშაულების გამო, გურჯაანის პროკურატურას საქმეები თავიდან ავარიდოთ და მათზე მუშაობა სამხარეო პროკურატურას დაევალოს,"** - ამბობს თამაზ ცაბუტაშვილი.

ზურაბ შავკაციშვილის მიმართ კი აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მასალების მოკვლევას კახეთის საოლქო პროკურატურა აწარმოებს.

# დიანა აბაშიძის დაცვის წევრის გათავისუფლებას ითხოვენ

გუშინ დიანა აბაშიძის დაცვის ყოფილი წევრის იმედა ხოზრევანიძის ნათესავები აჭარის საოლქო სასამართლოს შენობაში შეიჭრნენ და პატიმრის გათავისუფლებას ითხოვდნენ.

როგორც ცნობილია, იმედა ხოზრევანიძე რუსლან ნემსაძესთან ერთად იმ ღამეს დააკავეს, როდესაც ისინი დედის წლისთავზე ბათუმში ჩასულ დიანა აბაშიძეს აეროპორტში დახვდნენ და სახლამდე მიაცილეს. სამართალდამცველებმა ისინი სწორედ აბაშიძის სახლთან დააკავეს და ჩხრეკისას, იარაღის და ნარკოტიკების აღმოჩენის გამო, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღძრეს. მოგვიანებით, ბათუმის სასამართლომ ორივეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. გუშინწინ კი საოლქო სასამართლომ, სადაც დაკავებულთა ადვოკატებმა ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს, რუსლან ნემსაძეს წინასწარი პატიმრობა შეუწყვიტა და იგი ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლა, ხოზრევანიძის ადვოკატის სარჩელის განხილვა კი დროებით გადაიდო.

საოლქო სასამართლოს შენობაში შეჭრილი, ხოზრევანიძის ნათესავები მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვდნენ და აცხადებდნენ, რომ ხოზრევანიძეს იარაღი თავად სამართალდამცავებმა ჩაუდეს. მათი განცხადებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ხოზრევანიძისთვის სამთვიანი პატიმრობის შეფარდების შესახებ, უკანონოა და საოლქო სასამართლო მათი სარჩელის განხილვას შეგნებულად აჭიანურებს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** გუშინწინ, გვიან ღამით, ქუთაისში ტიციან ტაბიძის ქუჩა N6-ში, სახლის კედელთან დაუდგენელმა პიროვნებამ აფეთქება მოახდინა, რომელსაც მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია. აფეთქების შედეგად ჩაიმსხვრა საცხოვრებელი სახლის ფანჯრის მინები და დაზიანდა კედლის ნაწილი. სამართალდამცველების მიერ, ჯერჯერობით, ფეთქებადი ნივთიერების სახეობაც არ არის დადგენილი. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და მიმდინარეობს გამოძიება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ ღამით ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაში ეჭვმიტანილი ძმები – მამუკა და კახა ჩხაიძეები დააკავეს. პოლიციის მთავარი სამმართველოს განცხადებით, ჩხაიძეები პოლიციამ ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველზე ფანასკერტელის ქუჩაზე მდებარე ბინაში დააკავა. მათი ბინის ჩხრეკისას პოლიციამ ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი და ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი" ამოიღო. მამუკა და კახა ჩხაიძეები ამ დროისათვის თბილისის შს პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში არიან გადაყვანილები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**წყალტუბო.** გუშინწინ ყაჩაღობა მოხდა წყალტუბოს რაიონში. ღამით 4 დაუდგენელი პირი, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღებით იყვნენ შეიარაღებულები, ყაჩაღურად თავს დაესხნენ სოფელ გუბისწყალში მცხოვრებ იაშა დოგრაშვილის ოჯახს, საიდანაც მათ 1000 ლარი გაიტაცეს და მიიმალნენ. მომხდარ ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს წყალტუბოს პროკურატურა იძიებს. **ინტერ-პრესი**

# აფხაზური ხაფანგი

ზურაბ მაღლაკელიძე

*(დასასრული. დასაწყისი იხ. №154)*

მარტის დასაწყისში ბატონი ე. შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ფაქტმა გარკვეულად დააფრთხო და ეჭვიც კი გააჩინა აფხაზურ მოსახლეობაში. ისინი თვლიდნენ, რომ გამსახურდიასა და მისი გარემოცვისგან განსხვავებით, ახლა მათ დაპირისპირება მოუხდებოდათ პოლიტიკურ და სახელისუფლებო ტექნოლოგიების კარგად მცოდნე, საერთაშორისო ავტორიტეტისა და მსოფლიოს ლიდერებთან დაახლოებულ სახელმწიფო მოღვაწესთან. მაგრამ სეპარატისტთა ლიდერებისათვის წილი უკვე ნაყარი იყო. მათ დაარწმუნეს თანამოძმეები, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ მიატოვებდათ და გამარჯვებაც აუცილებლად მათ დარჩებოდათ.

მაინც, როგორ მოხერხდა მთელი ერის დარწმუნება ქართველთა წინააღმდეგ ომის აუცილებლობაში. მინდა შემოგთავაზოთ ნაწყვეტი 1992 წლის 17 აპრილის გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული სტატიიდან, რომლის ავტორი 23 წლის მიხეილ სააკაშვილი იყო: "ჩვენს პრესაში ხშირად გამოთქმულა აზრი, რომ ყველანაირი კონფლიქტი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ხასიათისაა და საერთო არა აქვს რა ეთნიკურ დაპირისპირებასთან... ნუ დავივიწყებთ, რომ იმპერიული მესამე ძალის გარდა, ჩვენშიც საკმარისად იყვნენ ძალები, რომელთაც ხელს აძლევდათ კონფლიქტების გამწვავება და ეთნოპოპულიზმის ტალღაზე ხელისუფლების მოპოვება, ხოლო როდესაც ხდება ორ ეროვნულ ჯგუფს შორის პოლიტიკური კონფლიქტის ინსპირირება, იწყება გუნდური პრინციპის მოქმედება და კონფლიქტი, როგორც წესი, გადაიზრდება ეროვნებათაშორის დაძაბულობაში. სხვა ერის წარმომადგენელი აღიქმება როგორც მოწინააღმდეგე. წარმოიშვება ძალადობის სპირალი, რომლის შეჩერება რაც შეიძლება დროულად არის საჭირო. ასეთ პირობებში, გარეშე ჩარევის პრობლემის მოხსნის შემთხვევაშიც კი, არც ისე იოლია მშვიდობის მიღწევა... იმპერიის ნგრევასთან ერთად მკვეთრად გაძლიერდა გასაკუთრებით მცირე ერების თავდაცვის ინსტიქტები"...

ფორმულა მარტივი იყო: სანამ სსრკ-ში ვცხოვრობდით, რუსეთი გვიცავდა. ახლა, როცა ქართველებთან პირისპირ დავრჩით, აფხაზეთის მთელი ქონება ქართველების ხელში გადავა, ჩვენ კი ნებაყოფილობითი მუჰაჯირობა მოგვიწევს...

აფხაზეთის უზენაესი საბჭო, მისი პრეზიდიუმი, მთავრობა, ათობით კანონს, დადგენილებას და გადაწყვეტილებას იღებდნენ, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიოდნენ საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციასთან. სეპარატისტები ცდილობდნენ, შეექმნათ დამოუკიდებელი ქვეყნის კანონმდებლობა და შეიარაღებული ძალების ფორმირებას განაგრძობდნენ. ნუ დაგვავიწყდებათ, რომ ეს ის პერიოდი იყო, როცა აფხაზეთში არ წყდებოდა ექსპრეზიდენტის მომხრეთა მიტინგები, დუღდა სამეგრელო, მთავრობა ვერ ახერხებდა ვითარების სტაბილიზაციას.

ალბათ, ედუარდ შევარდნაძის ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის მანძილზე არ ყოფილა ისეთი რთული და მძიმედ მისაღები გადაწყვეტილება, როგორც 1992 წლის 10 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება "რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ". იმ ადამიანებმა, ვინც თვალს ადევნებდა მის პოლიტიკურ კარიერას, მასთან ერთად უმუშავიათ, ან მით უმეტეს, მის პოლიტიკურ გარემოცვას წარმოადგენდნენ, კარგად იციან, რომ მას არასოდეს მიუღია ნაჩქარევი, ემოციური განწყობიდან გამომდინარე გადაწყვეტილებები. ეს ეხება არ მარტო მნიშვნელოვან პრობლემებს, არამედ ერთი შეხედვით თითქოს მეორეხარისხოვან საკითხებს. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ მას ბოლომდე გააზრებული არ ექნებოდა 10 აგვისტოს გადაწყვეტილება, საკმაოდ უხერხულია და ამავე დროს უმართებულოდ მიმაჩნია. თვით საკითხის მომზადება, წინმსწრები მოვლენები, გადაწყვეტილების მიღების და გამოქვეყნების ტექნოლოგია, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ნაბიჯი დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. მაშინ რამ აიძულა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, ხელი მოეწერა იმ დადგენილებისათვის, რომელიც ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში ომს ნიშნავდა და მან ეს ყველაზე უკეთესად იცოდა?

თორმეტი წელია ბატონი ედუარდი აცხადებს, რომ აფხაზეთში საჯარისო ნაწილები რკინიგზის მაგისტრალების დაცვის მიზნით შევიდნენ. საქართველოს იმჟამინდელ ხელმძღვანელობას არც ერთხელ არ განუცხადებია, რომ ვინაიდან ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია აფხაზეთზე არ ვრცელდებოდა, ხოლო 23 ივლისის გადაწყვეტილებით აფხაზეთის უზენაესი საბჭო შეეცადა, დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, თავისი კონსტიტუციური მოვალეობა შეესრულებინა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად ჩნდება რამდენიმე კითხვა: საკითხის სამხედრო გზით გადაწყვეტის მიზანშეწონილობა, რამდენად დროულად და მომზადებულად ჩატარდა ეს ოპერაცია და რაც მთავარია, პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი. სწორედ ამიტომ გვთავაზობენ ამ ვერსიას: ჩვენ ომი არ გვინდოდა, ჩვენ მხოლოდ რკინიგზის მაგისტრალების დაცვა გვსურდა, ხოლო ომის დაწყება აფხაზი სეპარატისტების და კრემლის რეაქციონერების ბრალია.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ინტერვიუს. "ახალანდელი გადასახედიდან, ჯობდა, მე ჩავსულიყავი, მაგრამ მაშინ ჩემი თბილისიდან გასვლა შეუძლებელი იყო." 29 მაისს გამართულ აფხაზეთის პარლამენტის სხდომაზე ს. შამბამ განაცხადა: "თუკი ე. შევარდნაძეს შეეძლო ცხინვალში, ბათუმში, ფოთში ჩასვლა, რატომ არ შეუძლია ჩამოვიდეს სოხუმში. შეხვდეს არა მარტო ვ. არძინბას, არამედ სხვა დეპუტატებსაც, ინტელიგენციას, მოსახლეობის სხვა ფენებს". სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე კიდევ არაერთხელ შემოივლის საქართველოს, მაგრამ არც აფხაზეთში ჩამოვა და არც თუ ვერც ვ. არძინბას შეხვდება. რატომ?

"სიგუამ ობიექტური მიზეზების გამო მეორე დღეს სოხუმში ჩასვლა ვერ მოახერხა." რა ობიექტური მიზეზები შეიძლება არსებობდეს ბუნებაში, რომელიც ომის დაწყების ალბათობას გადაწონის?

"კიტოვანი კი მე და ჯაბა იოსელიანმა მთელი სამი დღე ვერ ვიპოვეთ". თუ გეგულებათ პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული ადამიანი, რომელიც დაიჯერებს, რომ ე. შევარდნაძემ ომის და მშვიდობის პრობლემის გადაწყვეტა თ. კიტოვანს ანდო.

დაბოლოს, ყოველივე ეს ხდება იმის ფონზე, როცა მან იცოდა, "რომ ომისთვის აფხაზები დიდხანს ემზადებოდნენ რუს კოლეგებთან და მოხალისეთა მრავალრიცხოვან რაზმებთან ერთად. როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, ქართულ–აფხაზური კონფლიქტი ქართულ–რუსულ ომში გადაიზარდა, რომლის მოგების მცირედი შანსიც არ არსებობდა (წარმოიდგინეთ, მაშინდელი გაძვალტყავებული საქართველო)". დავუკვირდეთ: მან იცის, რომ აფხაზები ომისთვის ემზადებიან, რუსების დახმარებით. მან იცის, რომ საქართველო გაძვალტყავებულია. მან იცის, რომ ომის მოგების მცირედი შანსიც არ არსებობს. ერთადერთი, რაც მან ზუსტად არ იცოდა: - როგორ პოზიციას დაიკავებდა და რას გააკეთებდა რუსეთი, რადგან მაშინაც და ახლაც სჯერა ბ. ელცინის "გულწრფელობის". მთელმა მსოფლიომ იცოდა რუსეთის იმპერიის, საბჭოთა და განახლებული "დემოკრატიული" რუსეთის ძალისხმევის შესახებ, წაერთმია აფხაზეთი საქართველოსთვის, ხოლო ბატონმა ედუარდმა არ იცოდა. გაივლის ცოტა დრო და რუსული ტანკები გაგრას აიღებენ, შემდეგ ივლისის ხელშეკრულება და აფხაზეთის დაკარგვა, ბ. ელცინი კიდევ 7 წელი იქნება რუსეთის სახელმწიფოს სათავეში და თითს არ გაანძრევს ამ პრობლემასთან დაკავშირებით, მაგრამ ბატონ ედუარდს მაინც "სჯერა" მისი "გულწრფელობის". და ამას აცხადებს პოლიტიკოსი, რომელსაც პრეტენზია აქვს, ტალეირანთან ერთად შევიდეს მსოფლიოს დიპლომატიის ისტორიაში. კომენტარები მკითხველისთვის მიმინდვია.

მაშინ რატომ გადადგა ეს ნაბიჯი, რატომ გაუძღვა საქართველოს აფხაზურ ხაფანგში. სანამ ამ და სხვა მრავალ კითხვაზე დასაბუთებული პასუხები არ ჩანს, თავს უფლებას მივცემ, მკითხველს შევთავაზო შემდეგი ვერსია:

თბილისში დაბრუნების შემდეგ ედუარდ შევარდნაძეს სხვა საქართველო დახვდა. ეს არ იყო არც 1985 წლის და არც 1989 წლის აპრილის საქართველო. არც სახელმწიფო საბჭო გახლდათ ცენტრალური კომიტეტი, მით უმეტეს არც სიგუა, იოსელიანი და კიტოვანი ჰგავდნენ ცენტრალური კომიტეტის მდივნებს და საკავშირო მინისტრის მოადგილეებს, რომლებიც თავიანთ უფროსს თვალებში შესციცინებდნენ. მას არა ჰყავდა ძლიერი პოლიტიკური დასაყრდენი, მით უმეტეს რეალური ძალა, რათა თავისი პარტნიორები გაეკონტროლებინა. მაგრამ მიზანი არა მარტო დაბალანსება და კონტროლი, მიზანი რეალური ხელისუფლება იყო, რომელიც პირადი ლეგიტიმურობისა და ძალოვან სტრუქტურებზე კონტროლით მიიღწეოდა. ამას დაუმატეთ ქვეყანაში არსებული ვითარება და ზვიად გამსახურდიას ფაქტორი. ფაქტორი, რომელიც დამოკლეს მახვილივით იყო აღმართული და რომლის ნეიტრალიზება, ნაწილობრივ მაინც, მხოლოდ საკუთარი ლეგიტიმურობის დამკვიდრებით იყო შესაძლებელი. არჩევნების სწრაფად ჩატარებას მისგან დასავლეთიც მოითხოვდა.

ცხინვალის რეგიონზე კონტროლი დაკარგული იყო, სამეგრელოში არჩევნების ჩატარება - საეჭვო და სათუო, არც საქართველოს სხვა რეგიონებში და თბილისში იყო ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება. ასეთ ვითარებაში აფხაზეთში არჩევნების ჩაუტარებლობა კატასტროფის ტოლფასი იყო. ეს არა მარტო კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა არჩევნების ლეგიტიმურობას, არამედ ახალი უმართავი პროცესების დასაბამი გახდებოდა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. ეს კარგად ესმოდა შევარდნაძესაც, არძინბასაც და მოსკოვსაც. არძინბა სტაბილურობისა და არჩევნების ჩატარების სანაცვლოდ ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებას ითხოვდა. შევარდნაძის პასუხი იმაში მდგომარეობდა, რომ დროებითი მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულება არც და ვერც იქნებოდა იურიდიული ძალის მქონე, ხოლო არჩევნების ჩატარების შემდეგ ის მზადა იყო, მოლაპარაკება დაეწყო ამ საკითხზე. ის დელეგაციები, რომლებიც სოხუმში ჩამოდიოდნენ მოლაპარაკების საწარმოებლად და არსებული უთანხმოების დასაძლევად, მხოლოდ ანტურაჟი იყო. სინამდვილეში კონსულტაციებს სხვა ხალხი აწარმოებდა, ხოლო იმის მიზეზი, რომ შევარდნაძე-არძინბას შეხვედრა 6 თვის განმავლობაში არ შედგა და სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარე აფხაზეთში არ ჩამოსულა, სწორედ ამ კონსულტაციების წარუმატებლობა იყო.

ასეთ ვითარებაში ერთადერთ გამოსავლად აფხაზეთში შეიარაღებული კონტინგენტის შეყვანა ჩანდა. მას უნდა უზრუნველეყო არჩევნების ჩატარება არა მარტო აფხაზეთში, არამედ სამეგრელოს ნეიტრალიზებას. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ ელცინზე უკეთესად იცოდა რუსეთის სტრატეგიული ამოცანები საქართველოსა და კავკასიაში, რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის როლი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაში, მას იმედი ჰქონდა, რომ ბ. ელცინი დაპირისპირების პირველ ეტაპზე რუსეთი ეთ- ად დაინტერესებული იქნებოდა ამ კონფლიქტში. ეს საშუალებას იძლეოდა, სეპარატიზმის ლიდერები იზოლაციაში მოექციათ გუდაუთში და აფხაზების გარკვეულ ჯგუფებთან მოლაპარაკების შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობიდან ჩამოეშორებინათ ისინი. თუ ეს არ მოხერხდებოდა, კონსულტაციები ვ. არძინბასთან გაგრძელდებოდა და ის იძულებული გახდებოდა, დათმობებზე წასულიყო. ვფიქრობ, ეს გათვლები საკუთარი თავის დასამშვიდებლად თუ გამოდგებოდა, რადგან რეალობასთან ძალიან შორს იყო.

რასაკვირველია, პარალელურად შესაბამისი ზონდაჟი და კონსულტაციები მოსკოვთანაც მიმდინარეობდა. მათი პასუხი, როგორც ყოველთვის საქართველოს მიმართ, ერთმნიშვნელოვნად "მართალი" იყო: ჩვენ თქვენს საშინაო საქმეებში არ ჩავერევით, რუსეთი საქართველოზე ნაკლებად არ არის დაინტერესებული რკინიგზის ფუნქციონირებაში. შესაბამის ტექნიკას ოპერაციის წარმატებით ჩასატარებლად გადმოგცემთ. ამავე დროს გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გუდაუთში შესვლამ შეიძლება არასასურველი შედეგი გამოიღოს, რადგან არ არის გამორიცხული პროვოკაციები სეპარატისტების მხრიდან, კონფლიქტის ინსპირირება ქართულ ჯარსა და გუდაუთაში დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ბაზის მოსამსახურეთა შორის.

10 აგვისტოს გადაწყვეტილების შესახებ მოსკოვში და სოხუმში იმავე დღეს იცოდნენ. 12 აგვისტოს "კომსომოლსკაია პრავდა" აქვეყნებს ვ. არძინბას ინტერვიუს, რომელშიაც ის აცხადებს: "თანახმა ვართ თბილისთან დავდოთ ორმხრივი ხელშეკრულება, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება პარტნიორული ურთიერთობანი და არა ბატონობისა და დაქვემდებარების ურთიერთობა, რასაც საქართველო ესწრაფვის... სუვერენიტეტი ცნობას არ მოითხოვს - ეს ხალხის უფლებაა. შესაბამის ღონისძიებებს გაზრდილებთ საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტად აფხაზეთის ცნობის მიმართულებით... თუ ომი გვიქნება არ იქნება ინსპირირებული, თუ კონფრონტაცია არ გამწვავდა, პრობლემის ცივილიზებული გადაჭრის იმედი გვაქვს... მადესტაბილიზებელ ფაქტორად ის მიმაჩნია, რომ აფხაზეთში გრძელდება იარაღის შემოტანა საქართველოს ტერიტორიიდან და ჩვენს რესპუბლიკაში არიან თბილისს დაქვემდებარებული სამხედრო ფორმირებანი."

14 აგვისტოს სათაგურის კარი ჩაიკეტა და საქართველო მოსკოვის მიერ საკმაოდ ოსტატურად დაგებულ ხაფანგში აღმოჩნდა.

საუბარი იმაზე, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები და რა მოხდებოდა... ქართული საჯარისო ფორმირებები აფხაზეთში რომ არ შესულიყვნენ - ადამიანთა საქმიანობის სხავა სფეროს განეკუთვნება და იმ დარგის "სპეციალისტებისათვის" მიმინდვია.

რა პასუხი აგო საქართველოს ხელმძღვანელობამ ამ მარცხისათვის - არანაირი, რა დასკვნები გამოიტანა ქვეყნის მთავრობამ - არავითარი, რა გაკეთდა რეალურად ათი წლის განმავლობაში აფხაზეთის დასაბრუნებლად - არაფერი. რატომ? თუ რატომ - ეს ცალკე საუბრის თემაა და მომავლისთვის გადავდოთ.

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ, რა პერსპექტივები არსებობს აფხაზეთის კონფლიქტის დასარეგულირებლად. პირველ რიგში მინდა იმ ავტორებს გამოვეხმაურო, რომლებიც თვლიან, რომ შემდეგი სამხედრო აღლუმი მომავალ გიორგობას სოხუმში ჩატარდება. საკითხის ასე დასმა თავისთავად გულისხმობს პრობლემის ძალისმიერ გადაწყვეტას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს ქართული სახელმწიფოს სტრატეგიულ გეგმაში შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც უკიდურესი ზომა. ვინაიდან აფხაზეთის პრობლემის მოგვარების სამხედრო გზა, პირველ რიგში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებს რუსეთი. მოგვიწევს სამი ვარიანტის განხილვა:

რუსეთი არ ერევა სამხედრო დაპირისპირებაში და ნეიტრალურ პოზიციას იკავებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რუსეთის ასეთი პოზიცია წარმოუდგენლად და შეუძლებლად მიმაჩნია უახლოეს თვალსაწიერზე. გაუგებარია, რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს მსოფლიოში და რუსეთში, ან რა უნდა დავთმოთ ჩვენ, რომ მისი პოზიცია ნეიტრალური - ფაქტობრივად კი, საქართველოსადმი კეთილგანწყობილი გახდეს.

ასეთი ვითარების შემთხვევაში, სპეციალური ოპერაციის ჩასატარებლად, ვიმეორებ - სპეციალური და არა სამხედრო, აუცილებელი იქნება 2-3 სწრაფი რეაგირების ბრიგადა ათი ათასი სამხედროს შემადგენლობით. ამას უნდა დავუმატოთ შესაბამისი რაოდენობის შინაგანი ჯარი, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგის დამყარებას და დევნილი მოსახლეობის თანდათანობით (6-12 თვის განმავლობაში) დაბრუნებას. თვითონ ამ ოპერაციის ღირებულება დაახლოებით 500 მილიონიდან ერთ მილიარდ დოლარამდე იქნება.

ვფიქრობ, ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველო 2-3 წელიწადში მზად იქნება.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს შეიარაღებული ძალები შეძლებენ აფხაზეთის მიმართულებით ოცი ათას კაციანი დაჯგუფების კონცენტრირებას, მაშინ 1992-93 წლების სცენარი რუსეთისათვის არაეფექტური იქნება. მხედველობაში მაქვს, ერთი მხრივ, განცხადებები ჩაურევლობის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, ინსტრუქტორების, ე.წ. დაქირავებულების და ჩრდილოეთ კავკასიელების მობილიზება, იარაღით მომარაგება და ა.შ. ამავე დროს რუსეთს გასათვალისწინებელი ექნება - მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სპეცსამსახურები ყველაფერს გააკეთებენ ინციდენტების თავიდან ასაცილებლად - იმის გარანტიები, რომ რუსეთის რომელიმე, დაუდგენელი აეროდრომიდან შემთხვევით აფრენილ თვითმფრინავს, რომელიც შემთხვევით ჩამოაგდებს თბილისში ან ქუთაისში საავიაციო ბომბს, ქართველი ტერორისტების შესაბამისი აქტები არ მოჰყვება რუსეთის ტერიტორიაზე, არ არსებობს. ომს თავისი კანონები აქვს.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად ქვეყანას, სულ მცირე, ხუთი წელი მაინც დასჭირდება.

ამავე დროს გაცნობიერებული უნდა გვქონდეს, რომ თუ რუსეთმა გადაწყვიტა, თავისის მოქალაქეების დაცვის საბაბით კონფლიქტში ღიად ჩაერთოს (რაც თავისთავად გულისხმობს სამხედრო ინტერვეციას), ეს იქნება ერთიანი ქართული სახელმწიფოს და აფხაზური ეთნოსის დასასრული.

3. თუ ქართველი ერის ნება იქნება, ძალების უდიდესი დაძაბვისა და კონცენტრირების შემთხვევაში, რვა-ათი წლის განმავლობაში შეიძლება შეიქმნას ისეთი დონის შეიარაღებული ძალები, როცა ღია, დაუფარავი აგრესიის დაწყება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთისათვის სარისკო იქნება. მხედველობაში მაქვს: სამხედრო ბლიცკრიკის შეუძლებლობა, კონფლიქტის ვადის ხანგძლივობა, საერთაშორისო იზოლაცია, ესენგეს სივრცეზე კონტროლის სრული დაკარგვა, ჩეჩნური სცენარის გამეორება რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში და ა შ. ასეთი პერსპექტივის შემთხვევაში, რუსეთს, რასაკვირველია, მოუწევს პოზიციების დათმობა და რეალური მოლაპარაკების დაწყება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით.

ვფიქრობ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საუბრობდა იმაზე, რომ საქართველო სეპარატისტულ რეგიონებს მაშინ დაიბრუნებს, როცა მისი ბიუჯეტი 6-7 მილიარდი იქნება, ქვეყნის სამხედრო ძლიერებასაც გულისხმობდა. ამავე დროს სამხედრო მშენებლობა სულაც არ გულისხმობს ომის დაწყების აუცილებლობას. პირიქით, ის სამშვიდობო პროცესის დაჩქარების და წარმატების მთავარი გარანტია.

აფხაზეთის პრობლემის მოგვარება გაეროს ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტებით, უკეთეს შემთხვევაში აფხაზეთის გაყოფის ტოლფასი იქნება, ხოლო უარეს შემთხვევაში აფხაზეთის საქართველოს საკონსტიტუციო სივრციდან გასვლით დასრულდება. თუ ვინმემ იცის სხვა პრეცედენტები ეთნიკური პრობლემის მოგვარებისა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, მზად ვარ, ყურადღებით მოვუსმინო და ჩემი შეცდომა ვაღიარო.

ახლა სქემატურად იმის შესახებ, რასაც ჩვენი მეგობარი რუსეთი გვთავაზობს. პირველი ეტაპი ითვალისწინებს დევნილების დაბრუნებას გალის რაიონში, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას, სეპარატისტების მიერ ჩატარებული პრივატიზების ლეგალიზებას და ამ პროცესის გაგრძელებას საქართველოს მთავრობასთან ერთად, კონფლიქტის დარეგულირების განზრახულობათა ოქმის ხელმოწერას. მეორე ეტაპი - დევნილების დაბრუნება აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე და პოლიტიკური ხელშეკრულების გაფორმება საქართველოსა და აფხაზეთს შორის. რას წარმოადგენს რეალურად ეს შემოთავაზება. პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ: რუსეთის სამშვიდობო ძალები განლაგებული იქნებიან არა მარტო მდინარე ღალიძგაზე, არამედ ენგურზეც დარჩებიან, რაც თავისთავად გამორიცხავს საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენას გალის რაიონში, ამიტომ საუბარი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე პირობითი იქნება. დაკანონდება სეპარატისტების მიერ ჩატარებული პრივატიზაცია, ხოლო ახალი ეტაპის შედეგად ქართველი ბიზნესმენების და სახელმწიფო მოხელეების (სწორედ მოხელეების, რადგან პრივატიზების ასეთი პროცესი აუცილებლად გამოიწვევს ახალი ქართული სახელმწიფო აპარატის გახრწნას) ხელში, უკეთეს შემთხვევაში აფხაზეთის ინფრასტრუქტურის მხოლოდ 10-15 პროცენტი გადავა. პირველ რიგში, რასაკვირველია, საუბარია ენგურჰესზე, სანაპირო ზოლზე და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე.

რადგან მეორე ეტაპის დაწყებაში არც აფხაზური და არც რუსული მხარე დაინტერესებული არ იქნება, ის უსასრულოდ გაიწელება, ხოლო განზრახულობათა ოქმი ფარატინა ქაღალდათ დაგვრჩება. პარალელურად, უკიდურესობაში ჩავარდნილი დევნილი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იძულებული იქნება, ჩალის ფასად მიყიდოს თავისი უძრავი ქონება სპეციალურ საშუამავლო ფირმებს, რომლებიც ათეულობით გაიხსნება საქართველოში.

რუსულ გეგმაზე დათანხმების შემთხვევაში ხუთ-ათ წელიწადში შემდეგი შედეგი გვექნება: დაურეგულირებელი კონფლიქტი, აფხაზეთის გაურკვეველი სტატუსი და გასხვისებული ქონება. ამავე დროს, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ოჩამჩირე-გაგრის მონაკვეთზე დაახლოებით ასეთი იქნება: აფხაზები – 70 ათასი, რუსები 100 ათასი, სომხები-200 ათასი, ქართველები მაქსიმუმ 30 ათასი.

რაც შეეხება იმ პროექტს, რომელიც სახელისუფლებო წრეებთან საკმაოდ დაახლოებულმა ჯგუფმა მოამზადა და რომლის მიმართაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. მისი ანალიზისაგან ამჟამად თავს ვიკავებ, რადგან მიმაჩნია, რომ ის ჯერჯერობით დამუშავების და მომზადების პროცესშია და მასზე გამოქვეყნების (წერილი რედაქციაში აღნიშნული კონცეფციის პროექტის გამოქვეყნებამდე შემოვიდა – ***რედ.***)

დაბოლოს, არსებობს თუ არა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების სხვა ალტერნატიული საშუალებები, რომლებიც საქართველოს დღემდე არ გამოუყენებია? რასაკვირველია, არსებობს. მე არ ვიცი, დაიწყო თუ არა სახელმწიფომ ამ გეგმის რეალიზაცია (ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს ის დრო, როცა ქვეყნის მთავარი საიდუმლო ის იყო, რომ მას საიდუმლო არ გააჩნდა), მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისი განხორციელების შემთხვევაში აფხაზეთს ორ-სამ წელიწადში დავიბრუნებთ.



*თუ გეგულებათ პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული ადამიანი, რომელიც დაიჯერებს, რომ ედუარდ შევარდნაძემ ომის და მშვიდობის პრობლემის გადაწყვეტა თენგიზ კიტოვანს ანდო.*



*14 აგვისტოს სათაგურის კარი ჩაიკეტა და საქართველო მოსკოვის მიერ საკმაოდ ოსტატურად დაგებულ ხაფანგში აღმოჩნდა.*



*რა პასუხი აგო საქართველოს ხელმძღვანელობამ ამ მარცხისათვის, რა დასკვნები გამოიტანა? არავითარი; რა გაკეთდა რეალურად ათი წლის განმავლობაში აფხაზეთის დასაბრუნებლად? - არაფერი.*

## შედგება თუ არა "ხელოვნების კიდევ ერთი ზეიმი"



B2

## ახალი ისტორია წარსულთან ალიანსში იწერება




იდეა N39 - იყიდე რაიმე ძვირი, წაიღე სახლში, უკან დააბრუნე.

B3

## შარაპოვა ფინალშია



რუსი ჩოგბურთელი ფინალში სერენა უილიამს დაუპირისპირდება.

B5


*ნომრის სტუმარი*

# საზოგადოებას ოპერის ვირუსი უნდა შევაყაროთ

მაია ჭალაბანიძე

*პირველად ოპერაში მაშინ მოხვდა, როდესაც ლაპარაკი არ იცოდა. ბებიის და, მარიამ მიქელაძე იქ მუშაობდა და ერთ კვირა დღეს პატარა დათო ოპერაში წაიყვანა. როგორც ჩანს, კარგად მოიქცა, რადგან ეს ყოველ კვირა დღეს მეორდებოდა. ბოლოს, როგორც მსმენელი, ისე დაიხვეწა, რომ მარჯვენა ლოჟაში ფანქრით ხელში იდგა და სპექტაკლს "დირიჟორობდა". ბავშვობიდან მის მეხსიერებას ნათლად შემორჩა ორკესტრის ხმები სპექტაკლის დაწყებამდე, სუნი და აკუსტიკა. დღეს ის პატარა დათო, რეჟისორი დავით საყვარელიძე თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გენერალური დირექტორის თანამდებობაზეა წარდგენილი და ძალიან "იმუქრება," "გალიორკებს" ისევ გავავსებო.*



ბესო გაბლიშვილის ფოტო

*მინდა, რომ დღევანდელი მაყურებელი და მსმენელი ყოველთვის ჩარეული იყოს თეატრში მიმდინარე პროცესებში და ჩვენთან ერთად ელოდებოდეს იმ სასწაულს, რასაც საოპერო სპექტაკლი ჰქვია.*

**ჩვენი და პირადად ჩემი მიზანია, უახლესი პერიოდის განმავლობაში ოპერისა და ბალეტის თეატრი კრისტალურ თანამედროვე ორგანიზაციად ვაქციო და საზოგადოებას დავანახო, რომ ყველა კულტურული დაწესებულება შეიძლება ასეთი გახდეს.**

**მინდა, რომ ხალხს შეუყვარდეს ადამიანის შინაგანი განცდები, ის განცდები, რომელიც გენიოსებს შედევრებს აწერინებდა.**

**- საოპერო რეჟისურის პირველი მცდელობაც ბავშვობაში გქონდათ?**

- 1998 წელს ბატონ ჯანსუღ კახიძესთან ერთად საექსპერიმენტო დადგმა გავაკეთეთ. თეატრთან პროფესიული დაკავშირება სწორედ ჯანო კახიძის საშუალებით მოხდა.

**- მაესტრომ შეგაქოთ?**

- შემაქო და მიწინასწარმეტყველა, შენი ცხოვრება ოპერასთან დაახლოვდებაო. მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ ჩემი შემოქმედებითი გზა აქეთკენ წავიდოდა. ამ საექსპერიმენტო დადგმის შემდეგ საოპერო სტაჟირებაზე ინგლისის ნაციონალურ ოპერაში ვიყავი. ეს უფრო კომერციული სტრუქტურაა და ამიტომაც ყველა ოპერას ინგლისურად მღერიან. ეს ოპერა იმიტომ ავირჩიე, რომ იქაური გამოცდილება დღევანდელ საქართველოში გამოდგება. ამის შემდეგ 6 თვის განმავლობაში იტალიაში, პიკოლო თეატრის ერთ-ერთი დიდი საოპერო რეჟისორის ლუკა რონკოლის ასისტენტი გახლდით. ლა სკალაში 4 წარმოდგენის დადგმას დავესწარი, საორგანიზაციო სტრუქტურებს გავეცანი და მივხვდი, რომ გამართული სისტემით აწყობილი კულტურული დაწესებულება კარგ ნაყოფს გამოიღებს.

**- თქვენ მიერ აღმოჩენილი სისტემა ჩვენთვის რითია საინტერესო?**

- მენეჯმენტში უახლესი აზროვნება ინტერკორპორაციული თანამშრომლობაა. უდიდესი შემოსავლების მიუხედავად, "კოვენ გარდენში" მაინც წუწუნებენ, რომ სახელმწიფო ხელოვნებას და კულტურას არ ეხმარება. მათ გამოსავალი ინტერკორპორაციულ საქმიანობაში იპოვეს. მაგალითად, ერთ-ერთი დიდი საოპერო თეატრის დამფუძნებლად აეროპორტი ან რომელიმე უდიდესი სტადიონი გვევლინება.

ოპერა ფუფუნება და ძალიან ძვირადღირებული ხელოვნებაა, ამიტომ მხოლოდ კულტურის სამინისტროს მწირი ბიუჯეტი ამას ვერ გაწვდება. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში ვიფიქრე და დავწერე პროექტი-რეფორმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაკეთდეს ჩვენი ოპერა. პროექტის პრეზენტაცია მალე შედგება და რადგანაც ეს უამრავ სფეროს მოიცავს, მინდა, რომ ყველა ჩაერთოს.

**- რა არის მთავარი?**

- ინტერკორპორაციული მმართველობა, სამეურვეო ან სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ავტორიტეტული და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანებისგან. პროექტი ორი მიმართულებით ვითარდება: ეს არის აბსოლუტურად შეცვლილი საკონტრაქტო სისტემა და მეგობართა ფონდი. ჩემი აზრით, ამ გზით უამრავი შემოსავალი გვექნება. მეგობართა ფონდი ძალზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ორგანიზმია. მასში უნდა გაწევრიანდნენ ადამიანები, ვინც ხვდება, რომ ოპერა სახელმწიფო ატრიბუტიკის უმაღლესი და საყოველთაო საგანია.

ფონდში გვინდა ვიხილოთ საზოგადოებრივი ნაკრები, ოპერის მოყვარულები, რომლებიც თეატრში მიმდინარე მოვლენების მუდმივი მონაწილენი იქნებიან.

**- როგორ შეუწყობს მეგობართა მოზიდვას ხელს კანონი ქველმოქმედების შესახებ, რომელზეც კულტურის სამინისტროში და პარლამენტში მუშაობენ?**

- ამ კანონის ამოქმედება ჩვენი განვითარების პირდაპირპროპორციულია. ის ორგანიზაციები, ვინც ინტელექტუალურ, სულიერ ღირებულებაზე დაფუძნებულ არამომგებიან, არაკომერციულ ხელოვნებას დაეხმარებიან, ალბათ, სახელმწიფოსგან გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს მიღებენ.

ჩვენი საერთაშორისო სახე ოპერის თეატრიც არის, რადგან მთელ მსოფლიოში ჩვენი უამრავი მარგალიტია გაფანტული და ეს მარგალიტები უნდა მოვიზიდოთ.

**- რა ტიპის თანამშრომლობა გექნებათ ქართველ საოპერო ვარსკვლავებთან?**

- რამდენიმე მათგანთან პირდაპირი კონტაქტი მაქვს და ვიცი, რომ სიხარულით დაიწყებენ თანამშრომლობას. ისინი თავის კონტაქტებს გვთავაზობენ, რაც აუცილებლად წაგვადგება, რათა მსოფლიოს უდიდესი საოპერო ორგანიზაციები დაინტერესდნენ ჩვენი პატარა ქვეყნით და ჩვენი პატარა თეატრით. ეს დაინტერესება უკვე არსებობს.

**- მსოფლიოში ცნობილი ქართველი შემსრულებლებისთვის რითია საინტერესო თქვენი წინადადება?**

- ისინი სერიოზულ პოზიციებს ფლობენ. მათ პატრიოტული გრძნობები ამოძრავებთ და თბილისის ოპერის თეატრზე შესტკივათ გული. ჩვენ კი აქ უნდა შევქმნათ ნიადაგი, რომელზეც კულტურული ურთიერთობა აღმოცენდება. დავმეგობრდებით რომელიმე ქალაქთან, ფესტივალთან, საიდანაც სტაბილურად იქნება შეკვეთა. ევროპის რამდენიმე ქალაქიდან უკვე არის შემოთავაზება, მათ ჩვენი დადგმის ნახვა სურთ და დეტალებზე საუბარს მთხოვენ. ჯერ ამის უფლებამოსილება არ მაქვს, აბსოლუტური ქაოსია. სწორედ ამ ქაოსის დასამშვიდებლად შეიქმნა სამწლიანი გეგმა - როგორ უნდა გადავჭრათ ორკესტრის პრობლემები, ტექნიკური გადახალისების საკითხები. ეს პროექტი მეგობართა ფონდთან ერთად უნდა განხორციელდეს.

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ვოკალისტთა მომზადებაა. არ შეიძლება ვოკალისტი მხოლოდ ერთ თეატრში მოღვაწეობდეს. ჩვენ დაინტერესებული ვიქნებით, რომ მათი კარიერის განვითარებას საზღვარგარეთაც შევუწყოთ ხელი. ჩვენი ვოკალისტები არ არიან იმათზე ნაკლები, ვინც საზღვარგარეთ არის გასული.

**- როგორ გხვდებათ კოლექტივი? ხშირად კულტურულ დაწესებულებებში შიშით უყურებენ ყოველგვარ სიახლეს.**

- საბედნიეროდ, დასმა დადებითად შეაფასა ახალი სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირიჟორის ზაზა აზმაიფარაშვილის კანდიდატურა. ოპერას მართლაც სჭირდება სტაბილური ხელმძღვანელი, რომელიც მუსიკალურ-შემოქმედებით მხარეს უპატრონებს.

ჩვენი და პირადად ჩემი მიზანია, უახლოესი პერიოდის განმავლობაში ოპერისა და ბალეტის თეატრი კრისტალურ თანამედროვე ორგანიზაციად ვაქციო და საზოგადოებას დავანახო, რომ ყველა კულტურული დაწესებულება შეიძლება ასეთი გახდეს. რადგანაც ოპერა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო კულტურული დაწესებულებაა, ყველასთვის მაგალითად უნდა იქცეს. სწორედ ეს არის ჩვენი რეფორმის ძირითადი არსი.

**- სახელმწიფო რა დოზით შეგპირდათ მხარდაჭერას?**

- დღევანდელი ხელისუფლება აბსოლუტურად სხვა კონტექსტში აყენებს საოპერო და საბალეტო დასებს. რევოლუციის შემდეგ ძალიან სწრაფად დავუკავშირდით ევროპასა და საერთაშორისო საზოგადოებრიობას. აბსოლუტურად სხვა განზომილებაში გადაიზარდა და გადაფასდა ღირებულებები. ჩვენსა და გარესამყაროს ურთიერთობებში ერთ-ერთი დიდი ხიდი კულტურული ურთიერთობებია. ჩვენი სახე ჩვენი კულტურა და ხელოვნებაა - რა სახითაც წარვდგებით, ისე დაინახავენ ჩვენს ქვეყანას.

**- ამ გრანდიოზულ გეგმებში საიდან ელით ხელის შეშლას?**

- ერთი რამის მეშინია - ოპერა არ იქცეს პოლიტიკური ბრძოლების იარაღად. კულტურა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია და არა პოლიტიკური დაპირისპირებების ნაწილი.

**- რეფორმაში ჩაიდო თუ არა ხელოვნებაში და, კერძოდ, ოპერაში პოლიტიკის შემოჭრის ანტიმექანიზმები?**

- ჯერჯერობით ჩვენი კანონმდებლობა იმის საშუალებას არ იძლევა, რომ აბსოლუტურად გამოვეყო და დავიცვა ეს ორგანიზმი. ველით ხელშეწყობას და კულტურის სამინისტრო ამ რეფორმებით დაინტერესებულია.

შემოქმედებითი თვალსაზრისით ჩვენი რეფორმით მუდმივად გავზრდით მსმენელისა და მაყურებლის რაოდენობას. მსმენელთან მუდმივად გვექნება კავშირი და ყოველდღიურად მივაწვდით ინფორმაციას.

**- რა ინფორმაციას?**

- თუ ძველ ბერძნულ კულტურას მოვიშველიებთ, მაყურებელი თანამონაწილე იყო იმ დიდი საოცრებისა, რაც თეატრში ხდებოდა. გენიოსის მიერ ოდესღაც ნოტებზე ჩაწერილი ნამუშევარი ჩვენსა და მაყურებელს შორის უნდა გაცოცხლდეს. ეს საკრარული პროცესია და მაყურებელი სწორედ ამ "რიტუალში" მონაწილეობს. საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირია საჭირო.

იტალიური ოპერა ეროვნული თვითშეგნების უმაღლეს გამოხატულებად იქცა. ფაქტობრივად, ვერდი უდიდეს მოაზროვნედ შერაცხეს. ჩვენი ოპერა ისტორიულად იყო მჭიდრო კავშირში ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებასთან. ეს არის ადგილი, სადაც ყოველთვის იკვეთებოდა ადამიანის სულიერების საუკეთესო თვისებები. ოპერას ეს ახასიათებს. მინდა, რომ დღევანდელი მაყურებელი და მსმენელი ყოველთვის ჩარეული იყოს თეატრში მიმდინარე ამ პროცესებში და ჩვენთან ერთად ელოდებოდეს იმ სასწაულს, რასაც საოპერო სპექტაკლი ჰქვია.

**- ეს ასეც იყო. ძველი თაობა მუდმივად დადიოდა ოპერაში, ზეპირად იცოდნენ არიები, "გალიორკებზე" თავისუფალი ადგილი არ იყო. რატომ გახდა ეს - მივიწყებული კულტურა?**

- ალბათ, დრომ განაპირობა. ხალხი მომზადებული იყო, ყველა ოპერა ზეპირად იცოდა, ყოველ სპექტაკლზე სასწაულს ელოდა.

საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ვოკალური პოტენციალია და ეს ხალხური მუსიკიდან მოდის. ჩვენს ვოკალისტებს ხმა და სმენა აქვთ, სჭირდებათ ტექნიკა, ცოდნა და ინფრასტრუქტურა, რომ ეს გამომჟღავნდეს.

ორკესტრს მინდა დავუბრუნდე - ეკონომიკური ვითარების გამო ბევრმა მუსიკოსმა პროფესია მიატოვა. მუსიკოსების ერთგვარი დეფიციტი შეიქმნა.

**- როგორ შეიძლება საქართველოში მუსიკოსთა შორის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა?**

- ჩემი აზრით, ეს მარტივია. ჩვენთან უამრავი სამუსიკო სკოლები და სასწავლებლებია...

**- ყველგან საშინელი მდგომარეობაა.**

- საშინელი მდგომარეობა იმიტომ არის, რომ პერსპექტივას ვერ ხედავენ. მათი დანიშნულება სწორედ იმის გამო არის გაუგებარი, რომ მათი განვითარების გვირგვინი მნიშვნელოვან სიმფონიურ ორკესტრებში მუშაობაა. ეს ორკესტრები და ორგანიზაციები სწორედ მუსიკალური სასწავლებლების დახმარებით უნდა წამოვწიოთ. ხელი უნდა შევუწყოთ მუსიკოსთა ეკონომიკურ მდგომარეობას.

**- როგორ?**

- ეს რამდენიმე საერთაშორისო ფონდის საგანმანათლებლო პროექტის საშუალებით უნდა მოხდეს. სამუსიკო სასწავლებელთა უმაღლეს კლასებში სელექცია მოხდება. მთელი საქართველოს მასშტაბით შევარჩევთ ორ, დავუშვათ, ფაგოტისტს, დავუნიშნავთ სტიპენდიას, საზღვარგარეთ სასწავლებლად გავუშვებთ. საელჩოების კულტურის განყოფილებების საშუალებით ჩამოვიყვანთ სპეციალისტებს მასტერკლასების ჩასატარებლად. მსგავსი პროექტები უამრავ ფონდში არსებობს და ამის სისტემაში მოყვანას ვაპირებთ. ჩვენთან არსებობს ის ძალა და ადამიანური რესურსი, ვინც ამას თავს მოაბამს. საქართველოში ძალიან კარგი მუსიკოსები არიან.

**- რა წვლილს შეიტანენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის განვითარებაში საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი შემსრულებლები?**

- ყოველ თვე ჩამოვლენ და მონაწილეობას მიიღებენ დადგმაში. ეს მუდმივად მოხდება და მათ გეგმაშიც ისე შევა, როგორც ლა სკალაში გამოსვლა აქვთ დაგეგმილი. უბრალოდ, იმხელა ჰონორარს არ მოითხოვენ და ეს იქნება მათი დახმარება.

გარდა ამისა, ჩვენი კულტურული ექსპორტი მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მათ კონტაქტებზე. ამისთვის საჭიროა პოლიტიკური სიმშვიდე, რომ ყველაფერი გეგმაზომიერად წარიმართოს.

**- რეგიონებს ამ პროცესებში მონაწილეობის საშუალება მიეცემათ?**

- ჩვენი დიდი სურვილი ისიც არის, რომ ქართული ოპერა სათანადოდ წარვადგინოთ ევროპისა და მსოფლიოს წინაშე, რათა ქართული ორიგინალური სიუჟეტით, ქართული ჟღერადობით დაინტერესდნენ. ცხადია, ამ პროექტებში რეგიონებიც ჩაერთვებიან. კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ, რადგან ამას შეიძლება შემოქმედებითი დავა მოჰყვეს, რომელიც ორგანიზაციულ საკითხებს ხელს შეუშლის.

**- იქნებ, ეს ოპერები იმიტომაც დაიკარგნენ, რომ მაღალი მხატვრული ღირებულების არ არიან?**

- დღეს მთელ მსოფლიოში გაუჟღერებელი ოპერების ბუმია. ჯანსუღ კახიძემ ერთხელ კი თქვა, რომ დავიწყებული ოპერები იმიტომ არის დავიწყებული, რომ არ ვარგაო და ეს ერთგვარად სიმართლეა. მაგრამ ახალი ფორმების აღმოსაჩენად ანალიზი უნდა გავუკეთოთ არსებულ მემკვიდრეობას, საკუთარი თავი უნდა შევიცნოთ. მინდა, რომ მსოფლიო საგანძურში, რაღაცნაირად, ქართული ოპერაც შევიდეს.

**- რამდენი საუკუნეა, ოპერაში იტალია ბატონობს, ვის ვეჭიდებით?**

- დღევანდელი მსოფლიო ტენდენციით, ვიზუალურ სანახაობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

**- შოუს გულისხმობთ?**

- არა. მაღალმხატვრული დონის სპექტაკლებს. მუსიკის ინდუსტრიის განვითარებამ ოპერის მოსმენა ხელმისაწვდომი გახადა. შემიძლია უდიდესი მომღერლის მიერ შესრულებული რომელიმე ოპერის ჩანაწერი შევიძინო და სახლში მოვუსმინო. მაგრამ, ეს ვერ შეცვლის იმ ურთიერთობას, რაც სპექტაკლის მსვლელობისას მაყურებელსა და მსახიობს შორის ხდება. ჭეშმარიტმა შედევრებმა კონკურენციას გაუძლო, ვიზუალური მხარე კი ცვლილებებს საჭიროებს. მაყურებელს მაღალმხატვრული ღირებულების წარმოდგენები სჭირდება. ჩვენი ტექნიკური ბაზა დროს ვერ უძლებს. გვინდა, რომ განათებითა და ტექნიკური საშუალებებით უმაღლეს ხარისხს მივაღწიოთ. არ ვგულისხმობ, რომ რაღაც ავანგარდულ წარმოდგენებს გავმართავთ, ამ ეტაპზე ეს გამართლებულად არ მიმაჩნია. ნებისმიერ კლასიკურ ოპერას უმაღლესი ხარისხის კოსტიუმი სჭირდება. თუ ეს კოსტიუმი ისტორიულია - უნდა აღდგეს.

**- პრიმაბალერინა ლალი კანდელაკმა ჩვენთან ინტერვიუში დაიჩივლა, საუკუნეა, საბალეტო სპექტაკლები არ განახლებულაო.**

- ბალეტის ორგანიზებასთან დაკავშირებით საინტერესო მოლაპარაკებები იმართება ნინო ანანიაშვილთან. ჩემი აზრით, ბალეტის დასი ორ ენაზე უნდა ცეკვავდეს - ტრადიციულად და ნეოკლასიკურად, თანამედროვედ. ჩვენი დასი ორივე ენას ძალიან კარგად უნდა ფლობდეს, რადგან ამის გარეშე ევროპულ სტანდარტს ვერ მივაღწევთ.

**- რეფორმები ხომ არ გადაიყოლებს თქვენს სარეჟისორო მოღვაწეობას?**

- ჩემი ეს კონცეფცია სამ წელზე მაქვს გაწერილი. სამი წლის მერე მინდა დავრჩე რეჟისორად. ჩემი ბავშვობის ნატვრაა, ვიყო საოპერო რეჟისორი.

**- როგორია საზოგადოება, რომელსაც ოპერა უყვარს?**

- შეიცვლება მსოფლმხედველობა. კულტურისა და ეროვნული სიმდიდრის მიმართ დამოკიდებულება დაიხვეწება და სხვა რანგში გადავა. მინდა, რომ ხალხს შეუყვარდეს ადამიანის შინაგანი განცდები, ის განცდები, რომელიც გენიოსებს შედევრებს აწერინებდა.

**- ეს არ არის შტურმი ადამიანის ცნობიერებაზე?**

- საქმე უფრო მარტივადაა. ეს მხოლოდ და მხოლოდ სწორი მიწოდებაა. მოხვალთ მომზადებული და მონაწილეობას მიიღებთ დღესასწაულში. დაგბურძგლავთ, განიცდით, იტირებთ და განწმენდილი წახვალთ სახლში. საზოგადოებას ოპერის ვირუსი უნდა შევყაროთ.




## თეატრები

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00.

## კინოთეატრები

**"ამირანი"**
"სკუბი დუ 2"
დას: 13:00; 17:00 სთ.

"მაგარი გოგონები"
დას: 17:00; 20:00; 22:30 სთ.

## გამოფენები

**"ძველი გალერეა"**
გუგა კოტეტიშვილის ნამუშევართა გამოფენა

**"ქარვასლა"**
მამუკა ცეცხლაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა, გახსნა

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
"ხელოვნება და ბავშვები"
სახვითი ხელოვნების სტუდიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

**პარასკევს, 2 ივლისს, 17 საათზე** ლიტერატურულ კაფეში "პარნასი" (მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. 22) გაიმართება ბორის აკუნინის ცნობილი დეტექტიური რომანის "აზაზელი" პირველი ქართული თარგმანის პრეზენტაცია.

# 100 ათასი - საქართველოს პრესტიჟისათვის

## შედგება თუ არა კიდევ ერთი "ხელოვნების ზეიმი"

მადი სერებრიაკოვა

*ბორჯომის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის დაწყებამდე სულ რაღაც ერთი კვირით ადრე, ფესტივალის ხელმძღვანელობა კულტურის სამინისტროსთან სკანდალურ დაპირისპირებაში აღმოჩნდა. კულტურის მინისტრი ფესტივალის ჩასატარებლად საჭირო 100 ათასი ლარის გადახდაზე უარს ამბობს, ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ლიანა ისაკაძე კი - კულტურის მინისტრს არაპროფესიონალიზმსა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პრესტიჟის შელახვაში ადანაშაულებს. შედგება თუ არა რიგით მესამე "ხელოვნების ზეიმი"? ან რას აირჩევს სახელმწიფო, თუკი სასწორის ერთ მხარეს მუსიკალური პროექტებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ნახევარია, ხოლო მეორე მხარეს - პრესტიჟული საერთაშორისო ღონისძიება, რომელიც დიდი ხნის წინათ დაიგეგმა და დღეს მასზე უარის მოულოდნელად თქმა სერიოზულად შელახავს საქართველოს იმიჯს?*


იური ლობოდინის ფოტო

*ლიანა ისაკაძე "ხელოვნების ზეიმის" ჩატარებას ეჭვქვეშ აყენებს.*

როგორც აღინიშნა, "ხელოვნების ზეიმი" საქართველოში უკვე მესამედ იმართება, მისი ძირითადი სპონსორი "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიაა", თუმცა ფესტივალი სახელმწიფოს ხელშეწყობითაც სარგებლობდა. გასულ წელს ფესტივალის ხელმძღვანელობამ პრეზიდენტის უშუალო მხარდაჭერაც მოიპოვა. პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება და "ხელოვნების ზეიმის" დასაფინანსებლად 100 ათასი ლარიც გამოყო. ამ ბრძანებულებისა და თანხის იმედად, ლიანა ისაკაძე მთელი წლის განმავლობაში "ხელოვნების ზეიმს" ამზადებდა. რამოდენიმე თვის წინათ უკვე ცნობილი იყო (ამის შესახებ მასალა "24 საათშიც" გამოქვეყნდა) ფესტივალის ზუსტი პროგრამა, განრიგი და რიგი მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსებისა, რომლებიც წელს "ხელოვნების ზეიმში" მიიღებდნენ მონაწილეობას. ფესტივალის დაწყებიდან ორი კვირით ადრე ლიანა ისაკაძეს კულტურის სამინისტროდან აცნობეს, რომ ფესტივალისთვის საჭირო 100 ათასი ლარი არ გადაირიცხება, რადგან მუსიკალური პროექტებისთვის სულ 200 ათასი ლარია გათვალისწინებული ბიუჯეტში და ეს თანხა უმნიშვნელოვანეს პროექტებსაც კი არ ჰყოფნის.

კულტურის სამინისტროს ამ მოულოდნელ გადაწყვეტილებას, საფუძვლად სამინისტროში მუსიკოსთა საბჭოს გადაწყვეტილება დაედო. მუსიკოსებისგან შემდგარმა კომისიამ იმსჯელა სამინისტროს პრიორიტეტებზე და "ხელოვნების ზეიმისთვის" ბიუჯეტის ნახევრის გამოყოფა მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

ფესტივალის ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ კულტურის სამინისტროს ძლიერ დააგვიანდა მუსიკალური პროექტებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის განხილვა. ლიანა ისაკაძის ძირითადი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული 100 ათასი ლარის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2003 წლის 28 თებერვალს იქნა მიღებული, იმავე წელს, 8 აგვისტოს პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებულიც. მართალია, მას შემდეგ საქართველოში ხელისუფლება გამოიცვალა, მაგრამ ახალ პრეზიდენტს შევარდნაძის ბრძანება არ გაუუქმებია. პირიქით, ლიანა ისაკაძისადმი მიწერილ წერილში ფესტივალისადმი თანადგომა და მხარდაჭერა გამოხატა, როგორც ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი.

კულტურის სამინისტროს "ხელოვნების ზეიმის" ბიუჯეტის შეკვეცასთან დაკავშირებით საკუთარი არგუმენტები გააჩნია. ბრძანებულება, რომლის საფუძველზეც ფესტივალის ორგანიზატორიები 100 ათას ლარს მოითხოვენ, ძალაში აღარ არის იმიტომ, რომ გასული წლის შემდეგ სამინისტროს ბიუჯეტი შეიცვალა და მუსიკალური პროექტებისთვის დაფინანსება მნიშვნელოვნად შემცირდა. კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ თავად უშუამდგომლეს ფესტივალს გენერალურ სპონსორთან ("მინისა და მინერალური წყლების კომპანიასთან"), რომ მათ მეტი დახმარება გაეწიათ ღონისძიებისთვის. საერთო თანხა ფესტივალის ორგანიზებისთვის განსაზღვრული იყო 170 ათასი ლარით. **"ამ თანხით, ერთი კი არა, რამდენიმე ფესტივალის მოწყობა შეიძლება** - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ გიორგი სულხანიშვილმა **- ჩვენ მზად ვართ გადავიხადოთ მუსიკოსების მგზავრობის ხარჯები, მაგრამ ჰონორარები (30 ათასი) ჩვენთვის ძალიან დიდი ფუფუნებაა."**

სკანდალური ელფერი ამ დაპირისპირებას კიდევ რამოდენიმე უსიამოვნო ფაქტმა შესძინა. პირველ რიგში, გამოჩენილი მევიოლინე იმან აღაშფოთა, რომ სახელმწიფოს დახმარების მოხსნის შესახებ გადაწყვეტილება, სამინისტრომ თითქმის კარს მომდგარი ფესტივალის დაწყების წინ მიიღო. **"მე რომ მცოდნოდა, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ეს თანხა, მე თვითონ ვიტყოდი ფესტივალზე უარს, ანდა ვიზრუნებდი, რომ სხვაგან მეშოვნა ეს თანხები"** - აღნიშნავს ლიანა ისაკაძე **- "რატომ არ განიხილა სამინისტრომ ეს საკითხი ადრე? ან რას ფიქრობდნენ ის მუსიკოსები, რომლებიც კომისიაში იყვნენ? განა მათ არ იციან, რომ იმ რანგის მუსიკოსები, როგორებიც ფესტივალში იღებდნენ მონაწილეობას, დიდი ხნით ადრე გეგმავენ საკუთარ კონცერტებსა და გასტროლებს?! ეს ხომ უბრალოდ შეურაცხყოფაა იმ მუსიკოსების, პირადად ჩემი, საკუთარი ქვეყნის, რომ ორი კვირით ადრე ამდენ ხალხს გამოუცხადო, - ფესტივალი არ შედგება, ან გეგმები შეიცვალაო."**

სამინისტროს წარმომადგენლის ცნობით, ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი არ იყო და ლიანა ისაკაძემ განაცხადი სამინისტროში მხოლოდ 27 მაისს შემოიტანა. ამ გადაწყვეტილების მიღებას კი კომისიის სამი სხდომა და დაძაბული დებატები დაეთმო.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ლიანა ისაკაძე გიორგი გაბაშვილს შეხვდა. ამ უკანასკნელმა, გამოჩენილ მევიოლინეს სიტუაცია განუმარტა და შესთავაზა, რომ ფესტივალის მონაწილეებს თავად სამინისტროს წარმომადგენელი დაურეკავდა და მათ ჰონორარის გარეშე მონაწილეობაზე დაითანხმებდა. ლიანა ისაკაძემ მინისტრს მონაწილეთა სია გადასცა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ამგვარი წინადადების გაკეთება ამ დროს მას სამარცხვინოდ მიაჩნია და ამ შემთხვევაში იგი ფესტივალისა და სახელმწიფო კამერული ორკესტრის ხელმძღვანელის თანამდებობას დატოვებს. მინისტრს მან გადადგომის შესახებ განცხადებაც გადასცა.

მიუხედვად ასეთი ულტიმატუმისა, კულტურის სამინისტრომ მაინც სცადა "ხელოვნების ზეიმში" მონაწილე ცნობილ უცხოელ მუსიკოსებთან მოლაპარაკებების წარმოება. მინისტრის მოადგილე თავად ელაპარაკა სიტკოვეცკის, მისი თქმით, იგი დათანხმდა, მაგრამ მოულოდნელად მეორე დღეს გადაწყვეტილება შეცვალა. გაურკვეველი მიზეზების გამო, უარი თქვა ვინგეროვმაც, მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სამინისტრო დათანხმად მისთვის კუთვნილი ჰონორარის გადახდას. ლიანა ისაკაძე კი ავსტრიაში მოღვაწე დირიჟორთან იონ ქ. ლისთან წარმოებულმა მოლაპარაკებამ აღაშფოთა: **"ლი ძალზედ მაღალანაზღაურებადი დირიჟორია, "ხელოვნების ზეიმზე" მისთვის გათვლილი ჰონორარი მიზერული იყო და, ფაქტობრივად, დირიჟორისთვის იგი დღიურ თანხას წარმოადგენდა. მოულოდნელად ამ თანხაზეც უარის თქმა, ძალზედ უხერხულია. ლის უთხრეს, რომ ვენგეროვი და სიტკოვეცკი ფესტივალში უჰონორაროდ მონაწილეობენ. ეს ასე არ არის და მე ხვეწნა-მუდარა დამჭირდა ამ მუსიკოსების მიმართ, რომ მათ არ შეეცვალათ საქართველოში ჩამოსვლის გეგმები. ის, რასაც ჩვენ ჰონორარს ვეძახით, სინამდვილეში მიზერია და უფრო დღიური თანხაა. მათი ჰონორარები კი თითოეული კონცერტისთვის რამდენიმე ათეულ ათას ევროს აღწევს."**

სახელმწიფოსგან დაპირებული 100 ათასი ლარი ლიანა ისაკაძემ რამოდენიმე ათასით შეამცირა: გარკვეული შეღავათი ფესტივალს "აირზენამ" გაუწია, ალტერნატიული სახსრების მოძიებას ცდილობს "მინისა და მინერალური წყლების კომპანიაც". თავის მხრივ, კულტურის სამინისტრომაც სცადა ფესტივალისთვის ბიუჯეტი ცოტათი მაინც გაეზარდა. სამინისტროს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ უსიამოვნება ფესტივალის არასწორად შედგენილი ბიუჯეტის ბრალია და საკმარისი დრო რომ ყოფილიყო, ისინი თავად დაეხმარებოდნენ ფესტივალს კერძო სპონსორების მოძიებაში.

თავის მხრივ, ფესტივალის გადასარჩენად ლიანა ისაკაძემ პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და თავად პრეზიდენტ სააკაშვილს მიმართა. ამჟამად ფესტივალის ბედი კვლავ გაურკვეველია. ფესტივალის გამართვას ძალზედ ცუდ ფონს უქმნის ლიანა ისაკაძის მინისტრთან დაპირისპირებაც. მიუხედავად ამისა, ლიანა ისაკაძემ პირადად სთხოვა ყველა მონაწილეს, არ შეცვალონ გეგმები. "ხელოვნების ზეიმი" კი ამჯერად ქვეყნის პირველი პირებისა და დაპირისპირებულ მხარეებს შორის კომპრომისების იმედზეა.

# უცნობი ნაცნობების პირველი ნაბიჯები


მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*გურამ ბათიაშვილი გამოფენაზე.*

თამარ სუხიშვილი

გამოფენის ორგანიზატორები დიდხანს ფიქრობდნენ, რა დაერქმიათ ამ ექსპოზიციისთვის - "უცნობი ნაცნობები", "პირველი ნაბიჯები", თუ კიდევ სხვა რამ. მაგრამ ბოლოს ისევ ამ უკანასკნელზე შეაჩერეს არჩევანი, რადგანაც ნახატები, რომლებიც გუშინ "ომეგას" გალერეაში გამოიფინა, ცნობილი მხატვრების (და არა მარტო მხატვრების) შემოქმედების პირველ ნაბიჯებს ასახავს.

გალერეაში წარმოდგენილია ის ნამუშევრები, რომლებიც თავის დროზე, XX საუკუნის დასაწყისში, ჟურნალ "თეატრი და ცხოვრების" ფურცლებზე იბეჭდებოდა. დამთვალიერებელი აქ ბევრ საინტერესოს ნახავს. მაგალითად, კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის შარჟს; "დიდების" ავტორი, როგორც ჩანს, ხშირად იყო ჟურნალის სტუმარი, შალვა ქიქოძისა თუ ელენე ახვლედიანის მიერ შექმნილი პორტრეტებისა და შარჟების წყალობით. გალერეაში გამოფენილია ლადო გუდიაშვილის, მოსე თოიძის, თამარ თავაძის, ვლადიმერ მახარობლიძის, ირაკლი თოიძის, მიხეილ ჭიაურელისა და სხვათა გრაფიკა. სხვათა შორის, აქ რამდენიმე უცნობი ავტორის ნახატიცაა წარმოდგენილი, რომელთა ვინაობასაც ალბათ მომავალში მკვლევარები დააზუსტებენ.

ექსპოზიცია თემატურადაც ისეა დალაგებული, რომ იმდროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე გარკვეული შთაბეჭდილება შეგვექმნას: აჯანყებები, დეპუტატთა, მწერალთა, კომპოზიტორთა და მხატვართა კარიკატურები, სარედაქციო ცხოვრება და მინაწერები; მაგალითად ასეთი, მიხეილ ჭიაურელს აცაბაცად რომ მიუწერია ერთი კარიკატურისთვის:

"უჰ, ეგ თქვენი ბრძოლის პირი!
ოჰ, ეგ თქვენი ომის ხაზი!
ვიშ, ეგ თქვენი ულვაშები
(ვილგელმურათ მონახაზი)
იჰ, ეგ თქვენი სტრატეგობა
ეჰ, ეგ თქვენი პოზიცია.
ვაჰ თქვენ საქმეს, ჰონორარი
ლექსის თუ არ მოგიცია."

"ზოგი ნახატი სასაცილოდაც გვეჩვენება, მოუხეშავადაც, გულუბრყვილოდაც. მაგრამ ძალიან საინტერესოა, რადგან ეს ამ ადამიანების შემოქმედების დასაწყისია, - ამბობს მხატვარი ნინო ზაალიშვილი, - არ შემიძლია არ აღვნიშნო ვლადიმერ მახარობლიძის ნამუშევრები, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული ილუსტრაციის ისტორიისათვის. ეს მხატვარი გარდაცვალების შემდეგ ყველას მიავიწყდა და მისი ილუსტრაციებიც ჩვენთვის სიახლეს წარმოადგენს. გარდა ამისა, გალერეაში გამოფენილია იმ ცნობილ პიროვნებათა ნამუშევრები, რომლებმაც მხატვრობით კი არა, სულ სხვა მოღვაწეობით გაითქვეს სახელი, მაგრამ თავის დროზე მხატვრობაშიც სცადეს ბედი და პირველი ექსპერიმენტებიც ჩაატარეს..."

ალბათ, ისიც გაინტერესებთ, როგორ აღმოჩნდა გასული საუკუნის დასაწყისში ჟურნალის სხვადასხვა ნომრებში გაბნეული ნამუშევრები "ომეგას" გალერეაში. საგამოფენო მასალა მწერალმა კობა იმედაშვილმა მოიძია თავისი პაპის, "თეატრი და ცხოვრების" მაშინდელი რედაქტორის - იოსებ იმედაშვილის არქივში... ლადო გუდიაშვილი თავის მოგონებებში "თეატრი და ცხოვრების" ეპიზოდსაც იხსენებს და იოსებ იმედაშვილს განსაკუთრებულად ემადლიერება. ამ ჟურნალში ხომ არაერთმა მხატვარმა და მწერალმა აიდგა ფეხი...

"ომეგას" გალერეაში წარმოდგენილი ნახატები ჟურნალ "თეატრი და ცხოვრების" მდიდარი არქივის მხოლოდ მცირე ნაწილია. გამოფენა "პირველი ნაბიჯები" ერთ კვირას გასტანს.

# რეფორმები გრძელდება

## ახალ სეზონს განახლებული ოპერის თეატრი შეხვდება

ვერა ნეფარიძე

*რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ, გუშინ მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა ოპერის თეატრში დაგეგმილი რეფორმების დაწყება გვაცნობა. აგვისტოდან თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ოფიციალურად ახალი ხელმძღვანელობა იმუშავებს. ზაზა აზმაიფარაშვილისა და დათო საყვარელიძის ტანდემი თეატრში ახალ საკადრო პოლიტიკას განახორციელებს. მომავალი სეზონი ოპერისა და ბალეტის თეატრში რევოლუციური ცვლილებებით დაიწყება.*



*დათო საყვარელიძე (მარჯვნივ) ოპერის თეატრში ახალ საკადრო პოლიტიკას გაატარებს.*

"სამინისტროში ცვლილებები, ინფორმაცია ბევრია. ახლახანს ორი ფესტივალის თანაორგანიზატორები ვიყავით. პარალელურად, გრძელდება რეფორმები", - გუშინ კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ახალ სამყოფელში გამართულ ბრიფინგზე მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა ჟურნალისტებს რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე გაგვაცნო. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაკვირველია, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაწყებული რეფორმებია. ამ რეფორმებს მხოლოდ საკადრო ცვლილებებს ვერ დაარქმევ. გუშინვე შეხვედრაზე მოწვეულმა, ოპერის თეატრის ახალმა გენერალურმა დირექტორმა, რეჟისორმა დათო საყვარელიძემ ამ ყველაფერს სახელმწიფოს მხრიდან საოპერო ხელოვნებისადმი ახალი დამოკიდებულება უწოდა. "რამდენიმე თვეა, ვმუშაობთ ოპერის თეატრის რეფორმებზე. დღეს ჩვენ მზად ვართ ამ რეფორმების დასაწყებად. დათო საყვარელიძეს აქვს თეატრის განვითარებისთვის ძალიან საინტერესო იდეები, რაც მოგვცემს საშუალებას, ხშირად ვიხილოთ ქართული მარგალიტები, რომელიც გაბნეულია მთელ მსოფლიოში", - გვითხრა გიორგი გაბაშვილმა. პრესკონფერენციაზე როგორც მინისტრმა, ასევე ახალდანიშნულმა გენერალურმა დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, ძალიან მოკლედ ისაუბრეს ცვლილებებზე. ამ ცვლილებების ძირითადი მიზანია, სრულად იქნას გამოყენებული საოპერო ხელოვნების ის პოტენციალი, რაც ქვეყანაში არსებობს.

დათო საყვარელიძე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეტარის გენერალურ დირექტორად შემთხვევით არ დაუნიშნავთ. როგორც თავად რეჟისორმა გვითხრა გუშინ, იგი ბოლო პერიოდში დაინტერესებულია ოპერის თეატრის რეფორმებით. დასრულებულიც აქვს 60-გვერდიანი შრომა, რომელიც საზღვარგარეთის ანალოგიური თეატრების გამოცდილების გათვალისწინებით ჩამოაყალიბა. "დიდი ხანია, ვფიქრობ ოპერის თეატრის რეფორმაზე. სპეციალური კურსებიც კი გავიარე ამასთან დაკავშირებით", - ახალდანიშნული გენერალური დირექტორისგან დეტალური ინფორმაციის მიღებას, ალბათ, თეატრის ახალი სეზონისთვის უნდა ველოდოთ. თუმცა, ამ ეტაპზე ცნობილი ისაა, რომ დათო საყვარელიძის მთავარი ნოვაცია იქნება ზრუნვა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მეცენატთა ფონდის შესაქმნელად. ამასთან ერთად, იგი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან და მთავარ დირიჟორთან (ეს თანამდებობაც არ იყო თეატრში აქამდე), ზაზა აზმაიფარაშვილთან ერთად საკადრო ცვლილებებზეც იმუშავებს. კონკრეტული გვარები გუშინ არ დასახელებულა. უბრალოდ, ითქვა, რომ ამიერიდან თეატრთან აქტიურად ითანამშრომლებენ სახელოვანი ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები.

გუშინდელ შეხვედრაზე ბუნებრივია, გაჩნდა შეკითხვები სახელოვნებო სფეროში აგორებული "სკანდალის", კერძოდ კი ბორჯომის ფესტივალის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მინისტრმა განმარტა, რომ მისი სამინისტრო კვლავაც რჩება ფესტივალის აქტიურ მხარდამჭერად; რომ "ხელოვნების ზეიმი" არის წელს სამინისტროს თანაორგანიზებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება. "ჩვენთვის 45 ათასი ლარი, რითაც ფესტივალს ვეხმარებით, ძალიან მნიშვნელოვანი თანხაა; კერძოდ კი, მუსიკალური სფეროსთვის გამოყოფილი თანხის მეოთხედი. მოწვეულ მუსიკოსებს რომ ჰონორარის სახით 60 ათასი ლარი გადავუხადოთ, ამისათვის ჩვენი სახელმწიფო მზად არ არის; ეს ჩვენთვის დიდი ფუფუნებაა. მე ვფიქრობ, რომ უნდა არსებობდეს ლოგიკური პროპორცია. ჩემთან შემოსულ განცხადებას ჯერჯერობით არ ვადებ რეზოლუციას", - გიორგი გაბაშვილმა ისიც დაამატა, რომ სამინისტროს გადაწყვეტილება ფესტივალის ორგანიზატორებისთვის ხარჯთაღრიცხვის წარდგენიდან მეორე დღეს გახდა ცნობილი. "თუკი სამინისტროსთან კონფლიქტის მიზეზით შეგნებულად არავინ ჩაშალა, ფესტივალი არ ჩაიშლება", - დაგვარწმუნა გიორგი გაბაშვილმა.

# ახალი ისტორია წარსულთან ალიანსში იწერება

მაკა კუკულავა

*ვინაიდან პოსტმოდერნიზმი ნებისმიერ პოსტულატს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და მისი ინტერპრეტაციის განუსაზღვრელ საშულებებს იძლევა, რამდენიმე სტატიაში, რომელსაც გაზეთი "24 საათი" შემოგთავაზებთ, განხილული იქნება კულტურის სხვადასხვა სფეროში (მოდა, კინო და სხვა) გამოვლენილი პოსტმოდერნისტული ესთეტიკისა და მსოფლმხედველობის ნიშნები.*

ერთიანი განსაზღვრა იმისა, თუ რა არის პოსტმოდერნიზმი, არ არსებობს. დავა და დისკუსიები ამ თემაზე გრძელდება და მრავალრიცხოვანი მოსაზრებები წარმოშობს კითხვებს, გვთავაზობს წარსულის ახლებურ გახსენება-გააზრებას და ინტერპრეტაციებს.

**როგორ შეიჭრა მე-20 საუკუნეში მოდა დიდი ხელოვნების სფეროში და როგორ აისახა მე-20 საუკუნის კულტურა და ადამიანების მსოფლმხედველობა საუკუნეების მანძილზე კაბების დაგრძელება-დამოკლებაზე?**

თანამედროვე ხელოვნებაში, არა მარტო დიდი კულტურის დესაკრალიზაცია მოხდა, თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურ ჟესტებამდე დაყვანის სახით, არამედ მოდა, სპორტი და გართობის სხვადასხვა სახეობები შეიჭრნენ დიდი კულტურის სფეროში. საკუთარი შეხედულებების გამოხატვის, ეპოქის სუბიექტური ინტერპრეტაციის საუკეთესო საშუალებად მოდა იქცა. დღევანდელი დიზაინერები ბანალური თერძი-მკერავებიდან ისტორიკოსებად, ფილოსოფოსებად, რეჟისორებად, მხატვრებად გადაიქცნენ. უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული ნივთები კი, ხშირად პოლიტიკურ მანიფესტებადაც კი იქცევა ხოლმე (მაგ. Hussein Chalaian, Alexander McQeen, Victor and Rolf-ის ნამუშევრები და სხვა).

"მოდა თანამედროვე ხელოვნებისათვის ყველაზე მაღალი კატეგორიაა. თემების, მასალების, "მესიჯების" ფუნდამენტალური წყარო თვითგამოხატვის განსახორციელებლად" - ეს სიტყვები ჰქონდა დართული გამოფენა-პროექტს Game ("თამაში"), რომელიც 2003 წლის სექტემბერში ნიუ იორკში მე-5 ავენიუზე, სალვადორე ფერაგამოს Flagship store-ის გახსნასთან დაკავშირებით გაიმართა.

Game ერთგვარი პოსტმოდერნისტული თამაშია, რომლის მთავარი მოქმედი გმირი ფერაგამოს ცნობილი ფეხსაცმლის მოდელის Decollete-ის ირონიულად ციტირებული ვარიანტია (ეს მოდელი მან მერლინ მონროსთვის 1927 წელს შექმნა). Game - ეს არის შავი ძროხის ტყავისაგან დამზადებული მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, თეთრი გრაფიკული ხაზებით. ამ მოდელის მოტივზე, ინტერპრეტირებას დღესდღეობით 19 ყველაზე საინტერესო მხატვარი ცდილობდა თავის 18 ნამუშევარში. გამოფენამ სწორედ მათი საშუალებით მოუყარა თავი "არაჩვეულებრივი შესაძლებლობების გლობალურ მარშრუტს", გამოიყენა რა თანამედროვე ხელოვნების ყველა გამომსახველობითი საშულება ბოდი-არტის, ფოტოგრაფიის, ვიდეოს, ფერწერის, ქანდაკების, რედი-მეიდ ობიექტების ჩათვლით.




*იდეა N39 იყიდე რაიმე ძვირი, წაიღე სახლში, უკან დააბრუნე.*

19 მხატვარი თავიანთ ნამუშევრებში Decollete-ის მოდელს სხვადასხვა სახის ინტერპრეტაციების საშულებით პოსტმოდერნისტულ პერსონაჟებად გარდაქმნის და გვთავაზობს Game-ს, როგორც თამაშ-ლაბირინთს, რომელშიც მე-20 საუკუნის ყველა მხატვრული მიმდინარეობა ერთმანეთს ცვლის - მხატვრული ავანგარდით დაწყებული ოპ, პოპ და გრაფიტით დამთავრებული.

"ყველაფერი შეიძლება მითი გახდეს", წერდა როლან ბარტი. ამ შემთხვევაში ფეხსაცმლის მოდელი, რომელიც თავისთავად მითი იყო და მოდის სფეროში (თუნდაც იმიტომ რომ, "ამერიკულ ოცნებას" - მერლინ მონროს უკავშირდებოდა) უკვე მითი ხდება მთელი მე-20 საუკუნის კულტურულ სივრცეში.

საერთოდ, მე-20 საუკუნის ყოველი ათწლეული, მოდის თვალსაზრისით, ცალკეულ ეპოქებს ქმნიდა. საუკუნის ბოლოს მოდამ, მართალია, ვერაფერი ახალი ვეღარ შექმნა, მაგრამ მთელი საუკუნის დაგროვილი მასალის გაანალიზება, ციტირება, ირონიული გათამაშება დაიწყო. ამ ხერხს მიმართეს, როგორც მოდის დიდმა სახლებმა (მაგ. "დიორის" სახლისათვის ჯონ გალიანოს მიერ ბოლო წლებში შექმნილი რევოლუციური კოლექციები შეიძლება პოსტმოდერნისტულ ფეიერვერკებადაც აღვიქვათ; როზელა ჯარდინის Moschino-სთვის პაროდიამდე, უფრო სწორად პასტიშამდე დაყვანილი მოდელები; "პრადას" ციტირებები ნეორეალისტური კინოდან), ასევე "ინტელექტუალური" მოდის ე.წ. აუტსაიდერმა ვარსკვლავებმა, (როგორებიც არიან ბელგიელები: Dries van Noten, Ann Demiulmister, Viqtor and Rolf, ასევე ამერიკელი ოთხეული As Four და სხვა). აქ, ალბათ, მოდის პარადოქსულობა გვახსენებს თავს, როცა ნახსენები მარგინალებიც ვარსკვლავები ხდებიან, მათი უდავოდ ექსპერიმენტული კოლექციები კი - კომერციული.

მოდაში პოსტმოდერნისტული თამაშების და საერთოდ, პოსტმოდერნიზმის, როგორც წამყვანი ტენდენციების გაბატონებამ Vintage-ის ფენომენი დაბადა. ვინტაჟი, თავისი ირონიული ციტირებებით, ფორმითა და გადათამაშებით, პოსტმოდერნიზმია მოდაში. სტილს - Like a Vintage ბევრი დიზაინერი მიმართავს, მაგ Imitation of Christ მხოლოდ ვინტაჟის კოლექციებს ქმნის. მოკლედ, ციტირებები მოდის გენიოსების ქმნილებებიდან, მე-20 საუკუნის სხვადასხვა ათწლეულების ტენდენციების შერწყმა და ეკლექტური აღრევა, დღეს, უბრალოდ, მოდურის განსაზღვრებას იძენს.

პოსტმოდერნიზმის ადრეულ ნიშნებზე მოდის სფეროში, 80-იანი წლებიდან უნდა დავიწყოთ საუბარი. სწორედ ამ პერიოდს ეძღვნება გაზაფხულზე ფლორენციაში მოწყობილი გახმაურებული გამოფენა "მოდა და ანდერგრაუნდი 80-იან წლებში".

80-იანი წლების ჰედონიზმისა და ნეობაროკოს ფონზე ძირითადი მიმართულება და ანდერგრაუნდი ერთმანეთს შეერწყა და პირველი პოსტმოდერნისტული ლანდშაფტებიც სწორედ მაშინ გამოჩნდა სუპერსხეულის, ტრანსსხეულის და პოსტსხეულის სახით. ადამიანი თავის სხეულს აღიქვამს სამყაროს ცენტრად და განსაზღვრავს მას, როგორც სუპერსხეულს, რომელსაც სრულყოფილებისათვის აერობიკით და ცეკვით ამუშავებს (სწორედ ამ პერიოდში გამოდის ალან პარკერის "დიდება", "კორდებალეტი" და სხვა); ტანსაცმლის მოდელირებას და კონსტრუირებას სწორედ ასეთი სხეულისთვის ახდენს. ქალები თავიანთი წარმატებული კარიერით ("საქმიანი ქალი", ჯერ კიდევ "ნატურალური" მელანი გრიფიტით) ავტორიტეტულობისა და სიძლიერის დამტკიცებას ცდილობენ. ქალის სუპერსხეული ძლევამოსილი, აგრესიული და ამავე დროს სექსუალური სხეული (ჰელმუტ ნიუტონის ფოტოებზე) არის, რაც ტანსაცმელში დიდი, ხელოვნური მხრების, ე.წ. "ლიპების" საშუალებით გამოიხატება, რომლითაც ქალი მამაკაცს უტოლდება. მამაკაცი კი იმისთვის, რომ იყოს მოდური, ხდება გაცილებით ნაზი და მგრძნობიარე, ამავე დროს, გამბედავი თავისი სექსუალური ორიენტაციის ღიად წარდგენისათვის. კაცის სუპერსხეული, ეს არის სკულპტურული სხეული, რომელსაც არ ეშინია იყოს გეიკერპი (მაგ. პიტერ პოტერის "ახალგაზრდა ღმერთები").

ამ პერიოდში ადამიანს უჩნდება გამძაფრებული სურვილი, იყოს განსხვავებული, უნიკალური, არაორდინარული. მნიშვნელოვანია, პიროვნება ხაზგასმით შემოქმედებითი, ინდივიდუალური, ვიდრე უბრალოდ ლამაზი სუბიექტი. ასეთ სხეულს - ტრანსსხეულს, არ ეშინია მოდის დახმარებით გარდაქმნების, ექსპერიმენტების.

და აი, დგება პოსტ-ერა, როდესაც სხვადასხვა სტილი ერწყმის ერთმანეთს და ტანსაცმელიც სხეულთან ერთად ებმება თამაშში. თანამედროვე ტანსაცმელი არის მოდის, ტრადიციის, ისტორიის აღრევის შედეგი. პოსტსხეული აღარ ეკუთვნის ერთ რეალობას, ეს უკანასკნელი ხდება ვირტუალური. მოდა და ახალი ეპოქა ადამიანს და მის სხეულს სთავაზობს ცხოვრების ახალ სტილს, საშუალებას აძლევს იცხოვროს ოცნებებით, გაარღვიოს რეალობები, გამოიყენოს წარსულის ფრაგმენტები და მოახდინოს წარსულის ტრანსფორმაცია ახალ ესთეტიკურ ნორმებად. ასე რომ, ახალი ისტორია წარსულთან "ალიანსში" იწერება.

*ნინია კაკაბაძის სვეტი*

# და ჰრქუა მან - სულგანტევებულ არს იგი



აი, უკვე რამდენი ხანია, ქართული საზოგადოების ნაწილი რაღაცისთვის იბრძვის. ეს რაღაც, ამბობენ, რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების დაცვას შეეხება. მე კი ეჭვი გამიჩნდა, რომ არა ძველქართული, არამედ თანამედროვე ენაც აღარ გვესმის ერთმანეთის (ქართველებს ვგულისხმობ). სხვაგვარად, როგორ უნდა გავიგო, უკანასკნელ პერიოდში მასიური დისკუსიები მოსწავლეების მომავალი სწავლა-განათლების შესახებ, რომელთა შორის, ბუნებრივია, ქართველი მართლმადიდებელი პატრიოტებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი - ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებია. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნაწარმოებები ყველასათვის ფასეულია და ჩვენ ყველას, ყველა ქართველს გვიხარია, რომ ჩვენამდე მოაღწია მრავალი საუკუნის წინ შექმნილმა ტექსტებმა, რომლებიც ქართველი წმინდანების ცხოვრებას აღწერს. ეს შესავალი იმისათვის, რომ ცილი არავინ დამწამოს, თითქოს მე რამე მაქვს ამ ნაწარმოებების საწინააღმდეგო. ახლა კი რაც შეეხება საქმეს.

მთავარი პრობლემა და ყველაზე დიდი შეურაცხყოფა პატრიოტიზმის სადარაჯოზე მყოფმა საზოგადოებამ მაშინ მიიღო, როდესაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს მკვდარი ტექსტი უწოდა. მოდით, გავარკვიოთ, რას ნიშნავს მკვდარი და ამასთან ერთად შევეცადოთ სიტყვის არა პირდაპირი, არამედ ცოტა ალეგორიული გაგება. პირადად მე, ბატონ კახა ლომაიასთან არ მისაუბრია, მაგრამ მისი ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლა ასე გავიგე, რომ ბატონი ლომაია არა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შინაარსს, არამედ თავად ტექსტს, ენას გულისხმობდა. და თუკი დღეს ჩვენ აღარ ვსაუბრობთ და აღარ ვწერთ იმ ენით, რომლითაც ეს ნაწარმოებებია შექმნილი და ეს ენა არ არის თანამედროვე, მაშინ სკოლის მოწაფეს, ბუნებრივია, გაუჭირდება მისი გაგება. ამიტომ, რატომ გახდა პრობლემა - რომ მათ, ანუ ბავშვებს ეს ტექსტები გამარტივებული ენით მივაწოდოთ, იმისათვის, რომ კიდევ უფრო კარგად და ნათლად გაიგონ მისი შინაარსი, ან უფრო მაღალ კლასებში გადავიტანოთ, სადაც მოწაფე მისი მომავალი პროფესიიდან გამომდინარე (იქნება ეს ჰუმანიტარული თუ საბუნებისმეტყველო) გაეცნობა ამ ნაწარმოების პირველწყაროს - ძნელი გასაგებია. მე გულწრფელად არ მესმის, რა არის ამაში ცუდი. ეს ტექსტი, ანუ ენა, ნამდვილად ძველია და ბავშვებისათვის მისი გათანამედროვება და მაღალ კლასებში გადატანაც ნამდვილად მიზანშეწონილია. არავინ აპირებს პირველწყაროს განადგურებას, ის იარსებებს და დაინტერესებულ მოწაფეებს თუ სტუდენტებს მასთან გაცნობას არავინ აუკრძალავს; მომავალი ჰუმანიტარები მე-10 მე-11 კლასებში ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების ორიგინალურ ვერსიასაც ისწავლიან. მოკლედ, მიუხედავად ამ განმარტებებისა, ვფიქრობ, რომ პრობლემა ამ ნაწარმოებების არა ერთი თუ ორი კლასით გადაადგილებაშია, არამედ იმაში, რომ ქართველი მართლმადიდებელ-პატრიოტი საზოგადოება სწორედ სიტყვა მკვდარმა (და არა მხოლოდ მკვდარმა) გააღიზიანა და შეურაცხყოფილი დატოვა. ამას ლომაიას სიტყვები მოჰყვა, სადაც მან აღნიშნა, რომ "ისტორიაში ბევრი ნაგავია". არ ვიცი, გასაგებია - ქართველ ადამიანს უჭირს იმის გაცნობიერება, რომ როგორც ყველა ერის თუ ქვეყნის ისტორიაში, ასევე საქართველოს ისტორიაშიც არის ბევრი ნაგავი. აქაც პირდაპირ იქნა ლომაიას სიტყვები გაგებული. როგორ, გრიგოლ ხანძთელია ნაგავი? და იქვე ასეთი დასკვნა გამოიტანეს: ლომაია მკრეხელობს, შეურაცხყოფს საქართველოს წმინდანთა დასს, ქართულ ეკლესიას, ჩვენს წარსულსა და აწმყოს, ერთიანად - ჩვენს ქვეყანას. რა დამღლელია ეს ყალბი "პატრიოტული" პათეტიკა. ერთი ადამიანი ვერც სარწმუნოებას წაგართმევთ და ვერც ისტორიას. და იმ სიბრიყვეების გამეორება და მასზე კომენტარის გაკეთებაც კი, ვფიქრობ, ზედმეტია. სასაცილოა ის, რომ ლომაია მასონია, სოროსის აგენტი და სხვა მრავალი ბრიყვული გამონათქვამი (სხვა სიტყვას ეს შეფასებები არ იმსახურებს). მინისტრის მიერ ოდნავ მკაცრად და მკვახედ წარმოთქმული სიტყვები ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ უფრო მისი ხასიათის თავისებურებაზე მეტყველებს, ვიდრე მასონობასა თუ აგენტობაზე. ლომაია დიპლომატიურ ურთიერთობებს, პირდაპირობას არჩევს. მისი პირდაპირობა და პროვოკაციული ტონი, პირადად ჩემთვის, უფრო მისაღებია, თუმცა, შესაძლებელია ეს არც თუ ისე მიზანშეწონილი იყოს დღეს. მოკლედ, ასეა თუ ისე, საზოგადოება აღშფოთდა. ქართველმა ხელი ხმალს იკრა, "ტრიბუნა" ხელში ჩაიგდო და საქართველოს ისტორიისა და სარწმუნოების მტრისგან დაცვას შეუდგა. ეს ხომ ქართველის საყვარელი საქმიანობაა - როგორ, წმინდანების შეურაცხყოფა? ისტორიის უგულებელყოფა? სარწმუნოების შებღალვა? წმინდანების თუ ისტორიის ადვოკატად ქცევას ყველა სულმოუთქმელად ელის. თუმცა, მაშინ, როდესაც სარწმუნოება მართლა ილახება, მათგან არავინ იღებს ხმას. მოკლედ, უნდოდა თუ არა, მინისტრმა ახალი და ძველი ადვოკატები გამოამზეურა. და როდის დადგება დრო, როდესაც ეს ყალბი პათეტიკა ქართული საზოგადოებისათვის მიუღებელი იქნება, არავინ იცის.

ახლა ისევ ჰაგიოგრაფია და ასევე ისტორია. როგორც სკოლის მოწაფის მშობელმა, მინდა ჩემი დამოკიდებულება დავაფიქსირო. ის, რომ ამა თუ იმ საგნის სიყვარული პედაგოგის კვალიფიციურ განათლებაზეა დამოკიდებული, ვფიქრობ, ეჭვს არ იწვევს. და რა მდგომარეობაა დღევანდელ სკოლებში პედაგოგების მხრივ - ესეც ნათელია. აი, ვინ წარმოადგენს ისტორიის პირდაპირ გადმონაშთს, ოღონდ, კომუნისტური ეპოქიდან და არა გასული საუკუნეებიდან. მაგრამ ჩავთვალოთ, რომ პედაგოგი საინტერესოდ აწვდის მოწაფეს მის საგანს. პირველი - უკანასკნელ კლასებში უნდა იყოს არჩევანის გაკეთების საშუალება; თუკი აუცილებელია გავიგოთ წმინდა შუშანიკის თუ გრიგოლ ხანძთელის ისტორია, მაშინ მივაწოდოთ მათ ეს გამარტივებული, მისთვის გასაგები ენით. და თუკი ეს კვალიფიციური პედაგოგი მას იმდენად დააინტერესებს ამ ნაწარმოებებით, მის პირველწყაროსთან გაცნობას ვერავინ აუკრძალავს და მგონი, არც არავინ აპირებს. მეორე - გადავიტანოთ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლა მაღალ კლასებში და ისინი შეისწავლონ მათ, ვინც ამ ნაწარმოების პირველქმნილ სახეს მის მომავალ პროფესიონალურ ცხოვრებაში გამოიყენებს.

მგონი, არაჩვეულებრივი მაგალითია, ე.წ. საბავშვო ბიბლია, სადაც ბავშვი სწორედ იმ დონეზე იღებს მას, რა დონეზეც მის გონებრივ შესაძლებლობებშია. ზრდასრულ ასაკამდე ადამიანი ხომ ვერ გაიგებს ბიბლიის არსს, თუკი მას პირველქმნილი ფორმით წაიკითხავს. და რატომ უშლის ხელს ბავშვობაში გამარტივებული ბიბლიის წაკითხვა, ზრდასრულობაში მის აღქმას?! და თუკი არ უშლის, მაშინ რა პრობლემაა, რომ მოწაფე სკოლაში გამარტივებული ენით წაიკითხავს შუშანიკის წამების ისტორიას და გაიგებს იმას, როგორ "საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი ულმრთოთა".

დაბოლოს, რაც უფრო მნიშვნელოვანია - ვიდრე ჰაგიოგრაფიული ტექსტების განხილვას დავიწყებდეთ, ჯერ ერთმანეთის გაგება ვისწავლოთ და შემდეგ ჩვენი სარწმუნოება და ისტორია დავიცვათ.

*ახალი უცხოური ალბომების მიმოხილვა*

# "ბისთი ბოიზი" რქებით ხვნას განაგრძობს

ნიკო ნერგაძე

*შენიშვნა: "24 საათი" ალბომს აფასებს 5 ვარსკვლავიანი სისტემით.*

Beastie Boys - To The 5 Burroughs (2004 წელი) ****

"ბისთი ბოიზმა" პირველი ალბომი, Licensed to Ill 1986 წელს გამოუშვა. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ სამი თეთრკანიანი, ებრაელი რეპერი, რომლებიც დროის მხიარულად ტარებაზე მღეროდნენ და საფუძვლად "ლედ ზეპელინის" რიფებს იღებდნენ, კიდევ ერთ კარგ ალბომს "გაქაჩავდა". სამ წელიწადში მათი მეორე ალბომი, Paul’s Boutique არა მარტო რეპის, არამედ ზოგადად ამერიკული მუსიკის კლასიკად იქცა. დღეს მხეცუნა ბიჭები 40-ს უკაკუნებენ, მაგრამ საქმეს არ ეშვებიან და ძალიან კარგსაც შვრებიან. მათი ბოლო ნამუშევარი, To The 5 Burroughs შესანიშნავი დაბრუნებაა სათავეებისაკენ.

"დაბრძენებული" ჯგუფი ძველებურად ვეღარ დახტის. ადრე ისინი დროსტარებისთვის იბრძოდნენ, დღეს კი მსოფლიო მშვიდობისათვის იბრძვიან. ნერვებისმომშლელია, როდესაც როკ ან რეპ ვარსკვლავი პოლიტიკოსობას იწყებს და მუსიკის წერის მაგივრად, ფანების დამოძღვრას და რომელიმე კეთილი საქმისათვის ხელმოწერების შეგროვებას იწყებს. თუმცა, "ბისთი ბოიზი" ბოლომდე არაა პოლიტიკაში გადავარდნილი, ალბომში შესული 15 სიმღერიდან მხოლოდ ორია პოლიტიკური.



*1986 წელს ვერავინ იფიქრებდა, რომ სამი თეთრკანიანი, ებრაელი რეპერი კიდევ ერთ კარგ ალბომს "გაქაჩავდა".*

ალბომის მთავარი გმირი ჯგუფის მშობლიური ქალაქი, ნიუ იორკია. ალბომის ყდაზეც ნიუ იორკია გამოსახული, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპი ცათამბჯენების დანგრევამდე. თუმცა, "ბისთი ბოიზისთვის" 11 სექტემბერსაც ბევრი არაფერი შეუცვლია: "ორი კოშკი დაინგრა, მაგრამ შენ კვლავ მყარად დგახარ", აცხადებენ ისინი დისკის ცენტრალურ სიმღერაში "ღია წერილი ნიუ იორკს". "ღია წერილი" ჯგუფის ათწლიან შემოქმედებაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

შედარებით მსუბუქი, მაგრამ არანაკლებ კარგია დისკის პირველი სიმღერა, Check It Out. საერთოდ, ალბომის მოსმენისას არაფრით არ გრჩება იმის შთაბეჭდილება, რომ ჯგუფის წევრები მალე 40-ის გახდებიან. ასაკში შესვლის ერთადერთი ნიშანი ადამ იაუჩის, იგივე ემ-სიეის ხმაა, რომელიც 1998 წელს გამოშვებული Hello Nasty-ს შემდეგ საგრძნობლად ჩაიხლიჩა. თუმცა, ეს მის რეპს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

ალბომის დანარჩენი სიმღერები ამ ორი სიმღერასავით დასამახსოვრებელი არ არის, მაგრამ მაინც კარგია. 1986 წლის შემდეგ ეს ბისთი ბოიზის პირველი ალბომია, რომელიც ბოლომდე შეკრული, მთლიანი პროდუქტია და უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი სიმღერების ჯამი.

ჯგუფის მოსმენისას მთავარი პრობლემა ისაა, რომ რა გინდა კარგად იცოდე ინგლისური, მათი ტექსტის გაგება რთულია. ბისთი ბოიზი რეპავს 80-იანი წლების ამერიკულ ტელეგადაცემებზე, ნიუ იორკის ცნობილ და ნაკლებად ცნობილ მაღაზიებზე, ვიღაც ამერიკელებზე, რომელიც 70-იან წლებში იყვნენ ცნობილნი და ახლა არც არავის ახსოვს. ეს, რა თქმა უნდა, ჯგუფის კარგად აღქმას ხელს უშლის, მაგრამ არც თუ ისე დიდად.

შონ ლენონმა თავის დროზე "ბისთი ბოიზს" ამერიკული "ბითლზი" უწოდა. ჯონ ლენონისა და იოკოს შვილი დიდი მუსიკალური ავტორიტეტი არ არის, "ბისთი ბოიზსაც" "ბითლზამდე" კიდევ ბევრი "ები როუდი" უკლია, მაგრამ ერთი რამ კი მართალია: ნიუ იორკული სამეული უბრალო რეპერები არ არიან. მათმა დისკებმა დიდი გავლენა მოახდინა როგორც რეპის, ისე თანამედროვე როკის განვითარებაზე. მართალია, დღეს მხეცუნა ბიჭები მუსიკის ავანგარდს აღარ წარმოადგენენ, მაგრამ ეს მათ შემოქმედებას ვერაფერს აკლებს.

**P.S.** ავტორთან დაკავშირება შეიძლება მისამართზე: nergadze@hotmail.com. გვირჩიეთ, თუ რა განვიხილოთ შემდეგ ნომრებში; გავაგრძელოთ უცხოური ალბომის რეცენზიების წერა, თუ მარტო ქართულებს "მივაწვეთ"?

# არიენ რობენი: "ჩეხეთი პორტუგალიაზე ძლიერია"



რობენს ჩეხეთის ჩემპიონობის სჯერა.

ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველის არიენ რობენის თქმით, ევროპის ჩემპიონი ჩეხეთის ნაკრები უნდა გახდეს.

პორტუგალიის ნაკრებთან ნახევარფინალური შეხვედრის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრებმა პირველმა დატოვა სტადიონ "ალვალადეს" გასახდელი. ყველა, როგორც ერთი, თეთრ მაისურებსა და შავ შორტებში გამოწყობილნი, ავტობუსისკენ მიარბენინებდნენ ჩემოდნებს, რომლებიც მათთვის ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოყო. ყოველ ასეთ ჩემოდანს მფლობელის ნომერი და გვარი აწერია. ჩანთა მე-19 ნომრით ეკუთვნის არიენ რობენს, რომელიც მიმდინარე ჩემპიონატის ნამდვილი აღმოჩენა გახდა.

**- შედეგმა ძალიან გაგაწბილათ?**

- გაწბილებული ვარ და არა მხოლოდ მე. ვფიქრობ, ამ მარცხის გადატანა ყველას გაგვიჭირდება. ერთი მხრივ, ჩვენ ბევრ სხვა გუნდზე წინ წავედით, მაგრამ, მეორე მხრივ, ფინალამდე ვერ მივაღწიეთ.

**- ფიქრობთ, რომ თქვენს გუნდს ეს შეეძლო?**

- რატომაც არა! შესაძლოა, პორტუგალიამ ეს გამარჯვება დაიმსახურა, მაგრამ ჩვენზე ბევრად უკეთესი ნამდვილად არ იყო.

**- ბოლო დროს ჰოლანდია პორტუგალიასთან ხშირად მარცხდება. რით ახსნით ამას?**

- არა მგონია, რომ რაღაც ტენდენციაზე საუბარი მიზანშეწონილი იყოს. ყოველ მარცხს თავისი მიზეზი აქვს.

**- მატჩის წინ ბევრი შიშობდა, რომ მსაჯი ტენდენციური იქნებოდა პორტუგალიის სასარგებლოდ. საინტერესოა თქვენი აზრი ფრისკის შესახებ.**

- არა მგონია, რომ მსაჯი პორტუგალიას ეხმარებოდა ან უნდოდა, ჩვენზე შური ეძია იმისთვის, რომ მეოთხედფინალური ეტაპიდან მისი შვედეთი გამოვთიშეთ გათამაშებას. მატჩის დროს ბევრჯერ მქონდა შანსი, მსაჯისთვის თვალებში შემეხედა და ვერ შევნიშნე, რომ მას ჩვენი გუნდის დაღუპვა ჰქონდა განზრახული. რაც შეეხება საკამათო მომენტებს, უმჯობესი იქნება, თუ ვიდეოჩანაწერს შემდგომში ვნახავთ.

**- ბევრი ფიქრობს, რომ პორტუგალია ფინალში ჩეხეთს შეხვდება. თქვენ ორივე გუნდის წინააღმდეგ გითამაშიათ. თქვენი აზრით, რომელი გუნდი უფრო ძლიერია?**

- ჩეხეთი. მას ყველა რგოლში საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავს. როგორც მომეჩვენა, ფიზიკურადაც უფრო კარგად არიან მომზადებული, ვიდრე პორტუგალია. თუ ჩეხეთი საბერძნეთს დაამარცხებს, ვფიქრობ, მას ფინალის მოსაგებად არცთუ ისე ცუდი შანსი ექნება.

**- ჰოლანდიის ნაკრები ფიზიკურად სუსტად რატომ გამოიყურებოდა? დიკ ადვოკაატისა და მისი შტაბის უხეირო მუშაობასთან ხომ არ გვაქვს საქმე?**

- არა. პირადად მე ადვოკაატთან მუშაობა ბევრს მაძლევს და ნაკრებშიც სწორედ მან მიმიწვია. ის ძლიერი სპეციალისტია.

**- როგორია თქვენი შემდგომი გეგმები?**

- ჩემპიონატის შემდეგ დავისვენებ, როგორც საჭიროა. ხანგრძლივი დასვენება არ გამომივა, მაგრამ ძალების აღსადგენად ორი კვირა, ალბათ, საკმარისი იქნება.

## TV-სპორტი

### პარასკევი. 2 ივლისი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ჩარლზ ბარკლი
07:00 NBA TV. სეზონი 2003-2004. "PHILADELPHIA 76 ERS" -"DALLAS MAVERICKS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. "ონსე კალდასი" (კოლუმბია) - "ბოკა ხუნიორსი". (არგენტინა). საპასუხო მატჩი
15:00 განვლილი სეზონის გახსენება. პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" - "ბოავიშტა"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 "FUTBOL MUNDIAL"
16:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
17:00 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" - "ბაიერი"
18:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. "ონსე კალდასი" (კოლუმბია) - "ბოკა ხუნიორსი". (არგენტინა). საპასუხო მატჩი
21:20 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "ლიდსი" - "რეალი"
23:05 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "მილანი"
00:50 00:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ჰაკიმ ოლაჯუონი
03:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. "BOSTON CELTICS" - "ORLANDO MAGIC"

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:00, 15:40, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ქალები. ნახევარფინალი
13:35 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
14:05 პროგრამა. "რუსეთის საუკეთესო ჰოკეის გუნდები". გადაცემა მეხუთე
14:40 ტაილანდური კრივი
15:55 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ვაჟები. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
22:00 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში
22:30 სპორტული ცეკვები. პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
00:00 ახალი ამბები
00:15 "დიდი თავგადასავალი ბორნეოზე". ნაწილი მეოთხე

**EUROSPORT**

09:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
09:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
10:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
11:00 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი თურქეთში
13:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები
14:15 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
14:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
15:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები
17:00 კრივი
19:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
19:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
22:15 ფეხბურთის სიახლენი
22:30 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
00:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი. შეჯიბრება უნგრეთში
01:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:00 ახალი ამბები
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი თურქეთში
03:15 ახალი ამბები

EURO-2004

# ეს ჭადრაკარი ოტტო!!!

## საბერძნეთი 1:0 ჩეხეთი

გოლები: 0:1 დელასი (105`) - ვერცხლის გოლი
გაფრთხილება: სეიტარიდისი, ხარისტეასი, კარაგუნისი, გალასეკი, შმიცერი, ბაროში
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)




| საბერძნეთი | | ჩეხეთი |
|---|---|---|
| 5 | დარტყმა კარში | 5 |
| 9 | დარტყმა | 16 |
| 15 | ჯარიმა | 24 |
| 4 | კუთხური | 8 |
| 49% | ბურთის ფლობა | 51% |

შეცვლები: ბასინასი - გიანაკოპულოსი, ვრიზასი - ციარტასი

შეცვლები: ნედვედი - შმიცერი



ფეხბურთი

# ბაზელის მერე იანგ ბოიზი

## "დინამო" მეორე შვეიცარიული გამარჯვებისთვის ემზადება

მიხეილ აბაიშვილი




გერმანიის ქალაქ რუიტში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი თბილისის "დინამო" "ბალშტალის თასის" ოთხთა ტურნირში ჩაება. ეს ტურნირი შვეიცარიის ქალაქ ბაზელში იმართება და საკმაოდ პრესტიჟულია. მასში მასპინძელი "ბაზელის" გარდა, შვეიცარიის კიდევ ერთი ცნობილი კლუბი, "იანგ ბოიზი" და რუმინეთის მრავალგზის ჩემპიონი, ბუქარესტის "დინამო" მონაწილეობენ. წილისყრის შედეგად თბილისის "დინამოს" პირველი მეტოქე იყო "ბაზელი".

შვეიცარიული ფეხბურთი რომ საგრძნობ პროგრესს განიცდის, სადავო არ არის. ამ ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ჩემპიონატში, ხოლო საკლუბო გუნდები ევროპულ ასპარეზზე ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ. ამ თვალსაზრისით, "ბაზელი" თანამედროვე შვეიცარიული ფეხბურთის სავიზიტო ბარათადაც შეიძლება მოინათლოს. ამ გუნდმა ორი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის ორი ჯგუფური ეტაპი გადალახა და მხოლოდ მეოთხედფინალიდან გამოეთიშა გათამაშებას. გასულ სეზონში კი "ბაზელი" ისე გახდა ქვეყნის ჩემპიონი, რომ, ლონდონის "არსენალის" მსგავსად, ეროვნულ ჩემპიონატში ერთი მატჩიც არ წაუგია და უახლოეს მდევრებს ქულათა სოლიდური მარაგით გაუსწრო.

ცხადია, "დინამოსთან" დაპირისპირებაში "ბაზელი" აშკარა ფავორიტად ითვლებოდა, რასაც საკუთარი კედლების ფაქტორიც ემატებოდა. თუმცა, გია გეგუჩაძის გუნდმა, შეიძლება ითქვას, თავს ზემოთ ახტომა შეძლო - მეტოქე დაამარცხა. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ, 66-ე წუთზე, კვირკველიამ ანგარიში გახსნა. მართალია, ერთ წუთში პეტრიჩმა საპასუხო გოლი გაიტანა, მაგრამ 70-ე წუთზე ისევ დინამოელებმა იძალეს და ახალაიამ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 2:1 "დინამოს" სასარგებლოდ.

"დინამომ" ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: ზოიძე, ჭიჭვეიშვილი (სალუქვაძე, 68`), შაშიაშვილი, სილაგაძე, კაშია (გონჩაროვი, 58`), ალადაშვილი (კანდელაკი, 68`), კვირკველია, კანკავა, ახალაია, მელქაძე (რომერო, 88`), იაშვილი, (კაკალაძე, 58`).

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მასპინძლებმა შესუსტებული შემადგენლობით იასპარეზეს - მატჩში მონაწილეობა არ მიუღია "ბაზელის" იმ ხუთ ფეხბურთელს, რომლებიც ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, კობი კუნს პორტუგალიაში ჰყავდა წაყვანილი. თუმცა, ამის გათვალისწინებითაც, "ბაზელთან" მისსავე მოედანზე გამარჯვება "დინამოსა" და მისი ახალი მთავარი მწვრთნელისთვის დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

"დინამო" მეორე მატჩს 3 ივლისს გამართავს. მისი მეტოქე იქნება "იანგ ბოიზი", რომელიც პირველ შეხვედრაში ბუქარესტის "დინამოსთან" 1:2 დამარცხდა.

ამ მატჩის შემდეგ "დინამო" ისევ რუიტში დაბრუნდა და გერმანიაში განაგრძო მზადება. როგორც კლუბის პრეს-ატაშემ, ლევან სალუქვაძემ გვითხრა, "ბაზელთან" მატჩში მსუბუქად დაშავდნენ კანდელაკი და სილაგაძე, რომლებიც ახლა არ ვარჯიშობენ.

გუშინ "დინამომ" კულტურული პროგრამისთვისაც მოიცალა - მთელი გუნდი შტუტგარტში გაემგზავრა, სადაც კონცერნ "მერსედეს ბენცსა" და "მერსედესის" მარკის ავტომობილების მუზეუმს ესტუმრა, ხოლო შემდეგ შტუტგარტის ისტორიულ ცენტრს ეწვია.

4 ივლისს ბელორუსში გაემგზავრება გუნდის უდროსი გია იმნაძე, რომელიც მინსკში "დინამოსთვის" საორგანიზაციო საკითხებს მოაგვარებს. უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე "დინამოს" მეტოქე იქნება ბელორუსის "ბატე". ამ გუნდების პირველ მატჩს მინსკი 15 ივლისს უმასპინძლებს. 10 ივლისს ბელორუსის ჩემპიონატის მატჩი უნდა გამართულიყო "ბატესა" და მინსკის "დინამოს" შორის. თბილისის" დინამოს" სამწვრთნელო შტაბი ამ თამაშზე დამკვირვებლის მივლინებას გეგმავდა, მაგრამ იმის გამო, რომ მინსკის "დინამო" ინტერტოტოს ტურნირში მონაწილეობს და 11 ივლისს უწევს თამაში, "ბატესთან" კალენდარული მატჩი გადაიდო. ამიტომ "დინამოს" მწვრთნელებს მხოლოდ ვიდეოჩანაწერით ექნებათ "ბატეს" თამაშზე დაკვირვების საშუალება.

*ჩოგბურთი*

# ლამაზო...



*შარაპოვა ფინალშია.*

დევენპორტი - შარაპოვა 6:2, 6:7, 1:6
ს. უილიამსი - მორესმო 6:7, 7:5, 6:4

სანდრო ნავერიანი

მას შემდეგ, რაც "უიმბლდონის" წლევანდელი გათამაშება დაიწყო, პირველად მომიხდა ხალხთან ერთად მატჩის ყურება. შეხვედრას რედაქციაში ვადევნებდი თვალყურს. შარაპოვა და დევენპორტი თამაშობდნენ. ტელევიზორთან შეკრებილი აუდიტორია, რა თქმა უნდა, შარაპოვას ქომაგობდა. რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ მაყურებლები ძირითადად მამაკაცები ვიყავით. ქალებიც იყვნენ. ისინიც შარაპოვას ქომაგობდნენ. შიგადაშიგ შეაპარებდნენ კიდეც: ძალიან ლამაზი გოგოაო. შარაპოვა, მართლაც, ძალიან ლამაზი გოგო და ძალიან კარგი ჩოგბურთელია.

რაც შეეხება მატჩს: პირველი სეტი დევენპორტმა მოიგო - 6:2. მთელი პირველი სეტის განმავლობაში ამერიკელი ფლობდა ინიციატივას და, ერთი შეხედვით, ისე ჩანდა, თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა მატჩის თავის სასარგებლოდ დამთავრება, მაგრამ... შარაპოვას გასაშინაურებლად მხოლოდ ერთი სეტი დასჭირდა, მეორე სეტში კი ისეთი თამაში შესთავაზა მეტოქეს, რომ ამერიკელმა ვერაფერი დაუპირისპირა შარაპოვას მიერ არჩეულ სათამაშო ტაქტიკას. მეორე სეტი რუსის გამარჯვებით დასრულდა. მან ტაიბრეიკზე 7:5 დაამარცხა ამერიკელი, რის შემდეგაც მისმა მწვრთნელმა ხელები ზეცას აღაპყრო და, ალბათ, ღმერთს მადლობა შესწირა. ტრიბუნებიდან კი ვიღაცამ შეჰყვირა: ლამაზო!

მესამე სეტი დევენპორტის გამარჯვებით დაიწყო, თუმცა, შარაპოვამ მეტოქის მოწოდებაზე გეიმი აიღო. ამის შემდეგ თავისი მოწოდება ასი პროცენტით გამოიყენა და ანგარიში გეიმებში 2:0 გახადა თავის სასარგებლოდ. რუსი ჭკვიანურად თამაშობდა, რასაც ვერ ვიტყვით დევენპორტზე. ამერიკელმა ძალისმიერი ჩოგბურთი შესთავაზა მეტოქეს, რაც მისთვის საბედისწეროდ დასრულდა. შარაპოვამ მესამე სეტი 6:1 მოიგო და ფინალშიც სწორად ის ითამაშებს.

გუშინდელ წერილში ვამბობდი, ფსონს დევენპორტზე ჩამოვდივარ-მეთქი. ზოგიერთმა, ალბათ, იფიქრა, რომ ტოტალიზატორში ჩავედი ფსონს. არა, უბრალოდ, ნამდვილად არ მეგონა, თუ შარაპოვა დევენპორტის დამარცხებას შეძლებდა. ისე, ბევრჯერ მითქვამს, ვინც ჩემს წერილებს კითხულობს და ტოტალიზატორში თამაშიც უყვარს, ჩემს პროგნოზებს ყურადღება მიაქციოს, უფრო სწორად, ფსონს საწინააღმდეგოდ ჩავიდეს - აუცილებლად მოიგებს.

ისევ რუს ჩოგბურთელს მინდა დავუბრუნდე და ვთქვა, რომ 17 წლის შარაპოვა ძალიან კარგი ჩოგბურთელია. მას ხშირად ანა კურნიკოვას ადარებენ, მაგრამ, ჩემი აზრით, მათ შორის არავითარი მსგავსება არ არსებობს.

შარაპოვას დახვეწილი, ლამაზი, არისტოკრატული გამომეტყველება აქვს, კურნიკოვას კი... "კასინკა" გაუკეთე, თოხი დააჭერინე ხელში და ნამდვილი რუსი "ბარიშნა" იქნება.

შარაპოვა თავისი პროფესიით (ჩოგბურთის თამაშით) უფროა ცნობილი, ვიდრე ლამაზი სახითა და წერწეტა ტანით, კურნიკოვამ კი ერთი ლეილა მესხის ტურნირზე გაიბრწყინა და მერე ენრიკე იგლესიასთან ერთად დაიწყო სიმღერა.

მოკლედ, რა საჭიროა ბევრი ლაი-ლაი, შარაპოვა ყველაფრით სჯობს კურნიკოვას. და, საერთოდ, რა შუაში იყო აქ კურნიკოვა?!

*ოლიმპიადა*

# ემზადეთ თავდასხმისთვის!

## ათენი კამუფლაჟში გამოეწყო

ბიბა ბურასაშვილი

რიგ დიდ ღონისძიებებს, მით უმეტეს, ოლიმპიურ თამაშებს, არასდროს აკლდა ტერორისტთა მხრიდან შესაძლო თავდასხმის საშიშროება, მაგრამ 11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიოს უსაფრთხოების ნორმები რადიკალურად შეიცვალა.

თავდაცვის ის ნორმები, რომელიც სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლებმა შემოგვთავაზეს, მართლაც, საარაკო გახლდათ, მაგრამ ამბობენ, ის, რაც კარს მომდგარი ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის კეთდება, ოლიმპიური თამაშების საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიაში ყველაზე გრანდიოზული იქნებაო. საბერძნეთის სამართალდამცავი ორგანოების ათასობით თანამშრომელი გუშინდელი დღიდან, შეიძლება ითქვას, საბრძოლო მზადყოფნაზე გადავიდა. უსაფრთხოებაზე მზრუნველი სამართალდამცავი მასპინძლები ათენსა და საბერძნეთის მსხვილ ქალაქებში განთავსდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ თამაშების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შემუშავებული ოპერაცია ამოქმედებულია. თამაშებამდე 42 დღეა დარჩენილი. მანამდე სპორტული ობიექტები და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაგებობები, ანუ ის ადგილები, რომლებიც რაიმე კავშირშია ოლიმპიურ თამაშებთან, რამდენიმე კვირით იქნება შემოსაზღვრული, რათა ასაფეთქებელი ნივთიერების ტერიტორიაზე შეტანა სრულად გამოირიცხოს. ერთი სიტყვით, ჩხრეკა ჩატარდება. თუმცა, ოპერაციის ეს ნაწილი ჯერაც მშენებარე ობიექტების გამო, შესაძლოა, ცოტა ხნით გადავადდეს.

თავდაცვის სისტემის ამუშავება მასპინძლებს მილიარდი ევრო უჯდებათ.

...დაახლოებით 40 ათასი პოლიციელი, სანაპირო დაცვის სამსახურის თანამშრომელი, ასევე ათასობით ჯარისკაცი განთავსდა სპორტულ ობიექტებზე, ოლიმპიურ სოფელში, საპორტო ქალაქ პირეოსსა და სხვა მნიშვნელოვან ადგილებში. ანუ, იმ ადგილებში, რომლებიც შეიძლება ტერორისტთათვის თავდასხმის პოტენციური სამიზნე იყოს. მთელი ქვეყნის მასშტაბით გაძლიერებულ რეჟიმში იმუშავებენ საჰაერო თუ საზღვაო პატრულები.

საბერძნეთის საჰაერო სივრცეს ნატოს თვითმფრინავები დაიცავენ. ჯერ არ არის ცნობილი, თუ როდიდან შეიძლება სპორტული ობიექტების სრულად შემოწმება.

მკაცრად გაკონტროლდება საასპარეზო არენებთან მისასვლელი გზები. თავად ობიექტებს საგანგებოდ გაწვრთნილი ძაღლების მეშვეობითა და ასაფეთქებელი ნივთიერებების ამომცნობი უახლესი მოწყობილობებით შეამოწმებენ.

ქვეყნის ხელისუფალთა განცხადებით, ყველა ეს ღონისძიება დაგეგმილზე ადრე, ივლისის შუა რიცხვებში ამოქმედდება.

მთავარ ოლიმპიურ კომპლექსში ახლაც მიმდინარეობს მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები, ხოლო მისი ტერიტორია ჯერაც არაა შემოსაზღვრული, მაგრამ... ორგანიზატორები ამბობენ, რომ შემოწმების მიზნით კომპლექსი სრულად დაიხურება ან დაილუქება. შემოწმებით კი თამაშების გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე შეამოწმებენ.

# კონკურსი
# ევრო 2004

ლიდერთა მდგომარეობა 29 ივნისისთვის
და მათი პროგნოზები

| ადგ. | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქალაქი | ქ | პროგნოზი ფინალისტები | | ჩემპიონი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 144 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 2. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 142 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 3. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 135 | ჩეხეთი | პორტუგალია | ჩეხეთი |
| 4. | ჯიბლაძე ნიკოლოზ ლერის ძე | თბილისი | 131 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 5-7. | დარჯანია გიორგი რევაზის ძე | თბილისი | 129 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 5-7. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | თბილისი | 129 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 5-7. | ონიანი დავით როლანდის ძე | თბილისი | 129 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 8. | ფილია ვიქტორ ანზორის ძე | თბილისი | 127 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 9. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 125 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 10-13. | გიორგაძე ჟორა აკაკის ძე | ქუთაისი | 124 | საფრანგეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 10-13. | გრიგოლაშვილი ვალერი ილიას ძე | თბილისი | 124 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 10-13. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 124 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 10-13. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 124 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 14-16. | გუსეინოვი თემურ ჰამლეტის ძე | თბილისი | 123 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 14-16. | ჩარგაზია კოტე გიორგის ძე | თბილისი | 123 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 14-16. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | თბილისი | 123 | ესპანეთი | პორტუგალია | ესპანეთი |
| 17. | დიდიძე გიორგი ზურაბის ძე | თბილისი | 121 | პორტუგალია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 18-21. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 120 | ჰოლანდია | პორტუგალია | ჰოლანდია |
| 18-21. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 120 | ინგლისი | პორტუგალია | ინგლისი |
| 18-21. | მაწარაშვილი ელგუჯა ზაალის ძე | ბათუმი | 120 | პორტუგალია | გერმანია | პორტუგალია |
| 18-21. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 120 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 22-24. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 119 | ჩეხეთი | პორტუგალია | ჩეხეთი |
| 22-24. | წულუკიძე როსტომ ზურაბის ძე | თბილისი | 119 | პორტუგალია | იტალია | იტალია |
| 22-24. | ჯაყელი ანრი გიორგის ძე | თბილისი | 119 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 25-28. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 118 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 25-28. | ფაცია გიორგი მურმანის ძე | თბილისი | 118 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 25-28. | წირქვაძე გიორგი ბიძინას ძე | თბილისი | 118 | პორტუგალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 25-28. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | თბილისი | 118 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 29-31. | თევდორაშვილი ალექსანდრე ავთანდილის ძე | თბილისი | 117 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 29-31. | მეტრეველი გიორგი ზაურის ძე | თბილისი | 117 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 29-31. | ძურძუკი ვოვა სერგოს ძე | თბილისი | 117 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 32-33. | თაყნიაშვილი დავით თამაზის ძე | თბილისი | 115 | ჰოლანდია | პორტუგალია | პორტუგალია |
| 32-33. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 115 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 34-41. | აიდოევი ზვიად შალვას ძე | თბილისი | 114 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 34-41. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 114 | პორტუგალია | გერმანია | პორტუგალია |
| 34-41. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 114 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 34-41. | თავბერიძე ზურა კახის ძე | თბილისი | 114 | ჰოლანდია | პორტუგალია | პორტუგალია |
| 34-41. | ისმაილოვი რუსლან ნიაზის ძე | თბილისი | 114 | პორტუგალია | იტალია | პორტუგალია |
| 34-41. | ნიქაბაძე ალექსანდრე თამაზის ძე | თბილისი | 114 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 34-41. | ჩინჩალაძე ლევან ალექსანდრეს ძე | თბილისი | 114 | პორტუგალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 34-41. | ცხაკაია რეზო ვასილის ძე | თბილისი | 114 | საფრანგეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 42-44. | დავითულიანი გიორგი როლანდის ძე | თბილისი | 113 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 42-44. | კაციტაძე კახაბერ ჯემალის ძე | თბილისი | 113 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 42-44. | მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე | თბილისი | 113 | პორტუგალია | იტალია | პორტუგალია |
| 45-48. | ასვანუა ლევან პაატას ძე | თბილისი | 112 | პორტუგალია | ესპანეთი | ესპანეთი |
| 45-48. | დანელია არველოდ ილიას ძე | თბილისი | 112 | პორტუგალია | ინგლისი | პორტუგალია |
| 45-48. | თავბერიძე ზურა კახის ძე | თბილისი | 112 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 45-48. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 112 | პორტუგალია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 49-50. | ხატიაშვილი შალვა ნოდარის ძე | თბილისი | 111 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 49-50. | ჯორჯიაშვილი ზაალ დავითის ძე | თბილისი | 111 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 51-54. | ზანგალაძე ნოდარ ქრისტეფორეს ძე | თბილისი | 109 | პორტუგალია | გერმანია | გერმანია |
| 51-54. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | თბილისი | 109 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 51-54. | ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე | თბილისი | 109 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 51-54. | ჯალაღონია ლაშა გენადის ძე | თბილისი | 109 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 55-70. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 55-70. | დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე | თბილისი | 108 | იტალია | პორტუგალია | პორტუგალია |
| 55-70. | ირემაძე გოგა გიზოს ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | იტალია | პორტუგალია |
| 55-70. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 55-70. | მატარაძე ლევან მამუკას ძე | თბილისი | 108 | ჰოლანდია | პორტუგალია | ჰოლანდია |
| 55-70. | მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 55-70. | მიროტაძე დავით ჯუმბერის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 55-70. | მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 55-70. | მხატვარი გიორგი თამაზის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | იტალია | პორტუგალია |
| 55-70. | ნათელაშვილი სოსო ვალიკოს ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 55-70. | ნამჩევაძე ბადრი გურამის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 55-70. | ჩუბინიძე მერაბ ვლადიმერის ძე | თბილისი | 108 | საფრანგეთი | ჰოლანდია | საფრანგეთი |
| 55-70. | ძაძამია ლაშა მირიანის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 55-70. | ჯაბაური დავით ლევანის ძე | თბილისი | 108 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 55-70. | ჯიჯეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე | თბილისი | 108 | იტალია | პორტუგალია | იტალია |
| 55-70. | ჯოხარიძე ზურაბ გიორგის ძე | თბილისი | 108 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 71-75. | ადუაშვილი თორნიკე ამირანის ძე | თბილისი | 107 | იტალია | პორტუგალია | იტალია |
| 71-75. | გორგაძე საბა ირაკლის ძე | თბილისი | 107 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 71-75. | დოლიძე გიორგი თედორეს ძე | თბილისი | 107 | პორტუგალია | ჩეხეთი | ჩეხეთი |
| 71-75. | მირიანაშვილი მიხეილ გიორგის ძე | თბილისი | 107 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 71-75. | ქორთუა ვლადიმერ მერაბის ძე | თბილისი | 107 | პორტუგალია | გერმანია | გერმანია |
| 76. | როგავა მეგრი ჯემალის ძე | თბილისი | 106 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 77-78. | მატარაძე ოთარ მამუკას ძე | თბილისი | 105 | პორტუგალია | ინგლისი | პორტუგალია |
| 77-78. | სირბილაძე კობა ძე | თბილისი | 105 | პორტუგალია | ჩეხეთი | ჩეხეთი |
| 79-80. | კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე | თბილისი | 104 | გერმანია | პორტუგალია | გერმანია |
| 79-80. | ხვადაგიანი მიხეილ ანდროს ძე | თბილისი | 104 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 81-91. | ანთაური გიორგი ხვთისოს ძე | თბილისი | 103 | ინგლისი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 81-91. | გვასალია მამუკა გულადის ძე | თბილისი | 103 | ჰოლანდია | პორტუგალია | ჰოლანდია |
| 81-91. | გიორგაძე დურმიშხან ვასილის ძე | თბილისი | 103 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 81-91. | დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე | თბილისი | 103 | საფრანგეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 81-91. | მაზმიშვილი იოსებ სიმონის ძე | თბილისი | 103 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 81-91. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 103 | ჰოლანდია | პორტუგალია | ჰოლანდია |
| 81-91. | ქებულაძე თამაზ ვარლამის ძე | თბილისი | 103 | პორტუგალია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 81-91. | ცაგარეიშვილი ზაურ აკაკის ძე | თბილისი | 103 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 81-91. | ცივაძე ზურა ნუგზარის ძე | თბილისი | 103 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 81-91. | ხატიაშვილი შალვა ნოდარის ძე | თბილისი | 103 | საფრანგეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 81-91. | ჯიჯეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე | თბილისი | 103 | იტალია | პორტუგალია | პორტუგალია |
| 92-106. | არდაშელია აკო მამუკას ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ესპანეთი | პორტუგალია |
| 92-106. | ბერიძე ოთარ ეგრაზის ძე | თბილისი | 102 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 92-106. | ბობოხიძე დავით დავითის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ინგლისი | ინგლისი |
| 92-106. | გეთიაშვილი რობი გოჩას ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ჩეხეთი | პორტუგალია |
| 92-106. | გელაშვილი გიორგი ჯემალის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 92-106. | ელისაბედაშვილი გიორგი მერაბის ძე | თბილისი | 102 | ინგლისი | პორტუგალია | ინგლისი |
| 92-106. | ზანგალაძე ნოდარ ქრისტეფორეს ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 92-106. | კაპანაძე იოსებ აბელის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ესპანეთი | ესპანეთი |
| 92-106. | კვირკვია ვალერი ვლადიმერის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ინგლისი | ინგლისი |
| 92-106. | კუხიანიძე ლექსო მალხაზის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 92-106. | მეძმარიაშვილი გიორგი ელგუჯას ძე | თბილისი | 102 | საფრანგეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 92-106. | მუმლაძე აკაკი დომენტის ძე | თბილისი | 102 | ესპანეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 92-106. | ფარცვანია ფრიდონ ღუდას ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | იტალია | იტალია |
| 92-106. | შუბლაძე ვახტანგ არტემის ძე | თბილისი | 102 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 92-106. | ჯაფარიძე ეკა | თბილისი | 102 | ჩეხეთი | პორტუგალია | პორტუგალია |
| 107-111. | ამაშუკელი გიორგი მალხაზის ძე | თბილისი | 101 | პორტუგალია | ინგლისი | პორტუგალია |
| 107-111. | დალაქიშვილი მიხეილ კონსტანტინეს ძე | თბილისი | 101 | პორტუგალია | იტალია | იტალია |
| 107-111. | კაპანაძე იოსებ ირაკლის ძე | თბილისი | 101 | საფრანგეთი | პორტუგალია | საფრანგეთი |
| 107-111. | ნადირაშვილი ავთანდილ ნიკოლოზის ძე | თბილისი | 101 | საბერძნეთი | ჩეხეთი | ჩეხეთი |
| 107-111. | ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე | თბილისი | 101 | გერმანია | პორტუგალია | პორტუგალია |
| 112-115. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | თბილისი | 100 | ჩეხეთი | იტალია | ჩეხეთი |
| 112-115. | გელაძე გელა ტარიელის ძე | თბილისი | 100 | საფრანგეთი | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 112-115. | დოლიძე დავით პაატას ძე | თბილისი | 100 | ჰოლანდია | იტალია | იტალია |
| 112-115. | თეთვაძე ოთარ ვლადიმერის ძე | თბილისი | 100 | ჩეხეთი | პორტუგალია | ჩეხეთი |
| 116-119. | ალბუთაშვილი გიორგი ელგუჯას ძე | თბილისი | 99 | ბულგარეთი | ჩეხეთი | ჩეხეთი |
| 116-119. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 99 | იტალია | საფრანგეთი | იტალია |
| 116-119. | მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე | თბილისი | 99 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |
| 116-119. | მუმლაძე მარეხ შოთას ასული | თბილისი | 99 | საფრანგეთი | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 120-132. | ბერიძე გიორგი დავითის ძე | თბილისი | 98 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 120-132. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 98 | საფრანგეთი | ჩეხეთი | საფრანგეთი |
| 120-132. | გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე | თბილისი | 98 | პორტუგალია | იტალია | პორტუგალია |
| 120-132. | ელბაქიძე ლია ივანეს ასული | თბილისი | 98 | პორტუგალია | ინგლისი | ინგლისი |
| 120-132. | კაკუბავა გიორგი კარლოს ძე | თბილისი | 98 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 120-132. | მეცხოვრიშვილი დავით ჯემალის ძე | თბილისი | 98 | პორტუგალია | ჰოლანდია | პორტუგალია |
| 120-132. | ჟღენტი მურთაზ ნოდარის ძე | თბილისი | 98 | პორტუგალია | ჰოლანდია | ჰოლანდია |
| 120-132. | სანაკოევი რუსლან ალექსანდრეს ძე | თბილისი | 98 | პორტუგალია | ინგლისი | პორტუგალია |
| 120-132. | სემენენკო ოლეგ ვიქტორის ძე | თბილისი | 98 | პორტუგალია | ჩეხეთი | ჩეხეთი |
| 120-132. | ფხალაძე ირაკლი შალვას ძე | თბილისი | 98 | ჰოლანდია | პორტუგალია | ჰოლანდია |
| 120-132. | ყირიმლიშვილი ჯაბა ელგუჯას ძე | თბილისი | 98 | პორტუგალია | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 120-132. | ყირიმლიშვილი ჯაბა ელგუჯას ძე | თბილისი | 98 | საფრანგეთი | ჩეხეთი | ჩეხეთი |
| 120-132. | ცუცქირიძე თეიმურაზ გიორგის ძე | თბილისი | 98 | პორტუგალია | საფრანგეთი | პორტუგალია |

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელეპროექტი "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელეპროექტისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საშუალებით, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები:

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადამხდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| | შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | | |
| 3 | | |
| 4 | | |
| 5 | | |

სახელი და გვარი
ბინის მისამართი
სამსახურის ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

წესები კითხვის შემდგენლებისათვის:

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# კვირის პროგრამა



## ორშაბათი 5.07

### რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეღიპუცები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.20 უიმბლდონის ყოველდღიური მიმოხილვა 13.20 მხ. ფილმი "მეოთხე ტენორი" (გ) 15.25 სერიალი "სასწრაფო" 16.30 სერიალი "მაშველები" 17.25 პერეკროსტოკი 18.20 "ტელეღიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 სერიალი "უკვდავი" 23.00 სერიალი "სოპრანოს კლანი". 00.00 მხ. ფილმი "უკანასკნელი სამურაი". მთ. რ-ში: ტომ კრუზი, კენ ვატაბანე (18).

### TV5

07.00, 09.00, 10.00(კანადა) 13.00, 16.00(ბელგია) 17.00, 19.15, 21.00, 01.00, 03.15(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), 05.00 TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. 12.00, 15.00, 20.00, 23.00 TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. 08.00 ზღვის, სექსის და მზის ხანა. დოკ. ფილმი. 09.30 ტელედილა. 13.15 არტ რეპორტაჟი.16.30 ციფრები და ასოები. ტელეთამაში. 17.30 ქალი ძაღლით. ჩეხოვის პიესის მიხედვით. მხ.ფილმი. 20.05 დინების საწინააღმდეგოდ. დოკ. ფილმი. 24.05 1604 წელი. დოკ. ფილმი. 01.35 ესაიდა. მხ. ფილმი. რეჟისორი მოჰამედ ზრანი. 1996. 05.20 ექიმი სილვესტრი. კრიზისი ლიცეუმში. მხ. ფილმი. რეჟისორი დავიდ დერლიე. 1998.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 17.30 მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" 18.45 დოკ. ფილმი "ყველანი ორბიტაზე" 19.00 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 20.00, 23.00 მოამბე 21.05 სერიალი "სოლედადი" 22.00 "ღამის მატარებელი" 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი "სტიქსი" (15)

### 202

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "ბრმად გაცნობა" (ბ. უილისი) (გ) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი "მუსკულები" (გან.) 20.00 მხ. ფილმი "კალასი სამუდამოდ" (ფ. არდანი) (გ) 22.00 სერიალი "მუსკულები" 22.20 ნიკა ქვათარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის "კენო" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი "მკვლელებად დაბადებულნი" (ვ. ჰარელსონი) (18)

### მზე

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი "ველური მთვარე" 11.10 მინისერიალი "ვირტუალობით შეპყრობა" 12.00, 15.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "კოდი კოპერნიკი" 13.10 მხ. ფილმი "დაბრუნება მომავალში" (გ) (კრისტოფერ ლოიდი) 15.10 სერიალი "მარია ემილია" 16.10 სერიალი "დინოტოპია" 17.10 მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 17.35 მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" 18.10 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.35 დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 20.50 მინისერიალი "სამყაროს შექმნა" 22.45 "მზერა დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "შოკი" (18) (დევიდ კეითი)

### მეორე არხი

